დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2024 წლის
15 - 21 იანვარი

N 4 1522

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

# შმატრონო ეკლესიას მიშმაკები დაეპატრონებიან!

2-3





2004 წლის 25 ნოემბერი



13

2024 წლის 9 იანვარი



სახელმწიფო, რომელმაც ერისკაც გურამ შარაძეს ბიბლიოთეკაში პორნოგრაფიული პლაკატების ჩამოხევა არ აპატია, მაგრამ ნაცაქტივისტ ნატა ფერაძეს ტაძარში ხატის შებილწვას პატიობს, სირცხვილისაგან უნდა იწვოდეს!

## „საქართველოს საპატრიარქომ ნაცისტების წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა!“

„აფხაზური ოპოზიციის წარმომადგენლების აზრით, საქართველო ტერიტორიების დაბრუნებას ბიძინა ივანიშვილის მიერ აფხაზეთში მიწების ყიდვის გზით ცდილობს!“ 12



„სულ მალე დღის წესრიგში დადგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა გადაჭრაშიც ბიძინა ივანიშვილი პირადად მიიღებს მონაწილეობას!“ 6

## მაშკევიჩები და მიშკევიჩები რუსეთს ამაზე ლაპარაკს ვერ გაუბედავენ, რადგან პოლონელებმა რუსის ხიშტის გემო იციან!

18

## დანიის საელჩოში რაღაც დალპა!

5



## „ამ დღეებში 78 წლის ასაკში გარდაცვლილი გერმანული ფეხბურთის ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერიც, დიდი ალბათობით, ქართველი იყო!“

16



„ჩასახვის დრო ზუსტად ემთხვევა იმ რაიონში ტარიელ ქუთათელაძის ყოფნას...“



28

## ძაღლების უფლებების დაცვის კვალდაკვალ ადამიანთა უფლებებიც უნდა დავიცვათ!

„ვაი, ეგეთას სამართალს...“

# უმატრონო ეკლესიას მიშმაკები დაეპატრონებიან!

***სამების საკათედრო ტაძარში დაბრძანებული წმინდა მატრონა მოსკოველის ხატისათვის საღებავის შესხმის საქმეზე გამოძიება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.***

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლში შავით თეთრზე წერია:

***„წვრილმანი ხულიგნობა — საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი ქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 1000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით“.***

ე.ი. ნაცლიბერასტული სექტის აქტივისტ **ნატა ფერაძეს,** რომელმაც სამების საკათედრო ტაძარში რელიგიური სიწმინდე — ხატი შებილწა, მაქსიმუმ, 1000-ლარიანი ჯარიმა ან მაქსიმუმ ორკვირიანი ადმინისტრაციული პატიმრობა ემუქრება!

ე.ი. **ხეჭალად წოდებული „პარტიზანი მებალის“** მიერ წმინდანის ხატისათვის საღებავის შესხმა იგივე ყოფილა, რაც საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინების ატეხვა ან მოქალაქისათვის შეურაცხყოფის მიყენება!

ე.ი. მნიშვნელობა არა აქვს, ბაზრობაზე ან ავტობუსში ვიღაცას აგინე თუ ტაძარში პულვერიზატორით შევარდი და ხატს საღებავი შეასხი, ორივე შემთხვევაში **„წვრილმანი ხულიგანი“** ხარ და მსუბუქი სასჯელით გამოძვრები!

მოდით, პირდაპირ ვთქვათ —

**კანონი, რომელიც წმინდა ტაძარს სავაჭრო ცენტრისა თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტისაგან არ ასხვავებს, საზოგადოებრივ ტუალეტში უნდა ჩამოიკიდოს და შესაბამისი დანიშნულებით იქნას გამოყენებული!**

კანონი, რომელიც ქუჩაში ვიღაც ვიგინდარის გამოლანძღვისა და ტაძარში ხატის შებილწვისათვის ერთნაირ სანქციას აწესებს, **ცეცხლში უნდა დაიწვას!**

**წვრილმანი ხულიგნობაო!**

20 წლის წინათ სწორედ **„წვრილმანი ხულიგნობის“** ბრალდებით დააპატიმრეს **პროფესორი და ეროვნული მოღვაწე** ზურაბ შარაძე, რომელმაც ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოფენილი **პოლონელი ფოტოგრაფის** რაფაელ ოლბინსკის პლაკატები ჩამოხია, რადგან მათში სატანისტური და პორნოგრაფიული ელემენტები დაინახა!

ეს მოხდა **2004 წლის 25 ნოემბერს,** როცა ქვეყანას ხელისუფლებაში ახალმოსული სააკაშვილის ბანდა მართავდა, რომელსაც გურამ შარაძე წლების განმავლობაში ამხელდა ანტიეროვნულობასა და საქართველოს გამიზნულ მტრობაში!

**მაშინ სააკაშვილის ბანდამ ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, მისი ულმობელი ოპონენტისათვის ანგარიში ყველაზე უღირსი და დამამცირებელი ფორმით გაესწორებინა — პროფესორი** ზურაბ შარაძე **პორნოგრაფიული პლაკატების ჩამოხევის ადგილზევე დააკავეს, სასამართლოში წარადგინეს და „წვრილმანი ხულიგნობისათვის“ გაასამართლეს.**

მოქალაქე **ზურაბ შარაძეს** დაედოს ადმინისტრაციული პატიმრობის სახით სასჯელი 15 დღის ვადით და დაეკისროს საქართველოს სამხატვრო აკადემიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება — **2400 დოლარის გადახდა ეროვნულ ვალუტაში!** — ასეთი იყო მოსამართლის ვერდიქტი და ასე ახეხინა იზოლატორის მყრალი საკანი ამაგდარ პროფესორს **სააკაშვილის ნაცხროვამ,** რომელიც მას სამი წლის შემდეგ მელიქიშვილის გამზირზე მოკლავს!

2004 წლის 25 ნოემბერს, სააკაშვილის ბანდამ სცადა, **პოლიტიკურად და მორალურად მოეკლა** ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაპატიმრებული გურამ შარაძე, ხოლო 2007 წლის 20



ნაცაქტივისტ ნატა ფერაძეს, რომელმაც ტაძარში ხატი შებილწა, წვრილმან ხულიგნობას ედავებიან!



ნაცაქტივისტ ნატა ფერაძის მიერ შებილწული წმინდა მატრონას ხატი სამების საკათედრო ტაძარში

## თუ საქართველოს საპატრიარქო კოლექტიურ ნატაფერაძეთა წინაშე უკან დახევას ასეთი წარმატებით გააგრძელებს, მალე, ალბათ, წმინდა მატრონას ხატს სამების ტაძრიდან საერთოდ გაიტანენ!

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

ჩვენი გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში გარდაუვალია, **ოპოზიციას არა აქვს არავითარი შანსი,** ამ არჩევნებში რაიმე წარმატებას მიაღწიოს.

აქსიომური ჭეშმარიტებაა, რომ **გახარია მოღალატეა** — არ გვაქვს კითხვები, რატომ მოქმედებდა 20 ივნისს ლომჯარიას კარნახით.

„ინტერპრესნიუსი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

ეს არის კამპანია ეკლესიის წინააღმდეგ და სინამდვილეში **ქართველი ფსევდოლიბერალები არიან მაუზერიანი ბოლშევიკების რეინკარნაცია თანამედროვე ეპოქაში,** რომელთაც ერთი სული აქვთ, გუმბათები მოანგრიონ ქართულ ეკლესიას.

ოპოზიცია არის **ანტიეროვნული და ანტიეკლესიური** დაჯგუფება.

„ინტერპრესნიუსი“



**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე*

უახლოეს პერიოდში დავაინიცირებთ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომ **გამკაცრდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რელიგიური ნაგებობებისა და ნივთების შეურაცხყოფისათვის.**

„რეზონანსი“



**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*

ხატის შებღალვით, **ფსევდოლიბერალმა ფაშისტებმა მორიგჯერ დაარღვიეს რელიგიური უმრავლესობის უფლებები,** ყველას დაანახვეს, რომ საქართველოში შეიძლება მოხდეს **ხატთმებრძოლების** და კომუნისტური **„მებრძოლ ულმერთოთა კავშირის“** რეანიმაცია.

„აიპრესი“



2004 წლის 25 ნოემბერი. გურამ შარაძე ხევს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოფენილ პლაკატებს!





2004 წლის 25 ნოემბერი. მხატვარი გია ბუღაძე თითს გურამ შარაძისაკენ იშვერს და მის მიერ დახეულ პლაკატებს 400 დოლარად აფასებს!

## სახელმწიფო, რომელმაც ერისკაც გურამ შარაძეს ბიბლიოთეკაში პორნოგრაფიული პლაკატების ჩამოხევა არ აპატია, მაგრამ ნაცაქტივისტ ნატა ფერაძეს ტაძარში ხატის შებილწვას პატიობს, სირცხვილისაგან უნდა იწვოდეს!



2004 წლის 25 ნოემბერი. გურამ შარაძეს, ბიბლიოთეკაში პლაკატების ჩამოხევის გამო, წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით ასამართლებენ!

მაისს ეროვნული ბიბლიოთეკიდან შინისაკენ მიმავალი პროფესორი **ფიზიკურად მოკლა** დედაქალაქის შუაგულში — მელიქიშვილის გამზირზე!

სააკაშვილის ბანდამ გურამ შარაძის დახვრეტის განაჩენს მაშინ მოაწერა ხელი, როცა იგი „წვრილმანი ხულიგნობის“ ბრალდებით ჩასვა ციხეში, ხოლო განაჩენი სისრულეში ოდნავ მოგვიანებით მოიყვანა!

**„წვრილმანი ხულიგანი“, ერისკაცი გურამ შარაძე და „წვრილმანი ხულიგანი“, ხექალა ნატა ფერაძე!**

**ქართული სახელმწიფო გვეუბნება, რომ ერისკაც გურამ შარაძის მიერ ბიბლიოთეკაში პორნოგრაფიული პლაკატების ჩამოხევა და ნაცაქტივისტ ნატა ფერაძის მიერ ტაძარში ხატის შებილწვა ერთი და იგივე დანაშაულია!**

**ქართული სახელმწიფო იმასაც გვეუბნება,** რომ პორნოგრაფიული პლაკატი და მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ კანონიზებული წმინდანის ხატი ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება, ამიტომაც **პორნოგრაფიული პლაკატის ჩამომხევსა და წმინდანის ხატისათვის საღებავის შემსხმელს** ერთნაირი სასჯელი ეკუთვნით!

თუმცა, ეს სასჯელიც რომ არსად ჩანს?!

თუ პორნოგრაფიული პლაკატების ჩამომხევი **„წვრილმანი ხულიგანი“ გურამ შარაძე** შემთხვევის ადგილზევე დააკავეს, **წმინდანის ხატის შემბილწავი „წვრილმანი ხულიგანი“** ნატა ფერაძე ჯერაც არ დაუკავებიათ, არადა, მის მიერ დანაშაულის ჩადენიდან უკვე თითქმის ერთი კვირა გავიდა!

ალბათ, ისიც ნიშანდობლივია, რომ **ხატის წამბილწავი ხექალას** დამცველად და აპეკუნად დღეს იგივე ხალხი გამოდის, ვინც 20 წლის წინათ პორნოგრაფიული პლაკატების ჩამომხევი **გურამ შარაძის** დასჯას მოითხოვდა! მაგალითად,

**თუ მაშინ გურამ შარაძის წინააღმდეგ სამხატვრო აკადემიის რექტორი გია ბუღაძე იდებდა თავს, დღეს მის შვილს – მამუკა ხაზარაძის „უბორნიის მწერალ“ ლაშა ბუღაძეს ნატა ფერაძის დასაცავად აქვს თავი გამოდებული!**

**„წვრილმანი ხულიგანი“, ერისკაცი გურამ შარაძე და „წვრილმანი ხულიგანი“, ხექალა ნატა ფერაძე!**

სახელმწიფო, რომელმაც ერისკაც გურამ შარაძეს ბიბლიოთეკაში პორნოგრაფიული პლაკატების ჩამოხევა არ აპატია, მაგრამ **ნაცაქტივისტ ნატა ფერაძეს** ტაძარში ხატის შებილწვას პატიობს, სირცხვილისაგან უნდა იწვოდეს!

### თუმცა, სახელმწიფოს, რომელსაც იმის არ რცხვენია, რომ გურამ შარაძის მკვლელები დღემდე არ დასჯილან, არც ნატა ფერაძისა და მისნაირთა დაუსჯელობის შერცხვება!

**ალბათ, ლოგიკურიც არის, რომ ქვეყანა, რომლის კანონი და სამართალი პორნოგრაფიული პლაკატების დახევასა და წმინდა ხატის შებილწვას ერთმანეთისაგან არ ასხვავებს, ნატაფერაძეთა სათარეშოდ გადაქცეულა!**

თქვენ წარმოიდგინეთ, **გაპარპაშებულმა ნატა ფერაძემ** და მის უკან მდგომმა ნაცლიბერასტულმა სექტამ უკვე იმდენს მიაღწიეს, რომ საქართველოს საპატრიარქო წმინდა მატრონას ხატის გადაწერას, ანუ ხატიდან იმ ფრაგმენტის გაქრობას ითხოვს, რომელიც წმინდანისა და სტალინის შეხვედრას ასახავს!

**თუ საპატრიარქო კოლექტიურ ნატაფერაძეთა წინაშე უკან დახევას ასეთი წარმატებით გააგრძელებს, მალე, ალბათ, წმინდა მატრონას ხატს სამების ტაძრიდან საერთოდ გაიტანენ!**

აი, მაშინ კი დავდგებით რეალობის წინაშე, როცა უ**მატრონო** ეკლესიას **მიშ**მაკები დაეპატრონებიან!

**ჯაბა ხუბუა**

## ქართული სახელმწიფო გვეუბნება, რომ ერისკაც გურამ შარაძის მიერ ბიბლიოთეკაში პორნოგრაფიული პლაკატების ჩამოხევა და ნაცაქტივისტ ნატა ფერაძის მიერ ტაძარში ხატის შებილწვა ერთი და იგივე დანაშაულია!

## კვირგვინოსნები

**დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე**
*საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი*



**იწყება კიდევ ერთი ტალღა ეკლესიის წინააღმდეგ.** რაც შეეხება **სტალინის** ხატზე გამოსახვას, ეს არ ნიშნავს, რომ **სტალინი** ლოცვის ობიექტია, რადგან **ხატზე შეიძლება უარყოფითი პერსონაჟიც მოხვდეს.**

„ინტერპრესნიუსი“

**ილია ჭილაძე**
*დეკანოზი*



როგორც მღვდელი, საპატრიარქოსგან მოვითხოვ, რომ **ეს მატრონა-სტალინის მკრეხელური ნახატი გამოათრიონ ტაძრიდან** და საჯაროდ დაწვან.

„რეზონანსი“

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი*



**არ მოხდება ხატის გატანა იმიტომ, რომ არ არის საჭიროება, ხატი გავიდეს ტაძრიდან, დარჩება ხატი ტაძარში!** ჩვენ ვართ მაზიარებლები და, შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ პატრიარქის რჩევა. მიმაჩნია, რომ **ამ ხატზე არ იყო კანონიკა დარღვეული.** ამის შესახებ არაერთი პროფესიონალის განმარტება მაქვს პირადად მე მიღებული.

„ინტერპრესნიუსი“

**ნატა ფერაძე**
*სამოქალაქო აქტივისტი*



**რამდენიმე დღე გადავედი სხვა საცხოვრებელ ადგილას,** შსს-ს ოფიციალურად უნდა მივმართოთ, **ვიდრე საფრთხე იქნება, დაცვა უზრუნველყოს.**

„ინტერპრესნიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**როგორც ბავშვს ვერ მისცემ ასანთს,** იმიტომ, რომ რაღაც უბედურებას დამართებს თავის თავსაც და სახლსაც, **ისე არ შეიძლება ტრიბუნა მისცე სალომე ზურაბიშვილს.**

„აიპრესი“

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# ფრთხილად, ბაყაყივით არ გაქყლიტონ!

ეს ტუტუცი **ხექალა,** ხანდახან **ნატაფერაძედაც** რომ მოიხსენიებენ, წერას არი ატანილი და ცეცხლს ეთამაშება.

სახლთან რომ მიუხტნენ და კაი გვარიანად შააწოვინეს, ცოტა ხანს პატრულს მუხლებს უკოცნიდა, მაგრამ, როგორც კი სიტუაცია ჩაწყნარდა, ისევ დაიწყო ხრიპინი — **ეს ყველაფერი ბინძურ საპატრიარქოში დაიგეგმაო.**

☺

გეუბნებით, სადმე მოფარებულში გაიყვანეთ, **ცოტა ხანს მაინც შეაგდეთ ვირიანთ აბანოში,** ისევ მაგის უსაფრთხოებისთვის, **თორემ ვილაცა ბაყაყივით გაჭყლეტავს** და მერე დაიწყებენ, ესაო და ისაო.



# ყველაფერი–ყველაფერი და უტიაშვილი ვინდა არის?




**ამასაც ასხია!**

ეკა, როგორ გითხრა... **მატრონა** არის ის წმინდანი, რომელსაც სამამულო ომის მძიმე დღეებში სტალინმა **შეუარა** და ქვეყნის გადარჩენის შესახებ უნიკალური რჩევა მიიღო.

☺

ჰოოო!

მაინტერესებს, შენ თუ აძლევ რაიმე ღირებულ რჩევას შენ ქმარს — შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილ უფროსს **შოთა უტიაშვილს,** ხანდახან რომ **შემოგივლის** ხოლმე და ვერ გაუგია, რისთვის შემოგიარა. თან სუ რო გეჩხუბება, ჩემი ცალი ნასკი სად არიო?

# ბრიყვთა ბრიყვი



ეს ბრიყვთა ბრიყვი ტელევიზორში მოსთქვამდა — **ვინმე მატრონას** საქართველოსთან და ქართულ ეკლესიასთან საერთო არაფერი აქვს, ეს ხელისუფლება რომ რუსულია, აქედანაც კარგადა ჩანსო. არადა, თუ საკითხს **ბერძენიშვილისებრთა** კუთხიდან მივუდგებით, ისიც უნდა ვიცოდეთ, **რატომ გვიდგას დედაქალაქის ცენტრში წმინდა გიორგის ქანდაკება?**

მეორე — **რა საერთო ჰქონდა საქართველოსთან და ქართულ ეკლესიასთან წმინდა ნიკოლოზს?**

მესამე — **რა საერთო ჰქონდა ღვთისმშობელ მარიამს საქართველოსთან და ქართულ ეკლესიასთან?**

მეოთხე — **რა საერთო ჰქონდა თვით იესოს საქართველოსთან და ქართულ ეკლესიასთან?**

☺

ჩვენ კი ვიცით, რა საერთო ჰქონდათ და აქვთ საქართველოსთან და ქართულ ეკლესიასთან წმინდანებს, თვით უფალს, მაგრამ მე პირადად მაინტერესებს, **თქვენ როგორ აფასებთ ამ ბრიყვთა პოზიციებს და მათ გავლენას გაბრიყვებულ ახალგაზრდებზე?**

ეს უვიცი და თავისი ძმასავით უვარგისი ხვალ გამოვა და საკითხს ასე დააყენებს — **რა საერთო ჰქონდათ იესო ქრისტეს და მის მოციქულებს საქართველოსთან?**

კაი ხანს იჩლიფინებს, საკუთარ ენას დაღეჭავს და შემდეგ დაასკვნის — **არც არაფერიო და მისნაირი წარმონაქმნები ტაშსაც დაუკრავენ.**

ეგ კი არა, ჭუტაანებში ჩაილაპარაკებენ — **უი, ჩვენ მარიამი ქართული სახელი გვეგონაო!**

# მიუხედავი

**ანა ბუჩუკურს** უთქვამს — **ბიძინა ივანიშვილს გიორგი გახარია** მიხედავსო.

ჰო, აეგრე, თუ არ დაოკდება და კიდე მოღალატეს უწოდებს, მიხედავს, დააოკებს, თქვენ **გახარია** არიფი ნუ გგონიათო!

☺

მეგობრებო, მოკლედ, საკითხი დგას ასე:

**ბიძინა ივანიშვილს** მიხედავს **გიორგი გახარია!**

**ირაკლი ღარიბაშვილს** მიხედავს **კახაბერ ქემოკლიძე!**

**ირაკლი კობახიძეს** მიხედავს **ნათელა მეზვრიშვილი!**

**კახა კალაძეს** მიხედავს **ბექა ლილუაშვილი!**

**მამუკა მდინარაძეს** მიხედავს **მიხეილ დაუშვილი!**

რომელი ერთი ჩამოვთვალო?

ვინც **მისახედია** „ქართულ ოცნებაში“ ყველას **მიხედავენ,** სიმონ!

☺

**ჩამოი, გოგო,** მაგ ტყემლი ტოტიდან, არ ჩამოგიტყდეს, არ ჩამეიფეხვო... **ჩამოი, მოგვხედე.**

რას იყურები მაღლა, ცას რო კიბე არა აქვს, აქამდე არ იცოდი?!

☺

თქვენ კიდე იძახით ხოლმე, ცირკიო... რათ გვინდა ცირკი და რგოლებით თამაში?

**ეგე ცირკიც და კომედიაც.**

ესენი იგრე იქცევიან, მკვდრებსაც კი გაეცინებათ!





## დოდო ხურცილავა:

# ბატონო ბიძინა, მესამე და სამართალი!!!

***ხელოვნებათმცოდნე დოდო ხურცილავა მიესალმება პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას და მისგან სამართლიანობის აღდგენის იმედი აქვს:***

— უკვირთ, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში რატომ დაბრუნდაო?! — არ შეიძლებოდა, რომ დაბრუნებულიყო, თქვენთვის უნდა ეკითხა? ძალიანაც კარგი — **მესამე და სამართალი, უკვე მესამედ მოუღებს ბოლოს ამ ოპოზიციას!** ივანიშვილი ჭკვიანი კაცია, სტრატეგიული აზროვნების, მისი სვლების გათვლა მე არ შემიძლია, მაგრამ ყოველთვის საქართველოს სამსახურში იდგა და კარგად იცოდა, კონკრეტულ დროს სად უნდა ყოფილიყო. როდესაც პირველად მოვიდა პოლიტიკაში, ისიც ზუსტად გაიაზრა, სად უნდა შეჩერებულიყო, შემდეგ ჩრდილში როდემდე დარჩენილიყო და საჭირო დროს როდის უნდა ეთქვა თავისი ხმამაღალი სიტყვა.

**— ხალხმა ჩათვალა, რომ სამების ტაძარში წმინდა მატრონას ხატის შეურაცხყოფა მიმართული იყო ბიძინა ივანიშვილის, როგორც სამების ტაძრის ამშენებლის, წინააღმდეგაც.**

— ყოველთვის ვამბობდი, რომ ესენი ბოლშევიკები არიან და ისე იქცევიან, როგორც ბოლშევიკები შეურაცხყოფდნენ ხატებს, ჯვრებს და ანგრევდნენ ტაძრებს. ჯერჯერობით მღვდლების დახვრეტა არ შეუძლიათ, თორემ მაგასაც იზამდნენ. კარგად გვახსოვს, სააკაშვილის დროს როგორ ანგრევდნენ ესენი ეკლესიებს გლდანში თუ ფერიის მთაზე. **ნზრევის მეტი ამათ არაფერი შეუძლიათ და ერთ წრეზე ტრიალებენ!** ჩემი თაობის ადამიანები ტაძარში რომ არ წავსულიყავით, ტელევიზიით კარგ ფილმებს აჩვენებდნენ, მაგრამ ამის გამო სახლში კი არ ვრჩებოდით! ახლა ხატის შეურაცხყოფით ფიქრობენ, რომ ხალხი სამების ტაძარში აღარ წავა და ეკლესიაზე უარს იტყვის? სააკაშვილი თუ შავკანიანზე იტყვის, ზანგიაო, შეურაცხყოფად არ უთვლიან, ამბობენ, იხუმრაო, მაგრამ სხვამ თუ მსგავსი რამ თქვა, ნაცისტსა და ფაშისტს ეძახიან. მაგათ ლაპარაკს ყურადღება არ უნდა მიაქციოთ, ისე გაუბედურდნენ, მეცოდებიან კიდეც, ახლა რომ ხატებს დაუწყეს ბრძოლა.

**ვაფრთხილებ:** ხატების წინააღმდეგ ბრძოლა ყველამ წააგო! ასე რომ, იცოდნენ, ვეღარ იბოგინებენ, უკვე არც იდეოლოგიური და არც ეკონომიკური რესურსი აქვთ. **როგორც აღარავის ახსოვს კომპარტია, ისე აღარ ემახსოვრებათ ეს ნაცხროვა.** ესეც თავის შეხსენების მიზეზი იყო, 7 იანვარს შობას რატომ აღნიშნავთო — მთელი მართლმადიდებელი სამყარო შობას ამ დღეს ზეიმობს და ვერ გავიგე, რას იჭრებიან რელიგიურ კანონებში?! ზელენსკიდან იღებენ მაგალითს, რაც იმან უკრაინაში ეკლესიებში მოიმოქმედა? აქ არ გამოუვათ ეკლესიების დარბევა. რომის პაპმა ჰომოსექსუალური კავშირიც დალოცა და ესეც შემოვიღოთ ჩვენს ცხოვრებაში? ვინ ჰკითხავთ ამათ, რას გააკეთებს საქართველოს ეკლესია?!

**— ეს პროცესები „ვივამედიდან“ იმართება?**

— რასაც ვხედავ, სააკაშვილს იმის თავი აღარა აქვს, ბრძანებები გასცეს, თუმცა, მთელი მაგისი ოჯახი ბოლშევიკურადაა განწყობილი. მაგათი მომხრეები, ვინც გარეთ დარბიან, თითქოს მექანიკურად არიან დაქოქილები და ტვინში პროგრამა აქვთ ჩატვირთული, თანაც ყველა ერთნაირად ლაპარაკობს. ფაქტია, გაკოტრებულები არიან, მაგათ ხალხი არ ენდობა, არც პოლიტიკური ალღო აქვთ. **ირბინონ და ატარონ მიტინგები, ხალხის გარეშე მაინც ვერაფერს გააკეთებენ, მთავრობას ვერ ჩაენაცვლებიან,** თანაც, ესენი უკვე კომიკურ მდგომარეობაში არიან — საბრალოები და სასაცილოები გახდნენ.

და კიდევ — **დროა სააკაშვილი ციხეში გადაიყვანონ,** აკი, თვითონაც ამბობს, ჯანმრთელი ვარო. რაც შეეხება **სალომე ზურაბიშვილს,** ვფიქრობ,

## გამოსალოცი გვაქვს პრეზიდენტის სავარძელი, ვინც შიგ ჩაჯდა, ყველამ გააფრინა!

*ესაუბრა ქეთევან ხამიცაშვილი*

# დანიის საელჩოში რაღაც დალპა!

***როცა სადმე მნიშვნელოვანი საქმე წახდება და ვითარება აირ-დაირევა, შექსპირის „ჰამლეტის“ მიხედვით იტყვიან ხოლმე — დანიის სამეფოში რაღაც დალპაო, ჩვენ კი სრული საფუძველი გვაქვს იმის სათქმელად, რომ დანიის საელჩოში რაღაც დალპა, რადგან საქართველოში დანიის ელჩი ანე ტოფტ სორენსენი საშუალო სტატისტიკური ნაცივით თუ ნაცმიდრეკილი არასამთავრობოელივით ალაპარაკდა.***




**პირდაპირ ასე, ხელაღებით და უაპელაციოდ წერს დანიის ელჩი — ივანიშვილი ოლიგარქიაო!
თითქოს დანიის ელჩი და ევროპელი დიპლომატი კი არა, რომელიმე სალომე სამადაშვილი ან ხატია დეკანოიძე, ანა ნაცვლიშვილი ან თინა ბოკუჩავა წერდეს!**





დანიის ელჩი ანე ტოფტ სორენსენი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში

## როცა დანიის ელჩი, ქალბატონი სორენსენი ისე წერს და ლაპარაკობს, როგორც სააკაშვილის, ხაზარაძისა თუ ვაშაძის პარტიის რომელიმე ენაწაგდებული პოლიტდედაკაცი, ეს ნიშნავს, რომ დანიის საელჩოში რაღაც დალპა!

საქმე ის არის, რომ საქართველოში **დანიის სამეფოს ელჩმა ანე ტოფტ სორენსენმა** ერთ-ერთ დანიურ გამოცემაში ე.წ. **ოპ-ედი,** ანუ საავტორო სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და ამჟამად პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეს **ბიძინა ივანიშვილს** ოლიგარქად მოიხსენიებს.

დანიის ელჩის სტატიიდან ამონარიდში, რომელიც ევროპელი პენსიონერებისათვის მილიარდი დოლარის მოპარვაში მხილებული და ქართული ჯარის გაძარცვისათვის გასამართლებული ძებნილი ოლიგარქის — **დავით კეზერაშვილის** ტელევიზია „ფორმულამ“ გამოაქვეყნა, ვკითხულობთ:

> ***„მმართველი „ქართული ოცნების“ პარტია, დაარსებული ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის მიერ, რომელმაც ქონება 1990-იან წლებში რუსეთში დააგროვა, ხელისუფლებაშია 2012 წლიდან. ოპოზიცია, რომელსაც სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხელმძღვანელობს, მუდმივად ბოიკოტს უცხადებს საპარლამენტო მუშაობას და ხელისუფლებას სასამართლოების პოლიტიზებაში, თავისუფალი მედიის ჩახშობასა და ოპოზიციის წევრების შევიწროებაში ადანაშაულებს“.***

დანიის ელჩი **ბიძინა ივანიშვილს** ოლიგარქს კი უწოდებს, მაგრამ არანაირად არ ასაბუთებს, რატომ არის ოლიგარქი მმართველი პარტიის დამფუძნებელი და საპატიო თავმჯდომარე!

**დანიის ელჩის სტატიაში მოყვანილი არ არის არცერთი ფაქტი, რომელიც ივანიშვილის ოლიგარქობას დაადასტურებს!**

**დანიის ელჩის პუბლიკაცია არ შეიცავს არანაირ მსჯელობასა და ანალიზს, რომლის მიხედვითაც შეიძლება, დაასკვნა, რომ ივანიშვილი ოლიგარქია!**

**პირდაპირ ასე, ხელაღებით და უაპელაციოდ წერს დანიის ელჩი — ივანიშვილი ოლიგარქიაო!**

**თითქოს დანიის ელჩი და ევროპელი დიპლომატი კი არა, რომელიმე სალომე სამადაშვილი ან ხატია დეკანოიძე, ანა ნაცვლიშვილი ან თინა ბოკუჩავა წერდეს!**

ჰოდა, როცა **დანიის ელჩი, ქალბატონი სორენსენი** ისე წერს და ლაპარაკობს, როგორც **სააკაშვილის, ხაზარაძისა თუ ვაშაძის პარტიის რომელიმე ენაწაგდებული პოლიტდედაკაცი,** ეს ნიშნავს, რომ **დანიის საელჩოში რაღაც დალპა!**

კიდევ კარგი, საქართველოს ხელისუფლებას **დანიის ელჩის** უპასუხისმგებლო განცხადებაზე ის რეაქცია ჰქონდა, რაც უნდა ჰქონოდა — **ივანიშვილის ოლიგარქად მომხსენიებელი დიპლომატი საგარეო საქმეთა სამინისტროში ახსნა-განმარტებისათვის დაიბარეს.**

კიდევ კარგი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ **საქართველოს ხელისუფლებას 3-4 წლის წინათ დაუკრეფავში გადასული რომელიმე ელჩისათვის ახსნა-განმარტების მოთხოვნის კი არა, ყასიდი საყვედურის თქმის ილაჯიც არ ჰქონდა, ახლა კი სხვანაირად ხდება და მისასალმებელია, რომ ქართული სახელმწიფო სუვერენიტეტისა და თავმოყვარეობის ნიშნებს ავლენს.**

მოკლედ, იხმეს **დანიის ელჩი** საგარეო საქმეთა სამინისტროში და მოსთხოვეს განემარტა, რატომ გასცდა მოქმედი დიპლომატის უფლებამოსილების ფარგლებს და რატომ გააკეთა დაუსაბუთებელი პოლიტიკური განცხადება, რომელიც მარტო ივანიშვილის კი არა, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის — საქართველოს იმიჯს აზიანებს?

**დანიის ელჩს კომენტარი არც საგარეო საქმეთა სამინისტროში შესვლამდე გაუკეთებია და არც იქიდან გამოსვლის შემდეგ, მაგრამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა საქართველოში დანიის საელჩომ:**

> *„დანიური სტატიიდან ამოღებულია ამონარიდი, რომელიც ქართულ დებატებში კონტექსტის გარეშე გამოიყენება. საელჩოს არა აქვს სურვილი, წვლილი შეიტანოს აღნიშნულში და დამატებითი კომენტარისაგან თავს იკავებს“.*

**როგორც ხედავთ, საკმაოდ უსუსური თავის მართლება და უხერხული სიტუაციიდან გამოძრომის უბადრუკი მცდელობაა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ დანიის საელჩოში რაღაც დალპა!**

რა „კონტექსტის გარეშე“ და რის „კონტექსტიდან ამოგლეჯილად“, როცა დანიის ელჩი გარკვევით, მკაფიოდ და ცალსახად წერს — **ივანიშვილი ოლიგარქიაო!**

**წერს და არ ასაბუთებს!**

**წერს და არაფრით ამტკიცებს!**

**წერს, როგორც დაწერდა რომელიმე ეკა გიგაური ან რომელიმე ნინო ლომჯარია!**

მას შემდეგ, რაც **დანიის ელჩს** ახსნა-განმარტება ჩამოართვა, განცხადება გაავრცელა **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომაც:**

> *„შეხვედრაზე ქართულმა მხარემ აღნიშნა,* ***რომ სამწუხაროა პუბლიკაციაში არსებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი უზუსტობები და არაობიექტური შეფასებები, რაც ხელს არ უწყობს ქვეყნის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების, მათ შორის, დანიელი მკითხველის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.*** *შეხვედრაზე დანიურმა მხარემ წუხილი გამოთქვა აღნიშნულის გამო და განაცხადა, რომ სტატია გამიზნული იყო დანიის მხრიდან საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერისათვის“.*

ყოველივე ამას დიპლომატიური ეთიკისა და პოლიტკორექტულობის საბურველი რომ მოვაცილოთ და პირდაპირ, სახალხო ენაზე ვთქვათ, ვითარება ასეთია — **ქართულმა სახელმწიფომ დანიის ელჩს პროვოკატორობის გამო ყური აუწია, დანიის ელჩმა კი, როგორც ფაქტზე წასწრებულმა უნიათო პროვოკატორმა, აწითლებულ ყურზე ხელი მოისვა და თავი დახარა!**

საგულისხმო და საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ **დანიის ელჩი,** რომელიც ივანიშვილს ოლიგარქს უწოდებს, იმავე სტატიაში სააკაშვილს ყოველგვარი განსაზღვრებისა და ეპითეტის გარეშე მოიხსენიებს — **„ოპოზიცია, რომელსაც სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** ხელმძღვანელობს“...

არ წერს — **პატიმარ სააკაშვილის** პარტია ან **მსჯავრდებულ სააკაშვილის** პარტიაო, წერს — **სააკაშვილის პარტიაო ...**

სამაგიეროდ, იქვე აღნიშნავს **— ოლიგარქი ივანიშვილიო...**

**ეს მნიშვნელოვანი ნიუანსია, რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, დანიის ელჩის პოლიტიკურ პრეფერენციებს აშიშვლებს და მიგვანიშნებს, საითკენ არის გადახრილი მისი სიმპათიები.**

კი, **დანიის ელჩისათვის** ივანიშვილი რომ **„ოლიგარქი ივანიშვილია“,** ხოლო სააკაშვილი **„პატიმარი სააკაშვილი“ ან „მსჯავრდებული სააკაშვილი“** არ არის, ეს **დანიის ელჩის** შესახებ იმაზე მეტს გვეუბნება, ვიდრე თავად **დანიის ელჩს** უნდოდა ეთქვა!

### თუ შექსპირის ტრაგედიის მიხედვით, დანიის სამეფოში ჰამლეტის მამის აჩრდილი დაძრწის, დანიის ელჩის სტატიის მიხედვით, დანიის საელჩოში სააკაშვილის დედის აჩრდილი დაბორიალობს!

ალბათ, ამიტომაც წერს და ლაპარაკობს **დანიის ელჩი** გიული ალასანიასავით!

ალბათ, ამიტომაც არის, რომ **დანიის საელჩოში რაღაც დალპა!**

**ჯაბა ხუბუა**

# გოგა ხაინდრავა: სულ მალე დღის წესრიგში დადგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა გადაჭრაშიც ბიძინა ივანიშვილი პირადად მიიღებს მონაწილეობას!





*რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების კვალდაკვალ და რა ფაქტორებმა განაპირობეს მისი „მესამედ მოსვლა“? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ყოფილ სახელმწიფო მინისტრს, კინორეჟისორ **გოგა ხაინდრავას** ვესაუბრებით:*

— პირადად ჩემთვის **ბიძინა ივანიშვილის** პოლიტიკაში დაბრუნება სულაც არ იყო მოულოდნელი იმ გარდამტეხი მოვლენების ფონზე, რაც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს. ვხედავთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის პოლიტიკა კრახს განიცდის, მსოფლიო წესრიგი აბსოლუტურად მოშლილია და 2024 წელი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ურთულესი იქნება, **ამ ვითარებაში კი საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანია პოლიტიკურ ასპარეზზე ისეთი მასშტაბური ფიგურის შემოსვლა, როგორიც ბიძინა ივანიშვილი გახლავთ.**

**— რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის პოლიტიკა კრახს განიცდის?**

— ყველაზე დიდი უბედურება, რისი მომსწრენიც დღეს ვართ, ეს არის აშშ-ისა და ევროპის წარმოუდგენელი ლაჩრობა და უუნარობა უკრაინასთან მიმართებაში, რომელიც „საზარბაზნე ხორცად“ გამოიყენეს და 40-მილიონიანი უკრაინელი ერი გასანადგურებლად გაწირეს!

შეხედეთ **პრეზიდენტ ბაიდენს** და მიხვდებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ღრმა კრიზისშია! **კაცს, რომელსაც საკუთარი სახელი და გვარიც კი აღარ ახსოვს, ხელმეორედ უპირებენ პრეზიდენტად დასმას და ცდილობენ, მსოფლიო დააჯერონ, თითქოს ამერიკას ეს აბსოლუტური გაუგებრობა მართავს.** ვფიქრობ, თავმოყვარე ამერიკელი ხალხი ამ სირცხვილს არ შეეგუება და შესაძლოა, 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა შეერთებულ შტატებში სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვიოს!

შეხედეთ ულმერთობასა და მკრეხელობაში გადავარდნილ ევროპას! რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრად დანიშნეს 34 წლის გეი **გაბრიელ ატალი,** რომელმაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი თავის საყვარელ მამაკაცს **სტეფან სეჟორნეს** ჩააბარა!

**— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების საკითხს მივუბრუნდეთ...**

— შეიძლება ითქვას, რომ უკვე დაწყებულია ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი, რომელშიც საქართველოს ძალიან ხელსაყრელი პოზიცია უკავია. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ — **ბოლო ათწლეულების განმავლობაში**

**მსოფლიო პოლიტიკის რუკაზე თავისი ღირსეული ადგილის მოსაპოვებლად საქართველოს არასოდეს ჰქონია ისეთი შანსი, როგორიც დღეს აქვს!**

საქართველომ, როგორც იქნა, საკუთარ თავში იპოვა ძალა და ღირსება თავისი სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის დასაცავად!

საქართველომ, როგორც იქნა, თავი დააღწია ფაქტობრივ მონობას, როცა ე.წ. დემოკრატიული სამყაროდან მოსული დირექტივების უსიტყვო შემსრულებელი იყო!

საქართველომ, როგორც იქნა, შეძლო, მთელი მსოფლიოს გასაგონად ეთქვა, რომ საკუთარი ეროვნული ინტერესები გა-







## კვირგვინოსნები



**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*

**ბაიდენი ნამდვილი საფრთხეა დემოკრატიისთვის,** ახლა გონებრივად ჩამორჩენილი პრეზიდენტის ყოლის დრო არ არის.

„რეზონანსი“



**რეჯეფ თაიფ ერდოღანი**
*თურქეთის პრეზიდენტი*

აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს სურთ, **წითელი ზღვა სისხლის ზღვად აქციონ.**

„აიპრესი“



**ილონ მასკი**
*SpaceX-ისა და Tesla-ს ხელმძღვანელი*

მხარს ვუჭერ უკრაინას, მაგრამ, როგორც ჩანს, **ეს მარადიული ომია პროგრესის გარეშე — უბრალოდ, ვწირავთ უკრაინის ახალგაზრდობას** ყოველგვარი ტერიტორიული მიღწევების გარეშე.

„იმედინიუსი“



**ვალერი კლოჩოკი**
*უკრაინელი ექსპერტი*

**ნატოს წევრი ქვეყნები რუსეთთან ომისთვის ემზადებიან.**

„ახალი თაობა“



**მიხეილ ჭელიძე**
*მცირე და საშუალო ბიზნესასოციაციის თავმჯდომარე*

საქართველოთი **2024 წელს მეტი ინვესტორი დაინტერესდება,** რასაც ევროპული საწარმოების გახსნა მოჰყვება.

„ახალი თაობა“



**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*

**უნდა მოვიგოთ არჩევნებზე,** გავაგრძელოთ რეფორმები ჩვენს ქვეყანაში და, რაც მთავარია, **შევინარჩუნოთ მშვიდობა.**

„იმედინიუსი“



„როცა ხაბეიშვილი და ხაზარაძე პოლიტიკურ ორგანიზაციებს უდგანან სათავეში, როგორ შეიძლება, ოპოზიციაზე სერიოზულად ვილაპარაკოთ?!“



# „შეხედეთ ხაზარაძის უკან მდგომ შემადგენლობას: სამადაშვილსა და უსუფაშვილს, გეგელიასა და ნაცვლიშვილს და მითხარით, ამათ შეიძლება, ღირსებასთან და თავმოყვარეობასთან რამე კავშირი ჰქონდეთ?!“

აჩნია და მხოლოდ ამ ინტერესების შესაბამისად იმოქმედებს, ეს ყველაფერი კი ქართველ ხალხთან ერთად სწორედ **ბიძინა ივანიშვილისა და მის მიერ შექმნილი პოლიტიკური გუნდის დამსახურებაა!**

ივანიშვილს პოლიტიკაში ყოფნის სურვილი და ხალისი არასოდეს ჰქონია და, მითუმეტეს, არც დღეს აქვს, მაგრამ დაბრუნდა, რადგან სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობს და უნდა, საქართველოს კიდევ ერთხელ დაეხმაროს მის წინაშე მდგარი სერიოზული ამოცანების გადაჭრაში!

**— მაინც როგორ წარმოგიდგენიათ „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის სტატუსის მქონე ივანიშვილის როლი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

— **საპატიო თავმჯდომარე** ერქმევა თუ სხვა რამ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... რეალურად, საქართველოს მმართველი პარტიის საჭესთან დგას **ბიძინა ივანიშვილი,** რომელსაც ოფიციალური სტატუსი საშუალებას მისცემს, უშუალოდ იყოს ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, მათ შორის, მსოფლიო დონისა და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მოლაპარაკებებში. დარწმუნებული ვარ, სულ მალე დღის წესრიგში დადგება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა გადაჭრაშიც ბიძინა ივანიშვილი პირადად მიიღებს მონაწილეობას!

**— სხვათაშორის, ივანიშვილმა თავის გამოსვლაში რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა — საქართველოს ეროვნული ამოცანები შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთ და ქვეყანას გავაერთიანებთო! ამ მიმართულებით რაიმე სასიკეთო ძვრებს ელოდებით?**

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ცოტა ხნის წინათ გადაიდგა, როცა საქართველომ ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა!

**ჩინეთს ძალიან დიდი გავლენა აქვს რუსეთზე და რუსეთი ძალიან დავალებულია ჩინეთისაგან, რადგან მის გარეშე ისე მყარად ვერ იდგებოდა ფეხზე, როგორც დღეს დგას. ამდენად, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის — ჩინეთის პოზიციას რუსეთი ძალიან ბევრ საკითხში გაითვალისწინებს და ანგარიშს გაუწევს.** ამ ფონზე, საყურადღებოა საქართველოში ჩინეთის ელჩის განცხადება — მზად ვართ, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში სასიკეთო როლი შევასრულოთო!

მოკლედ, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში სერიოზული საკითხების გადაწყვეტის დრო დგება და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ **ბიძინა ივანიშვილი** სწორედ ასეთ დროს ჩაუდგა სათავეში მმართველ პარტიას!

**— თუმცა, ნაცოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში დასავლური სანქციებისა და მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხების შიშმა დააბრუნა!**

— არავითარი მნიშვნელობა და ფასი არა აქვს, რას ამბობენ უმეცარი და გროშებად გაყიდული ვაი-პოლიტიკოსები, რომლებსაც არც ტვინი აქვთ, არც — სინდისი და არც — ღირსება! ანდა, ვინ არის ოპოზიცია? როცა **ხაბეიშვილი და ხაზარაძე** პოლიტიკურ ორგანიზაციებს უდგანან სათავეში, როგორ შეიძლება, ოპოზიციაზე სერიოზულად ვილაპარაკოთ?! შეხედეთ ხაზარაძის უკან მდგომ შემადგენლობას — **სამადაშვილსა და უსუფაშვილს, გეგელიასა და ნაცვლიშვილს** და მითხარით, ამათ შეიძლება, ღირსებასთან და თავმოყვარეობასთან რამე კავშირი ჰქონდეთ?!

სხვათაშორის, ამ უსამშობლო ვაი-ოპოზიციის კატასტროფული მდგომარეობა იმასაც ცხადად გვიჩვენებს, თუ რა დღეში არიან მათი ამერიკელი და ევროპელი პატრონები, რომლებსაც დემოკრატიისა და ლიბერალიზმის მითი ისევე ჩამოემხოთ თავზე, როგორც ზღაპრები ზელენსკის გმირობისა და უკრაინის გამარჯვების შესახებ!

**— ზელენსკისა და უკრაინას რა ბედი ელით?**

— **ზელენსკი** არის ბოროტი მასხარა, რომელიც პრეზიდენტად დასვეს იმიტომ, რომ უკრაინა დაეღუპა და დაღუპა კიდეც! სამწუხაროდ, უკრაინას კარგი არაფერი ელოდება, ის უკვე გაცამტვერებულია და მიწასთან არის გასწორებული!

**— თუმცა, ომი ჯერ არ დამთავრებულა!**

— რუსეთი უკრაინას კი არა, ამერიკას ეომება და ამ ომს მანამდე არ შეწყვეტს, სანამ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე არ მოახდენს გავლენას! შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი ახლა ამერიკის დანგრევას ცდილობს, თორემ უკრაინა უკვე დანგრეულია!

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***





*საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი* ***გაბრიელ ატალი*** *და საგარეო საქმეთა მინისტრი* ***სტეფან სეჟორნე***

# „რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრად დანიშნეს 34 წლის გეი გაბრიელ ატალი, რომელმაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი თავის საყვარელ მამაკაცს სტეფან სეჟორნეს ჩააბარა!“

## კვირგვინოსნები

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**მამუკა ხაზარაძის** მცდელობა, წარმოაჩინოს ვითომდა **ბიძინა ივანიშვილის** ახლო კავშირები რუსეთთან, სხვა არაფერია, თუ არა **ნაცკლასტერისა და მათი წარმომადგენლების, ასევე, გლობალური ომის პარტიის მცდელობა, რომ „ქართული ოცნება“ შერაცხონ რუსული პოლიტიკის გამტარებლად საქართველოში.** შევახსენებ ბატონ **მამუკა ხაზარაძეს,** რომ, როდესაც ის ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ბანკირი გახდა და **სააკაშვილს ხალხის ქონების დატაცებაში ეხმარებოდა,** რუსეთთან მათი კავშირები არ ახსოვდა.

„იმედინიუსი“

**გიორგი გობრონიძე**
*ექსპერტი*



30 წელია, **საქართველოს ყველა ხელისუფლება იმედიანად ლაპარაკობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე, მაგრამ ჯერ არავის არაფერი გაუკეთებია.** ამიტომ კარგი იქნება, როდესაც პოლიტიკოსი ლიდერები ამ საკითხზე ისაუბრებენ, განცხადებაში უფრო მეტი კონკრეტიკა შეიტანონ და გვითხრან, **როგორ წარმოუდგენიათ დეოკუპაციისთვის მუშაობა, ან როგორ წარმოუდგენიათ და როგორ აფასებენ რუსეთთან კომუნიკაციას.**

„კვირის პალიტრა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



**დღეს ოპოზიცია, ფაქტობრივად, მკვდარია!**

„ახალი თაობა“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**ხალხის გულის მოგება** მხოლოდ **ბიძინა ივანიშვილს** შეუძლია.

„ახალი თაობა“

***მას შემდეგ, რაც „პარტიზანმა მებაღემ“ და ფართო საზოგადოების მიერ „ხექალად“ შერაცხილმა ნაცაქტივისტმა ნატა ფერაძემ სამების საკათედრო ტაძარში დაბრძანებულ წმინდა მატრონას ხატს საღებავი შეასხა, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები კანონმდებლობის გამკაცრებაზე ალაპარაკდნენ.***

*კერძოდ, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე* ***ანრი ოხანაშვილი*** *აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში მოამზადებენ კანონპროექტს, რომლითაც რელიგიური ნაგებობებისა და ნივთების შეურაცხყოფისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება იქნება გათვალისწინებული. საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი წევრის —* ***ბექა დავითულიანის*** *განცხადებით, აუცილებელია, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე კანონი გამკაცრდეს, რათა მსგავსი საქციელის ჩამდენებს ადამიანები ქუჩაში არ გაუსწორდნენ.*

*არადა, საქართველოს პარლამენტს ჯერ კიდევ 6 წლის წინათ — 2018 წელს, შეეძლო, მიეღო კანონი, რომლის მიხედვითაც სხვისი რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელი პირი პირველ ჯერზე ჯარიმით დაისჯებოდა, დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი ციხეში მოუწევდა ჩაჯდომა.* ***პარლამენტში აღნიშნული კანონპროექტის წარმდგენი ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი, აწ უკვე ყოფილი დეპუტატი ემზარ კვიციანი გახლდათ,*** *თუმცა, მის საკანონმდებლო ინიციატივას მხარი არც ოპოზიციამ დაუჭირა და არც — უმრავლესობამ.*

# „როცა პარლამენტში რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ამკრძალავი კანონპროექტი წარვადგინე, საპატრიარქოს წარმომადგენლებმა კრიტიკულად და სკეპტიკურად შემომხედეს!“



„დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა — შეიძლება, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასთან დაკავშირებული კანონი ეკლესიის მტრებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონო!“

**ემზარ კვიციანი:**



# ქართული ეკლესიისა და მართლმადიდებლობის მტრების წინაშე საპატრიარქო ძალიან სუსტად იცავს თავს!

**ემზარ კვიციანი:** — როგორც ყველა ნორმალური ქართველი, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ და აღშფოთებული ვარ იმით, რომ საქართველოში ქართველობისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა არ წყდება. თანაც, ყველა წვრილფეხა შემსრულებლებზე საუბრობს, მთავარ დამნაშავეს კი არავინ ადებს ხელს!

**— დააკონკრეტეთ, რა გაქვთ მხედველობაში?**

— ხატის წაბილწვასა და მართლმადიდებლობის შეურაცხყოფაში მთავარი დამნაშავე გარეწარი დედაკაცი **ნატა ფერაძე** კი არა, ის ძალაა, რომელიც მის უკან დგას და რომლის დავალებებსაც ეს **კოლექტიური ნატაფერაძეები** მრავალი წელია, ასრულებენ!

**— კერძოდ?**

— **საქართველოში ქართველობისა და მართლმადიდებლობის მთავარი მტერი ამერიკის შეერთებული შტატები და მისი საელჩოა,** თუმცა, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ამერიკის საელჩო საქართველოში რუსეთის ზურგს უკან და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ არასოდეს მოქმედებს! დიახ, **არავინ დაიჯეროს, რომ ამერიკა და რუსეთი ერთმანეთთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე საქართველოში რამე ნაბიჯს დგამენ!**

აქვე აღვნიშნავ, რომ **ქართული ეკლესიისა და მართლმადიდებლობის მტრების წინაშე საპატრიარქო ძალიან სუსტად იცავს თავს!** მაშინაც კი, როცა პარლამენტში რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ამკრძალავი კანონპროექტი წარვადგინე, საპატრიარქოს წარმომადგენლებმა კრიტიკულად და სკეპტიკურად შემომხედეს!

**— რაში გამოიხატებოდა საპატრიარქოს სკეპტიციზმი და კრიტიკული დამოკიდებულება თქვენი კანონპროექტის მიმართ?**

— დეკანოზმა **ანდრია ჯაღმაიძემ** განაცხადა — შეიძლება, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასთან დაკავშირებული კანონი ეკლესიის მტრებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონო! ცოტა არ იყოს, გასაკვირი და უცნაური იყო ეს განცხადება — **თუ რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელს კანონის წინაშე მოუწევდა პასუხისგება, ეს ჩვენი ეკლესიისა და მართლმადიდებლობის მტრების სასარგებლო რანაირად უნდა ყოფილიყო?! ნატა ფერაძისნაირმა ნაძირალებმა იმაზე მეტი სარგებელი რაღა უნდა ნახონ, როცა ხატისა და ჯვრის წაბილწვის გამო პასუხსაც კი არ აგებენ?!**

**— საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა რატომ არ დაუჭირეს მხარი თქვენ მიერ ინიცირებულ კანონპროექტს?**

— პარლამენტარები, რომლებიც მართლა ქართველები არიან და გვარები არა აქვთ გადაკეთებული, სულაც არ იყვნენ წინააღმდეგი, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ამკრძალავი კანონი მიგვეღო. „ქართული ოცნებიდან“ თითქმის ყველა დეპუტატი ცალ-ცალკე მეუბნებოდა, რომ ასეთი კანონის მიღება აუცილებელია, მაგრამ ხელებს ასავსავებდნენ — რა ვქნათ, თავს ზემოთ ძალა არ არისო!

**— კი მაგრამ, დეპუტატებს ვინ აუკრძალა ასეთი კანონის მიღება?**

— აუკრძალა იმან, ვინც ჩვენს ქვეყანას რეალურად მართავს და ვის კოლონიადაც ვიქეცით — **ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ!** თუმცა, ვიმეორებ — ამერიკელები და რუსები საქართველოში ერთმანეთის ტყავს არ ხევენ და ძალოვან უწყებებსაც თანაბრად აკონტროლებენ!

თქვენი აზრით, როგორ შეაღწია **ნატა ფერაძემ** სამების საკათედრო ტაძარში, რომლის ტერიტორიაც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კარგად დაცული სივრცეა? ანდა ხატის წამბილწველი ადგილზევე რატომ არ დააკავა დაცვის სამსახურმა? **როცა იცი, რომ ტაძარში დაბრძანებული ხატის გარშემო ამხელა აჟიოტაჟია ატეხილი, შიგნით რატომ უშვებ პროვოკატორს, რომელიც ეკლესიისა და პატრიარქის მტრობით არის ცნობილი?**

ვფიქრობ, ვიღაცას აწყობდა, ეს ამბავი მომხდარიყო, რათა კიდევ ერთხელ დაფიქსირებულიყო, რომ ქართული ეკლესიისა და მართლმადიდებლური სიწმინდეების შეურაცხყოფისათვის პასუხს არავინ აგებს, ხოლო **ნატაფერაძეებს** თამამად შეუძლიათ, თავიანთი საქმე აკეთონ!

**— როგორ ფიქრობთ, ახლა მაინც თუ ინებებს პარლამენტი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ამკრძალავი კანონის მიღებას?**

— რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ კანონი სასწრაფოდ თუ არ მიიღეს, დიდი უბედურება დატრიალდება, რადგან მოთმინების ფიალაავსებული ხალხი ნატა ფერაძესა და მისნაირებზე ქუჩაში დაიწყებს ნადირობას! **ეს ნაძირალა ქალი და მისთანანი ყველაფრის ღირსები არიან, მაგრამ ბევრი გულანთებული პატრიოტი ციხეში მოხვდება იმის გამო, რომ ეკლესიისა და მართლმადიდებლობის მტრებს საკადრისი პასუხი გასცა!**

სხვა თუ არაფერი, ერის სირცხვილია, რომ ქვეყანაში ჰომოსექსუალების დასაცავად ათასნაირი კანონი გვაქვს მიღებული, მაგრამ არ არსებობს ერთი ნორმალური კანონი, რომელიც მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებსა და საეკლესიო სიწმინდეებს შეურაცხყოფისაგან დაიცავს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



**ნატა ფერაძე**

## „მოთმინების ფიალაავსებული ხალხი ნატა ფერაძესა და მისნაირებზე ქუჩაში დაიწყებს ნადირობას!“

## კვირგვინოსნები

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



შევქმნათ ვებგვერდი **Anathema.ge** და შევიყვანოთ **ჩვენი რწმენისა და ეკლესიის დაუძინებელი მტრები.**

„იმედინიუსი“

**გურამ ნიქოლაიშვილი**
*საჯარო პოლიტიკის სპეციალისტი*



**ლაშა ბუღაძე** პირველად არ ერთვება ისეთ საკითხებში, რაც ეხება ეკლესიას, **ეს ადამიანები ცდილობენ, რომ ეკლესია ბნელად, რეტროგრადად და ჩამორჩენილად წარმოაჩინონ.**

„იმედინიუსი“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ნორმალურ ადამიანებს თავშიც კი არ მოგვდის, **რა დონისა და რა ტიპის პროვოკაცია შეიძლება გამოცხვეს სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების თავებში,** რაც შეიძლება განახორციელონ კიდეც. ამიტომ სიფხიზლეა საჭირო.

„ახალი თაობა“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



ავსულებს ეს ახასიათებთ, რომ შობის **წინ, სააღდგომოდ მოაწყონ ერთგვარი სექტანტური შაბაშები,** გავიხსენოთ წინა დიდ დღესასწაულებზე **„ნაცქაჯების“ მხრიდან „შავი სიების“ შედგენა, საპატრიარქოზე თავდასხმები, ხატმებრძოლეობა.**

„იმედინიუსი“



„2023 წელი ბიძინა ივანიშვილმა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, დახურა!“

# მაია ნიკოლეიშვილი:

# ვინც დღეს წმინდა მატრონას ხატს შეურაცხყოფს, ყველანი სექტანტები და საქართველოს მტრები არიან!

***2024 წელი ე.წ. ლიბერალების აქტიურობით დაიწყო. ამჯერად ისინი სამების საკათედრო ტაძარში დაბრძანებულ წმინდა მატრონას ხატს შეესივნენ, ხოლო მიზეზად ხატზე გამოსახული სტალინის ფიგურა დაასახელეს. სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილთან, რომელიც აცხადებს, რომ პროვოკაციების ეს სერიაც დაგეგმილია და გარედან მართული:***

— 2024 წელი ნეოლიბერალების, სექტანტების აქტიურობით შემთხვევით არ დაწყებულა — **ჯინ შარპის** სულიერმა შვილებმა, **ლეონ ტროცკის** დაწყევლილმა მემკვიდრეებმა, ამერიკული ლენინიზმის ლაბორატორიებში გამოზრდილ-დაფინანსებულებმა, როგორც ჩანს, მთელი წელი იმუშავეს და შეადგინეს საქართველოს მართლმადიდებელთა გასაბრაზებელი **„საახალწლო მავნებლობის კალენდარი!“** დარბიან თოხარიკები, ხან **წმინდა მატრიონუშკა** არ მოსწონთ, ხან — **სტალინი,** ხან უწმინდესის გვარს თარგმნიან, ხან თავიანთ თავსაბურავზე — პრეზერვატივებზე მეფეთ მეფე თამარს ხატავენ.

წარსულის მეხსიერებაზე, რწმენაზე, ავტორიტეტულ ადამიანებზე დარტყმა ჩვეულებრივი ლენინიზმია, გადამუშავებული ინგლისურ ენაზე ამერიკელების მიერ. ლევან ბერძენიშვილისა და მსგავსი ადამიანების გამოხტომებიც, საქართველოს ღირსეული მეფეების იდიოტებად შერაცხვა, ამ მეთოდური სახელმძღვანელოდან არის!

**— ანუ გლობალური პრობლემაა?**

— მართლმადიდებლობას და ტრადიციულ რელიგიებს ყველგან უტევენ მომაკვდავი ნეოლიბერალები. ქართველები მათ უკან მიჩანჩალებენ და უცხოურ ხელფასს ინფანტილურ-იდიოტურ ქცევებში იღებენ. პროვოკაციების ეს სერიაც დაგეგმილი და გარედან მართულია ისევე, როგორც შარლ ებდოს პროვოკაცია, მამა ბასილის ეკლესიაზე თავდასხმა, ყურანის დაწვა აზრის გამოხატვის სახელით, სატანისტების მიერ უკრაინის ეკლესიებში როკვა, კიევ-პეჩორის ლავრაში შეჭრა, მღვდელმთავრის დაპატიმრება, ამ შობაზე იტალიაში მაცხოვრის მშობლებად ორი ქალის ან ორი კაცის გამოძერწვა, ერთნაირსქესიანთა კურთხევის დაშვება... **დიახ, ეს ყველაფერი ერთი სცენარის ნაწილია, ლეონ ტროცკის ახდენილი ოცნება — მესამე, ფაშისტურ-სატანისტური ინტერნაციონალი!**

როგორ ფიქრობთ, შემთხვევით დაწერა ლაშა ბუღაძემ — **რუსულ შობას გილოცავთო?** რა თქმა უნდა, არა. დაგვცინა თავისი უნიჭო ჭკუით. **დავით ზურაბიშვილმა** საკმაოდ ვრცელი პოსტი რომ მიუძღვნა მატრონიუშკას ხატზე გამოსახულ სტალინს, ესეც ამ სცენარის ნაწილია.

**— თქვენი აზრით, სწორია სტალინის გამოსახულებით სამებაში წმინდა მატრონას ხატის დაბრძანება?**

— ჩემი აზრი ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანია — **ვინც დღეს წმინდა მატრონას ხატს შეურაცხყოფს, ყველანი სექტანტები და საქართველოს მტრები არიან!**

ჩვენ ვინ ვართ, ხატზე გამოსახულება რომ შევაფასოთ?! ეს ხომ მკრეხელობაა?! ხატმწერს აქვს კურთხევა — რასაც შეიგრძნობს, ის გადმოსცეს. ის ხომ **ვაი-მხატვარი მამა ბუღაძე** არ არის, რომელმაც, მიხეილ სააკაშვილის დავალებით, იუსტიციის სამინისტროში განთავსებულ პანოზე თემიდას თვალი აუხილა?! ხატმწერს სხვანაირი შთაგონება ეძლევა, სხვა შემთხვევაში მას კურთხევას არ მისცემენ. **სტალინის საქმიანობა პოლიტიკურად მისაღებია თუ არა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ხატის რევიზიის უფლება არავის აქვს! ეს არის ტროცკისტების შთამომავლების მხრიდან მიზანმიმართული შეტევა ეკლესიასა და სარწმუნოებაზე!**

რაც შეეხება თავად სტალინს, ის იყო უდიდესი სტრატეგი, ქართველი მთავარსარდალი, რომელმაც ფაშიზმი დაამარცხა და ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია დაუბრუნა. მასზე დარტყმა არის ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაზე დარტყმა. ფაშიზმის მეხოტბეებისთვის სტალინი, როგორც ჩვენი ერის ისტორიული მეხსიერება, ცხადია, მიუღებელია. კიდევ ერთხელ ვამბობ — **ეს არის გლობალური დასავლეთის გეგმა — შეურაცხყონ რწმენა, იდენტობა და 2000-წლოვან ერს უთხრან — სახელმწიფო სააკაშვილმა შექმნა და, სულ რაღაც, 30 წელს ითვლის შენი ისტორიაო.**

ადრე უფრო მტკივნეული იყო მათი გამოხტომები, ახლა, სიმართლე გითხრათ, ბუზის ბზუილივით არის. უბრალოდ, გაბრაზდა საზოგადოება, რომ ეს მოუშორებელი სექტა ისევ მოქმედებაშია. ვფიქრობ, ამჯერად მეტ ყურადღებას ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების ფაქტი იმსახურებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2023 წელი ბიძინა ივანიშვილმა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, დახურა!

**— როგორ ფიქრობთ, რატომ დაბრუნდა?**

— ჯერ ის ვთქვათ, რატომ წავიდა?

**— კი ბატონო...**

— ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური მიზეზით წავიდა. შემთხვევითი არც ის იყო, რომ მთელი თავისი ფული „ქართუ ბანკში“ ჩადო. ამით მან საქართველო გადაარჩინა — მასზე ზეწოლის გამო ქვეყანა არ დააზარალა. **ჩვენ მაშინ ვერ ვხვდებოდით, რამხელა პოლიტიკური პროცესები მიდიოდა მსოფლიოში და რამდენად სერიოზული და გონივრული ნაბიჯი გადადგა ამ გადაწყვეტილებით.**

**— ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი არსად წასულა, ის ყოველთვის ქართულ პოლიტიკაში იყო.**

— მართალია, არსად წასულა, არ გაქცეულა, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი არ უთქვამს, უკრაინის მოქალაქეობა არ მიუღია, ქართული ენა არ დავიწყებია და თარჯიმანი არ მოუთხოვია. სულ საქართველოში იყო! ამას ის ხალხი ამბობს, ვინც არ აღიარებს, რომ მათი ღვთაება სააკაშვილი საქართველოდან გაიქცა, პასპორტი უკან მოგვიგდო, მოგვაფურთხა, მერე არაყნებში ჩაჯდა, ქვეყანაში შემოიპარა და დღეს გაიძახის, ნამდვილი უკრაინელი ვარო. **აი, ამის თაყვანისმცემლები ამბობენ ბიძინა ივანიშვილზე აუზს!** უკაცრავად, მაგრამ რატომ არ უნდა იყოს ბიძინა ივანიშვილი დღეს ქართულ პოლიტიკაში?

**— და მაინც, რატომ დაბრუნდა?**

— ვფიქრობ, ახლაც პოლიტიკური ნიშნით დაბრუნდა. ახალ, რთულ ეტაპზე გადადის მსოფლიოც და საქართველოც. ხდება პოლიტიკური კონფიგურაციების შეცვლა, პოლიტიკური პოლუსების, გავლენის სფეროების გადანაწილება. საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ ოკეანეში ერთი პატარა ნაფოტია და მას ძალიან სერიოზული გაფრთხილება სჭირდება.

ურთულეს პოლიტიკურ მოცემულობაში **ირაკლი ღარიბაშვილი** საგარეო პოლიტიკას ძალიან კარგად გაუძღვა, მოსამზადებელი სამუშაოები საგარეო პოლიტიკურ ნაწილში 10-ზე ჩააბარა — ჭკუიდან გადასული, გაალმასებული **ძელი დემნანის** ზეწოლის მიუხედავად, ქვეყანაში მშვიდობა შეინარჩუნა, მაგრამ დღეს, ალბათ, ბიძინა ივანიშვილის კონსულტაციები 2-3 კაცთან საკმარისი აღარ არის. მსოფლიოში ახალი ურთიერთობების გაფორმების კვალდაკვალ საჭიროა სერიოზული ლავირება. მაშინ, როცა შუა დერეფნის თემა ძალიან აქტუალურია გლობალური სამხრეთისთვის, აღმოსავლეთისთვის, ევროპისთვის, რუსეთისთვის და მთლიანად ისლამური სამყაროსთვის, მისი პოლიტიკაში ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია.

**— 30 წელია, ვამბობთ, აფხაზეთი და სამაჩაბლო მშვიდობიანი გზით უნდა დავიბრუნოთო, თუმცა, რა უნდა გავაკეთოთ, ეს არ ვიცით.**

— ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილს დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ფორმაზეც სერიოზულად აქვს ნაფიქრი და ამ კუთხითაც გადაიდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები! მას გადაწყვეტილებათა მიღების აბსოლუტურად არაორდინარული უნარი აქვს. ხოტბას არ ვასხამ, ამას მისი ფსიქოტიპიდან და იმ გამოცდილებიდან გამომდინარე ვამბობ, რასაც წლების განმავლობაში ვხედავ. **ორჯერ ორი მისთვისაც ოთხია, მაგრამ ჩვენ რომ მასზე პასუხს სტანდარტული გზით ვიღებთ, ის უმოკლესი და ორიგინალური გზით მიდის შედეგამდე.** ამიტომ ყველაზე რთულია იმის პროგნოზირება, რას გააკეთებს ბიძინა ივანიშვილი, თუმცა, კარგს რომ გააკეთებს საქართველოსთვის, ამაში დარწმუნებული ვარ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



„ეს არის ტროცკისტების შთამომავლების მხრიდან მიზანმიმართული შეტევა ეკლესიასა და სარწმუნოებაზე!“

## კვირგვინოსნები

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**ოპოზიცია განადგურებულია,** რაც სამწუხაროა, ქვეყანას დემოკრატიული ოპოზიცია სჭირდება, თუმცა, **მათი დამსახურებაა, რომ პოლიტიკურ ველზე აღარ შეიმჩნევიან.**

„პირველი არხი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



უკვე ძალიან დიდი ხანია, **ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკას, რელიგიას, სპორტს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს** და ყველაფერი პოლიტიკა ჰგონია.

„პირველი არხი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



ქვეყანაში **ოპოზიცია არ გვყავს, არის რევოლუციური კომიტეტი,** რომელიც თავისი მიმართულებით კვლავ იმუშავებს.

„რეზონანსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ივანიშვილის** შემობრუნებას პოზიტიურად ვაფასებ. **ბიძინა აუცილებლად დაიწყებს კორუფციის კონტროლის ქვეშ აყვანას.** ბოლო პერიოდში რაც ხდებოდა, **ეს იყო კორუფციული ბაკქანალია.**

„ახალი თაობა“

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**ეს მახინჯი საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს.** არ შეიძლება თან ევროკავშირისკენ მიიწევდე და თან ბოლშევიზმს აშენებდე. **თავკომბალა, მსხვილი პარტიების დრო უნდა დასრულდეს.**

„ახალი თაობა“

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №54, 2024 წლის №1–2, 3

# მაყვალა ბერიანიძე:

# დაიხსომეთ ჩემი სიტყვა – აფხაზეთის დაბრუნება აჭარიდან მოხდება!



***ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე აცხადებს, რომ, თუ საქართველო სწორ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს, პრეზიდენტმა პუტინმა შესაძლოა, დიმიტრი მედვედევის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების აქტი უკან წაიღოს ისე, რომ თავისი გადაფურთხებულის ალოკვა არ მოუწიოს:***

— ჩვენს ბოლო ინტერვიუში გითხარით, რომ 2024 წელი პროვოკაციების წელი იქნება-მეთქი! როგორ ფიქრობთ, ახდა თუ არა ჩემი სიტყვები? **ამერიკიდან რომ ჩამოდიოდნენ და ამ გოგო-ბიჭებს ტრენინგებს უტარებდნენ, დარაზმეს თუ არა ისინი პროვოკაციების მოსაწყობად?** რადგან ქუჩაში ხალხი ვერ გამოჰყავთ, ასეთ დროს პროვოკაცია საუკეთესო საშუალებაა სიტუაციის ასარევად. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა **ლაშა ბუღაძის** განცხადება ე.წ. **„რუსულ შობასთან“** დაკავშირებით. ბუღაძე წლების წინათ იმითაც იყო „დაინტერესებული“, თუ რა ხდებოდა ღამით თამარ მეფის საწოლში. ნაცვლად იმისა, მამამისის — **გია ბუღაძისთვის,** რომელიც ბავშვებს სახეში შეფურთხებას ასწავლიდა, ჭკუა ესწავლებინა, **ლაშა ბუღაძემ** წმინდა არაფერი დატოვა და ყველგან და ყველაფერში უკადრებელი იკადრა.

**— თქვენ ისიც მითხარით, კურტიზანი ქალებისა და კაცების ალლუმი იქნებაო!**

— მერედა, **გიორგი კანდელაკი, ნატა ფერაძე** და მისთანები კურტიზანი ქალები და კაცები არ არიან? აბა, ვინ არიან? როგორც მითხრეს, **ნატა ფერაძე** ცნობილი ქართველი მსახიობის **გია ფერაძის** ძმისშვილია... რატომ აზიზღებს და აგინებინებს ეს ქალი მთელ საქართველოს თავს, ვერ ვხვდები! ნატა ფერაძე ტაძარში ხატისთვის საღებავის შესასხმელად შევიდა და არა სალოცავად... და ვინ გამოუცხადა სოლიდარობა და მხარდაჭერა? რა თქმა უნდა, **ელენე ხოშტარიამ,** რომელიც მოსკოვში, „მგიმოში“, რუსული „ეფესბეს“ წინაშე მუხლებზე დაჩოქილი სწავლობდა. კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ესენი, ეს

**ამერიკელების მიერ დატრენინგებული გოგო-ბიჭები, რომლებიც ქუჩაში ხალხს ვერ კრებენ, ისეთ რაღაცებს მოიმოქმედებენ, რომ საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირებას გამოიწვევენ!**

ნაცებთან დაახლოებულმა ერთმა სტუდენტმა, რომელსაც ძალიან კარგი დედა ჰყავს, პირდაპირ მითხრა — **ქალბატონო მაყვალა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ნაციონალებს რა გეგმა აქვთ გაწირილი საქართველოს ასარევად!** — მაინც რა აქვთ გეგმაში-მეთქი? — დავინტერესდი. — რა და, **ქობულეთში, მეჩეთის კარზე რომ ღორის თავი მიაჭედეს, ასეთი პროვოკაციები უნდა მოაწყონ, ხოლო 3 მარტს ერთი ამბავი უნდა ატეხონ და საზოგადოებას უკიჟინონ — „რატომ არის 3 მარტი დედის დღე, ხოლო 8 მარტი — კლარა ცეტკინის დღე?“**

ასევე, 31 მარტს იგეგმება ზვიადის საფლავთან პროვოკაციები. კერძოდ, დაგეგმილია 31 მარტის რეფერენდუმის დაკნინება და შეურაცხყოფა იმ ხალხის მიერ, რომელიც თავის დროზე „ჩაუშესკუ-ჩაუშესკუს!“ გაიძახოდა. ანალოგიური პროვოკაციები იქნება 9 აპრილსაც... მოკლედ, ისეთი გეგმები აქვთ, გაგიჟდებით! ერთი სიტყვით, იმ ბავშვმა ისეთი რამეები მითხრა, მართლა გამაგიჟა... ჩემთვის, მაგალითად, ანომალიაა ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული გმირის **გიორგი ანწუხელიძის** შვილი ნაცების გვერდით დგას!

**— რას ამბობთ, ანწუხელიძის ვაჟი ნაცია?**

— დიახ! **ნუთუ არ იცის ანწუხელიძის ვაჟმა, მამამისი ვის ავანტიურას შეეწირა და ვინ ჩააბარა კოდორი და ახალგორი ტყვიის გასროლის გარეშე?** ნუთუ ამ ბავშვს არავინ ეუბნება იმას, რომ სააკაშვილისა და ნაცების მიერ მიტოვებული მამამისის მეგობრებისა და თანამებრძოლების სხეულის ნაშთები, რომელსაც ბუზები ესეოდა, რუსებისა და ოსების სანიტარიულმა ნაწილებმა აფხიკეს, მოაგროვეს და მერე ორმოში ჩაყარეს? ნუთუ ამ ბავშვს ვინმე აუკრძალავს და არ ექნება სურვილი, თავი დაუხაროს იმ მოხუც პატრიარქს, რომელმაც კონფლიქტის ზონიდან ქართველი ჯარისკაცების ცხედრები გამოიტანა მაშინ, როცა სააკაშვილი და მთელი ნაცხროვა თბილისში „ომის მოგებას“ ზეიმობდნენ?

არ ვიცი, ეს რა ძალაა, რომელიც მსგავს სიბინძურეზე მიდის და **გიორგი ანწუხელიძის შვილს** თავისი მზაკვრული პოლიტიკური გეგმების განსახორციელებლად იყენებს! ამას ცხინვალიდან და სოხუმიდან რომ უყურებენ, როგორ ფიქრობთ, რას ამბობენ? ცხადია, ამას ამბობენ — **„ესენი ერთმანეთს არ ზოგავენ, ქვეყანას წირავენ და ჩვენ რას გვიზამენ?!“**

**— სოხუმში ამ ბოლო დროს სერიოზულმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. კერძოდ, აფხაზები რუსებს ბიჭვინთას არ აძლევენ, ვითარება არეულია... რას იტყვით?**

— ერთხელ, „კავკასიურ ცარცის წრეს“ ვუყურებდით და **სერგო ბაღაფშს** ვკითხე — სერგო, ქართველებსა და აფხაზებს შორის რომ რამე მოხდეს, რა იქნება-მეთქი? — რას ამბობ, ღმერთმა დაგვიფაროს, მაყვალა, ჩვენს გამშველებლად აზდაკი სად გამოჩნდება, დავიღუპებითო! ოკუპირებულ აფხაზეთში ბავშვებს ზრდიან ქართველების სიძულვილით და გაყალბებული ისტორიით. ე.წ. აფხაზეთის ისტორიის მე-5-9 და მე-10-11 კლასის სახელმძღვანელოებში საქართველო სულ ორჯერ არის ნახსენები. დასაწყისში ნათქვამია, რომ ჩვენ ვართ აგრესორი სახელმწიფო, ხოლო 500-გვერდიანი ისტორიის სახელმძღვანელოს დასასრულ წერია, რომ **აფხაზეთი არის აფხაზების, სომხების, რუსების, ბერძნების, გერმანელების სამშობლო, რომელსაც დიდი ომი ჰქონდა აგრესორ საქართველოსთან და აფხაზებმა ამ ომში გაიმარჯვეს!**

იმდენად ამაზრზენი და სამარცხვინოა ეს ყველაფერი, ერთ ჩემს ნაცნობ აფხაზს დავურეკე და ვკითხე — **არ გრცხვენიათ, ამ საშინელებებს რომ ასწავლით ბავშვებს-მეთქი?** ჯვარედინი ანალიზით შევისწავლე აფხაზების მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები და 150-ზე მეტი ანტიკური წყარო მოვიხმე აფხაზეთის შესახებ მაშინ, როცა არცერთი ეს წყარო აფხაზებს სახელმძღვანელოებში გამოყენებული არ აქვთ. მიუხედავად ამისა, საქართველოში აზრად არავის მოსდის, ჩემი ეს გამოკვლევა დაბეჭდოს და შინაურსა თუ გარეულს ფაქტები წინ დაუდოს! თურქები აფხაზეთს **„აფხაზო“**-ს... ეძახდნენ,



აფხაზეთის ყოფილი დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში



აზდაკი – რამაზ ჩხიკვაძე

**„ერთხელ „კავკასიურ ცარცის წრეს“ ვუყურებდით და სერგო ბაღაფშს ვკითხე – სერგო, ქართველებსა და აფხაზებს შორის რომ რამე მოხდეს, რა იქნება-მეთქი? – რას ამბობ, ღმერთმა დაგვიფაროს, მაყვალა, ჩვენს გამშველებლად აზდაკი სად გამოჩნდება, დავიღუპებითო!“**

## კვირგვინოსნები

**თინა ხიდაშელი**
*ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეის“ თავმჯდომარე*



**მადლობელი ვარ, რომ გამოვიდა სცენაზე, ასეთ საახალწლო საჩუქარს ბიძინა ივანიშვილი** ვერაფერს გააკეთებდა — **ახლა ოპოზიცია უნდა დაჯდეს საჭესთან,** მანქანის მართვა დაიწყოს, ხოლო **„ქართული ოცნება“ მდევრის როლში იყოს.**

„ინტერპრესნიუსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



ხვალ რომ არჩევნები ტარდებოდეს, **„ქართული ოცნება“ ივანიშვილის გარეშეც უპრობლემოდ მოიგებს არჩევნებს.** მაშინ რაში სჭირდებოდა **ივანიშვილს** დაბრუნება?! **არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყო მისი სურვილის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება** და ვიღაცამ აიძულა.

„ახალი თაობა“

**ნოდარ ხარშილაძე**
*ანალიტიკოსი*



**„ქართულ ოცნებაში“ შიდა სამოქალაქო ომია.**

„ახალი თაობა“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



უმრავლესობის ბოლო სხდომები მახსენდება, სადაც **ივანიშვილმა ულტიმატუმი წამოიყენა** და მითხრა: ორი გზა გაქვს — **ან შენ წადი ან მე გაგიშვებ.**

„ახალი თაობა“

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



თუ ვინმე მკითხავს, **როგორი იქნება უკანასკნელი უვარგისი ქართველი** სამყაროს აღსასრულს, მე მხოლოდ და მხოლოდ **ნიკა გვარამიას პორტრეტი წარმომიდგება თვალწინ.**

„აიპრესი“

# დიმიტრი გულია:

## მრავალრიცხოვანი სამეცნიერო, შემოწმებული ფაქტები უსიტყვოდ ამბობენ, რომ აფხაზები ყოველთვის ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად ისეთივე კულტურული ცხოვრებით, რომ აფხაზები იგივე ქართველები არიან!



ხოლო რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთი ძველისძველ რუსულ მატიანეებში მოხსენიებულია, როგორც **„ობეზ“**-ი და პირდაპირ წერია — **„ივერიელი იგივე ობეზია!“**

გამოჩენილი რუსი სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი **ვასილი ნიკიტას ძე ტატიშჩევი,** რომელიც პეტრე პირველის დავალებებს ასრულებდა, პირდაპირ წერს — „აფხაზეთი, ავხეთი სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილია, რომელსაც თურქები და ყაბარდოელები „აფხაზო“-ს ეძახდნენ, ხოლო ჩვენი წინაპრები — „ობეზებს“ უწოდებდნენ. ამჟამად მისი უმეტესი ნაწილი ყუბანელებითაა დასახლებული!“ ამას წერს რუსი და ვერ გავიგე, აფხაზებს ჩვენგან რა უნდათ?

საქვეყნოდ ცნობილია, რომ **„აფხა“** მეგრულად ნიშნავს „ბეჭს“... 2012 წელს თურქეთში გამოვიდა წიგნი — **„საქართველო და ქართველები ოსმალურ წყაროებში“.** ავტორი წერს — დაახლოებით 20 ათასი დოკუმენტი ვიპოვეთ და მხოლოდ ნაწილს ვაქვეყნებთო! ერთ კეთილ აფხაზს ვერ იპოვით იმ წყაროებში... აფხაზი ქართველის მტრად არის გამოყვანილი, რომელიც ტყავს გვაძრობდა. **წიგნის ავტორებს მსჯელობა იქითკენ მიჰყავთ, რომ, თურმე, თურქეთის ხელისუფლებამ ქართველების დასაცავად აფხაზები ალაგმა!** ახლა ფირფიტა გადმოტრიალებულია და აფხაზი გამოყვანილია ქართველების მსხვერპლად.

აფხაზებმა და ქართველებმა რაღაც-რაღაცები არ უნდა გავაცნობიეროთ და ამ ყველაფრის შემდეგ ჭკუა ვეღარ უნდა ვისწავლოთ? რუსებიც და თურქებიც სათავისოდ რომ გვიყენებენ და ქართველიც და აფხაზიც ერთსაც და მეორესაც ფეხებზე ჰკიდიათ, ვერ უნდა მივხვდეთ?

1855 წელს ქართველები და აფხაზები ომერ-ფაშას ერთად შეაკვდნენ და იმ ადგილს, რუხის ციხე-სიმაგრესთან, სადაც ეს ამბავი მოხდა, დღემდე **„ნალიმა“** ჰქვია... ცხონებულმა **ჟიული შარტავამ** სწორედ ნალიმასთან, რუხის ციხე-სიმაგრესთან, დაიწყო ქართველებისა და აფხაზების ისტორიული შეხვედრების ორგანიზება. დარწმუნებული ვარ, ბევრმა არ იცის, რომ 1949 წელს აფხაზმა მეცნიერმა **მიხეილ დელბამ** გამოსცა წიგნი — **„დიმიტრი გულია“.** ამ წიგნზე რეცენზია დაწერა ენათმეცნიერმა **ხუხუტი ბღაჟბამ,** რომელიც დიმიტრი გულიას დაეთანხმა და თქვა — **აფხაზები ნამდვილად აფრიკელები არიანო!**

**— რას ამბობთ?!**

— სწორედ იმ **ხუხუტი ბღაჟბას** შვილია აფხაზების ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორი, რომელმაც აფხაზები თავდაპირველად ადიღეელების შთამომავლად მიიჩნია, ხოლო ამ ბოლო დროს, კერძოდ, 2015 წელს, ისინი **ჰენიოხებად** გამოაცხადა. არადა, ამ დროს **მიხეილ დელბა** წერდა — აფხაზები წარმოადგენენ ქართველთა ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ტომს, რომლებიც საქართველოსა და კავკასიაში სახლობდნენო!

1951 წელს **დიმიტრი გულიამ** გამოსცა **„ისტორია აბხაზიი“,** სადაც მე-10 გვერდზე დაწერა — *„მრავალრიცხოვანი სამეცნიერო, შემოწმებული ფაქტები უსიტყვოდ ამბობენ, რომ აფხაზები ყოველთვის ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად ისეთივე კულტურული ცხოვრებით, რომ აფხაზები იგივე ქართველები არიან!“* სხვათაშორის, ამასვე ადასტურებდა **პავლე ინგოროყვაც,** რომელიც ამტკიცებდა, რომ აფხაზები არ იყვნენ ადიღეური წარმოშობის და იყვნენ ქართველები. გადაშალეთ დღევანდელი აფხაზური სახელმძღვანელოები და სწორედ იქ ნახავთ, რომ, თურმე, აფხაზები არა ადიღეელები, არამედ ჰენიოხები ყოფილან! სწორედ ამაზე ლაპარაკობდა „ამცახარას“ ყრილობაზე **ალექსანდრე ანქვაბი,** როცა აცხადებდა — **აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოები, რომელიც ტყუილებზეა დაფუძნებული, ხალხთა შორის მტრობას აღვივებსო!**

**— დღეს რა ხდება აფხაზეთში?**

— ხელთ მაქვს დოკუმენტი, სადაც თავად აფხაზები წერენ, თუ როგორ დაიბარა ისინი 2008 წლის 26 აგვისტოს **მედვედევმა** და განუცხადა — სააკაშვილი **„დსთ“**-დან გავიდა, აფხაზეთის სტატუსზე მოლაპარაკება ჰაერში გამოკიდებული დარჩა და ამიტომ ერთადერთი გზა გვაქვს, ვაღიაროთ აფხაზეთის დამოუკიდებლობაო! აფხაზები შოკში იყვნენ, რადგან ამას არ ელოდნენ და ვინც იქ იყო, სკამებზე ისე დაეშვა, სულ დაავიწყდათ, რომ რუსეთის პრეზიდენტის წინაშე იმყოფებოდნენ. ეს გააკეთა მედვედევმა, რადგან ის იყო პრეზიდენტი... **თუ ჩვენ სწორ პოლიტიკას წარვმართავთ, პუტინმა შესაძლოა, უკან წაიღოს მედვედევის აღიარება ისე, რომ თავისი გადაფურთხებულის ალოკვა არ მოუწიოს.** ასეც რომ არ იყოს, სხვა რა გზა გვაქვს, რუსეთთან მოლაპარაკების გარდა? აფხაზეთთან მიმართებაში ბევრი რამ შეიცვლება, მაგრამ დაიხსომეთ ჩემი სიტყვა — **აფხაზეთის დაბრუნება აჭარიდან მოხდება!**

აჭარაში 2 ათასამდე ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახია და ქართველებსა და აფხაზებს შორის იდეალური ურთიერთობაა. აჭარელი აფხაზები სოხუმში ჩადიან, ბრწყინვალე ურთიერთობებია და ბევრი რამ ვიცი. 2023 წლის დეკემბრის მიწურულს აფხაზეთში აფხაზ ახალშობილებზე ერთჯერადი დახმარებების გაცემა დაიწყეს თუ არა, აფხაზეთში მცხოვრები სომხები აყვირდნენ — ეს ეროვნული დისკრიმინაციააო! სწორედ ამ დროს გამოვიდა **პაატა ზაქარეიშვილი** და განაცხადა — საქართველოს ხელისუფლებამ, ვისაც „აფხაზეთის მოქალაქის“ პასპორტი აქვს, ყველას ფული უნდა მისცეს, რათა არავინ დაიჩაგროსო! არ არის ეს მზაკვრობა? აფხაზების მიერ ჩვენკენ ნაბიჯები გადმოდგმულია და ახლა ჩვენი ჯერია... აქედან გამომდინარე, ვაპირებ, საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილს** გადავცე პროგრამა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. თუ შეგვიძლია ფაროსანას წინააღმდეგ ერთობლივად ვიბრძოლოთ, კოლხური ბზის გადასარჩენად ვიბრძოლოთ, თუ აფხაზები აქეთ გადმოდიან და ოჯახებში რჩებიან, ჩვენც ხომ შეგვიძლია საპასუხო ნაბიჯის გადადგმა? რისი გვეშინია?

**— მაინც რა არის პირველ ეტაპზე გასაკეთებელი?**

— პირველ ეტაპზე აფხაზეთის სტატუსის თემა გვერდზე უნდა გაიწიოს და ამ საკითხზე ლაპარაკი საერთოდ შეწყდეს! გამოვაქვეყნოთ **1919 წლის 20 მარტით** დათარიღებული დეპეშა, სადაც აფხაზთა სახალხო კრებამ მიიღო დადგენილება აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით გაწევრიანების შესახებ. დოკუმენტს ხელს აწერენ აფხაზთა სახალხო კრების თავმჯდომარე **დავით ემუხვარი** და მდივანი **კოროლიოვი.** ეს იყო აქტი, რომლითაც აფხაზეთი დაუბრუნდა თავის ბუნებრივ მდგომარეობას — კოლხურ სამყაროს. მჯერა, ეს ისევ მოხდება! მაგრამ მანამდე სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების, როგორც უმაღლესი საბჭოს, ისე მთავრობის ძირეული რეფორმა.

### აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება აფხაზეთის დასაბრუნებლად არც არაფერს აკეთებს და არც მზად არის!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***




## „საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის შვილი ნაცების გვერდით დგას!“

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საერთაშორისო მდივანი*



**ოპოზიცია რომ დღის წესრიგს ვერ ქმნიდეს** და ხელისუფლება მშვიდად იყოს, **ბიძინა ივანიშვილს გამოჩენა არ დასჭირდებოდა** და კომფორტულად იჯდებოდა ურეკში, საჩხერეში, თბილისსა თუ აბასთუმანში.

„პალიტრანიუსი“

**გიორგი ბარამიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**მიხეილ სააკაშვილის თავისუფლება** უშუალოდ დაკავშირებულია ამ ქვეყანაში, მეტ-ნაკლებად მაინც, სამართლიანი და კონკურენტული არჩევნების ჩატარებასთან — **კიდევ ერთხელ მოვითხოვთ მის გათავისუფლებას.**

„ინტერპრესნიუსი“

**სოფო ჯაფარიძე**
*მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელი*



„ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი პრობლემა არის **მიხეილ სააკაშვილი,** რომელიც **რუსეთის ტყვეობაში მყოფი,** ოთხ კედელში გამომწყვდეულიც კი ახერხებს იმას, რომ მათ დღის წესრიგი სრულად შეუცვალოს.

„ინტერპრესნიუსი“

**ეკა ბესელია**
*პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერი*



როგორც ჩანს, **„ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირებული ჯგუფების კონფლიქტი პიკს აღწევს და ივანიშვილმა** ჩათვალა, რომ ღიად უნდა გამოჩნდეს — **მოლოდინი მაქვს, რომ უნდა შეცვალოს კონფიგურაცია.**

„ინტერპრესნიუსი“

***2023 წლის 30 დეკემბერს პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას ბიძინა ივანიშვილმა** რამდენჯერმე ახსენა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის გაერთიანება, **ხოლო პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა —** საქართველო გასამთლიანებლად უნდა მოემზადოს, რაშიც პოლიტიკაში დაბრუნებული ბიძინა ივანიშვილი დიდ როლს ითამაშებს! **რას უნდა მივაწეროთ საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს პირთა ასეთი მკაფიო გზავნილები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ და არსებობს თუ არა რეალური შანსი, ქვეყნის დეოკუპაციის მიმართულებით მართლაც გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები? ამ საკითხზე ვესაუბრებით ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს:***

# მამუკა არეშიძე:

# აფხაზური ოპოზიციის წარმომადგენლების აზრით, საქართველო ტერიტორიების დაბრუნებას ბიძინა ივანიშვილის მიერ აფხაზეთში მიწების ყიდვის გზით ცდილობს!



— მართალია, მსოფლიო წესრიგის ჩამოშლა და ახალი გეოპოლიტიკური გადაჯგუფების პროცესი საქართველოს სერიოზული რისკების წინაშე აყენებს, მაგრამ ამავდროულად კარგ შანსებსაც გვაძლევს, სიტუაცია საჩვენოდ შევცვალოთ. მაგალითად, უკრაინის მოვლენების ფონზე, საქართველოს შესაძლებლობა აქვს, გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას უფრო რეალურს გახდის.

**— კერძოდ, რა გაქვთ მხედველობაში?**

— უფლება არ მაქვს, ფრჩხილები ბოლომდე გავხსნა და გაზეთის ფურცლებზე ყველაფერი ვთქვა, მაგრამ ერთს კი აღვნიშნავ — **საქართველოს ხელისუფლება ზედმეტი აფიშირების გარეშე ნამდვილად დგამს გარკვეულ ნაბიჯებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ვითარების მოსამზადებლად!**

შემიძლია, დავაკონკრეტო: საუბარია ისეთი ეკონომიკური პროექტების გააქტიურებაზე, რომლებმაც აფხაზებსა და ოსებზე პოზიტიური გავლენა უნდა მოახდინოს და დაანახვოს, რომ მათთვის საქართველოსთან ყოფნა უფრო მომგებიანია, ვიდრე რუსეთის სივრცეში დარჩენა.

როგორც გითხარით, ფრჩხილებს ბოლომდე ვერ გავხსნი, მაგრამ მკითხველს მივანიშნებ, რომ აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკის მინისტრი **კრისტინა ოზგანი** 2023 წლის მიწურულს სამეგრელოში ტყუილად არ ჩასულა და ენგურჰესის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ტყუილად არ შეხვედრია!

**— ისიც შესამჩნევია, რომ აფხაზეთში ბოლო დროს ანტირუსული განწყობები იკვეთება...**

— აფხაზეთში დღეს ძალიან სერიოზული დაპირისპირებაა ადგილობრივ საზოგადოებასა და **ბჟანიას** დე ფაქტო ხელისუფლებას შორის, რაც ბიჭვინთის აგარაკების რუსეთისათვის გადაცემასა და აპარტ-ოტელების მშენებლობის საკითხს უკავშირდება. კერძოდ, რუსეთის მოთხოვნაა, რომ სოხუმში, გაგრასა და გულრიფშში, ზღვის სანაპიროსთან ახლოს აშენდეს ელიტური საცხოვრებლები, რომელთა საერთო ფართობიც 30 000 კვადრატული მეტრი იქნება და რუსეთის მოქალაქეები შეისყიდიან.

აფხაზური ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი იმაზეც აპელირებს, რომ აპარტოტელების მშენებლობის ნებართვის გაცემა არ შეიძლება, რადგან მშენებლობაში მდიდარი ქართველები ჩაერთვებიან და აფხაზურ მიწებს შეისყიდიან. მეტიც, ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი **ნატალია სმირი,** რომელიც აფხაზეთში საკმაოდ კომპეტენტურ ეკონომისტად ითვლება, აცხადებს, რომ **გაგრა უკვე მთლიანად იყიდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებმა მდიდარმა ქართველებმა, რომელთა უკანაც ბიძინა ივანიშვილი დგას.**



**— ანუ აფხაზები ეჭვობენ, რომ ბიძინა ივანიშვილი სხვა პირების მეშვეობით ყიდულობს კერძო საკუთრებას აფხაზეთის ტერიტორიაზე?**

— დიახ, აფხაზური ოპოზიციის წარმომადგენლები ასე თვლიან და მიაჩნიათ, რომ საქართველო ტერიტორიების დაბრუნებას ბიძინა ივანიშვილის მიერ აფხაზეთში მიწების ყიდვის გზით ცდილობს!

**— ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ახლა პარტიის საპატიო თავმჯდომარის სტატუსი აქვს, ექნება კი რეალური ბერკეტები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით სერიოზული ნაბიჯების გადასადგმელად?**

— პარტიის საპატიო თავმჯდომარეს სათათბირო ხმის უფლება აქვს და შეუძლია, დიად იქონიოს გავლენა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, სულაც არ არის აუცილებელი, **ივანიშვილმა** პირადად გამართოს ოფიციალური შეხვედრები ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან, მას ამის გაკეთება გუნდის წევრების მეშვეობით შეუძლია, თუ, რა თქმა უნდა, ისინი ამ საქმისთვის ივარგებენ.

**— რამდენად შესაძლებელია, ეს მოცემულობა 2024 წლის ოქტომბერში გასამართმა საპარლამენტო არჩევნებმა შეცვალოს და „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება დაკარგოს?**

— **დღევანდელი გადასახედიდან ნამდვილად ვერ ვხედავ, რომ „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებს წააგებს!** ოპოზიციას მხოლოდ გაერთიანების შემთხვევაში შეუძლია, მმართველ პარტიას არჩევნებში პრობლემები შეუქმნას, თუმცა მეეჭვება, გაერთიანება შეძლოს.

თუ რეალურად განხორციელდება **ბიძინა ივანიშვილის მიერ დეკლარირებული იდეები, რაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის დაწყებასა და კორუფციასთან სერიოზულ ბრძოლას გულისხმობს,** „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვება და ხელისუფლებაში დარჩენა არ გაუჭირდება!

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***



# „აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკის მინისტრი კრისტინა ოზგანი 2023 წლის მიწურულს სამეგრელოში ტყუილად არ ჩასულა და ენგურჰესის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ტყუილად არ შეხვედრია!“



# „აფხაზური ოპოზიციის წარმომადგენელი ნატალია სმირი აცხადებს, რომ გაგრა უკვე მთლიანად იყიდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებმა მდიდარმა ქართველებმა, რომელთა უკანაც ბიძინა ივანიშვილი დგას!“

## კვირგვინოსნები

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



**ბიძინა ივანიშვილმა** დაადასტურა, რომ **ფლობს საქართველოს მთავრობის 100-პროცენტიან წილს.**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელი*



ოპოზიციის **შანსები ახლა გაცილებით უკეთესია,** ვიდრე 2020-სა და 2021-ში იყო.

„რეზონანსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საგარეო პოლიტიკის ექსპერტი*



**შესაძლოა, „ქართულ ოცნებაში“ მართლაც განხეთქილებაა** და ეს ლოგიკურია, **როდესაც ოპოზიცია ასეთი სუსტია, საკუთარი თავის ჭამას იწყებ** — ჭკვიანი მმართველი ყოველთვის უნდა ემზადებოდეს ცუდი სცენარისთვის.

„პალიტრანიუსი“

**დემურ გიორხელიძე**
*ექსპერტი*



**ვერანაირ ევროკავშირსა და ნატოში ვერ გაერთიანდება ქვეყანა,** თუ **ევროკავშირმა, ნატომ და ამერიკამ რუსეთი** ვერ დაამარცხეს. მაგრამ რუსეთის დამარცხება დღეს ამ **წამხდარი ორგანიზაციების** მიერ გამორიცხულია.

„თბილისელები“

**გიგი წერეთელი**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



**წარმოუდგენელია, სახელისუფლებო პარტიაში კრიზისები არ იყოს,** რაღაც ჯგუფები არ ებრძოდნენ ერთმანეთს... **ალბათ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფიგურა შეიცვლება.**

„რეზონანსი“

№3-4 (239-240) ★ 2024 წლის 15 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან






***არნო ხიდირბეგიშვილი***

# საქართველოს საპატრიარქომ ნაცისტების წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა!

**პუბლიცისტის სიტყვა ★**

***წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ კაპიტულაცია გამოაცხადა გაუგებარი ნაცისტური წარმონაქმნის ლაზარე გრიგორიადის წინაშე და უკან გაიწვია პარლამენტის მიერ პირველივე მოსმენით მიღებული კანონი უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის შესახებ.***

და აი, **კუდიანი ნატა ფერაძის** წინაშე, რომელმაც სამების ტაძარში **წმინდა მატრონა მოსკოველის ხატს** საღებავი შეასხა, კაპიტულაცია გამოაცხადა უკვე საეკლესიო ხელისუფლებამ, ხოლო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ შემომწირველებს დაავალა „ხატის შესწორება“ (?!) — იქიდან სტალინის გამოსახულებიანი ფრაგმენტის წაშლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპატრიარქო თავად „გაასწორებს ხატსო“ (?!).

**შეკითხვა: რატომ ზის დღეს ციხეში გრიგორიადისი, ფერაძე კი — სახლში, ასობით პოლიციელის საიმედო დაცვის ქვეშ, რომლებსაც გრიგორიადისმა გასული წლის მარტში ცეცხლი წაუკიდა?!** ნუთუ რუსთაველის გამზირზე „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლა უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე საქართველოს მთავარ საკათედრო ტაძარში ხატზე საღებავის მისხმა?! **რატომ დაივიწყა საპატრიარქომ, რომ ნებისმიერი ხატი ხელშეუხებელი სიწმინდეა და რა სასჯელმა უწია ბოლშევიკებს, რომლებმაც ხატები შეურაცხყვეს?!**

თავის დროზე **ნეტარმა მატრონამ** უთხრა სტალინს: **„რუსი ხალხი გაიმარჯვებს, გამარჯვება შენ დაგრჩება. ხელმძღვანელობიდან მოსკოვს მხოლოდ შენ არ დატოვებ!“** და არა აქვს მნიშვნელობა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო აღიარებს **წმინდა მატრონასთან** სტალინის სტუმრობის ეპიზოდს თუ არა. იქნებ მავანმა იმ ასი ათასი ქართველი მოწამის თავისკვეთის ფაქტიც ლეგენდად გამოაცხადოს, რომლებმაც უარი თქვეს ჯალალედინის მიერ მეტეხის ხიდზე დაწყობილი ხატების ფეხქვეშ გათელვაზე? **რატომ დაავიწყდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, გააუქმებინა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საკითხთა საბჭოში ჩაბუდებული რუსი შოვინისტების ბრძანება, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა ეროვნებით ქართველი უმაღლესი მთავარსარდლის დამსახურებას რუსეთისა და მსოფლიოს წინაშე?!**

ყველა უბედურების მიზეზი, რაც რუსეთს ხრუშჩოვის შემდეგ დაატყდა თავს, არის **სტალინის ხსოვნის შეურაცხყოფა** — სწორედ ისე, როგორც დღეს სურთ ხატის გადაწერა სტალინის ფიგურის ამოღებით. აკი, მაშინ ისტორია ბელადის როლის ამოღებით გადაწერეს!

**ნაციზმის რეინკარნაცია ევროპასა და უკრაინაში სტალინისადმი სამარცხვინო დამოკიდებულების შედეგია რუსეთსა და საქართველოში** იმ აღზევებული უცხოელი აგენტების მხრიდან, რომელთა წინაშეც ძრწის ხელისუფლება და ეკლესია. მათ ეშინიათ სამშობლოს მოღალატეების, წინააღმდეგ შემთხვევაში, რა უშლის ხელს **სტალინის** სახელის რეაბილიტაციას? საქართველოს ხელისუფლებასა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ეშინიათ ამ ნაძირალათა ხროვის უფროსების, რომლებიც ვაშინგტონში, ბრიუსელსა და ლონდონში ბოგინობენ და შეურაცხყოფენ **სტალინის** წინაშე ქედმოხრილი **რუზველტის, დე გოლისა** და **ჩერჩილის** ხსოვნას, **შეურაცხყოფენ ყველა იმ ჯარისკაცის ხსოვნას, რომელმაც ნაციზმი დაამარცხა!**





***ფრაგმენტი ნაცაქტივისტ ნატა ფერაძის მიერ შებილწული ხატიდან – სტალინის სტუმრობა წმინდა მატრონასთან***

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ეშმაკებთან ბრძოლის ძალა რომ შესწევდეს, დღეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ნაცისტების წინაშე კაპიტულაციას არ გამოაცხადებდა!**



# ლევან დოლიძე: ღმერთის განსაკუთრებული მფარველობის გარეშე სტალინი უდიდეს გამარჯვებას, სიყვარულსა და პატივისცემას ვერ მოიპოვებდა!

***წმინდა სამების საკათედრო ტაძარში დავანებული წმინდა მატრონას ხატის შებღალვას, რომელზეც პროლეტარიატის დიდი ბელადი, გენერალისიმუსი სტალინიც გახლავთ გამოსახული, საზოგადოების დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. მავანის მტკიცებით, 1941 წლის დეკემბერში, როცა ფაშისტური არმადა მოსკოვს უტევდა და საბჭოთა კავშირის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, სტალინი თავად ეახლა ბრმა მატრონა ნიკონოვას და რჩევა ჰკითხა. მომავალში წმინდანად აღიარებულმა მატრონამ ბელადს უთხრა, რომ მტერი მოსკოვში ვერ შემოვიდოდა და მისივე რჩევით, სტალინმა სამჯერ შემოაფრინა მოსკოვს ყაზანის ღვთისმშობლის ხატი. სწორედ ამ შეხვედრის ეპიზოდია გამოსახული ხატზე, რაც ე.წ. „პარტიზანმა მებაღემ“ თუ სინამდვილეში საროსკიპოდან გამოქცეულმა ეშმაკმა ნატა ფერაძემ ხატზე საღებავის შესხმით გააპროტესტა. ცნობილი ჟურნალისტი, მკვლევარი და საქართველოს გენერალიტეტის მემატიანე, მწერალი ლევან დოლიძე აცხადებს, რომ სტალინი ბოლომდე მართლმადიდებელ ქრისტიანად დარჩა და ლენინისა და ტროცკის მასონურ-სიონისტური ხროვისგან არამარტო რუსეთი, არამედ მართლმადიდებელი ქრისტიანობა გადაარჩინა:***

— სტალინის თანამედროვეების, ისტორიკოსებისა და მკვლევარებისათვის არცერთი ფაქტი არ არის ცნობილი მის მიერ ღმერთის უარყოფის შესახებ. დიახ, **ბუნებაში არ არსებობს სტალინის არცერთი გამოსვლა ან მოწოდება, სადაც მას ღმერთი დაეგმოს.** ბელადს ღვთისადმი აუგი არც არასდროს დასცდენია, რადგან სტალინი გაზარდა ღრმადმორწმუნე დედამ **ეკატერინე გიორგის ასულმა გელაძემ,** რომელიც ოცნებობდა, რომ მისი არაჩვეულებრივი და საყვარელი სოსელო მღვდელი გამხდარიყო.

მართლაც, სოსელომ დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი, არაჩვეულებრივად სწავლობდა და შესანიშნავად მღეროდა საეკლესიო გუნდში. შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც უნიჭიერესმა სემინარისტმა და ბრწყინვალე პოეტმა, რაც დიდმა ილია ჭავჭავაძემ თავის დროზე აღნიშნა კიდეც, როცა გაზეთ „ივერიაში“ თხუთმეტი წლისას პირველი ლექსები დაუბეჭდა. მოგვიანებით, როცა მსოფლიო პროლეტარიატის აღიარებული ლიდერი დიდი სტალინი თბილისში ჩამოვიდა და დედა ინახულა, მოხუცმა კეკემ მას გულდაწყვეტილმა უთხრა — **რა დასანანია, რომ მღვდელი არ გამოხვედიო!**

**— ბატონო ლევან, როდის შედგა დედა-შვილს შორის ეს საუბარი?**

— დიდი ალბათობით, 1935 წელს, როცა სტალინმა დედა უკანასკნელად ინახულა. ამის შესახებ მიამბო ლავრენტი ბერიას პირადმა მდივანმა **ლიდია იაკოვლევამ,** რომელიც ლაღიძის წყლებთან ცხოვრობდა და ცეკაში ღრმა სიბერემდე მუშაობდა. სწორედ ქალბატონი ლიდიასგან ვიცი, რომ **ეკატერინე გელაძე,** რომელიც შვილისგან მიჩვეული იყო ზუსტად დათქმულ დროზე შეხვედრას, ძალიან შეწუხდა, რადგან თბილისში ჩამოსულმა სტალინმა მასთან მისვლა დააგვიანა. კეკე პიონერთა სასახლის ერთ ფლიგელში ცხოვრობდა და ცეკაში ასვლა ითხოვა. უარს ვინ ეტყოდა, თხოვნა მაშინვე შეუსრულეს... საქართველოში ჩამოსული სტალინი თათბირს ატარებდა, რომელსაც ბერია, მთელი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და, მათ შორის, ბერიას მდივანი **ლიდია იაკოვლევაც** ესწრებოდნენ. უცბად უშველებელი კარი გაიღო და დიდ დარბაზში შემოვიდა შავებში ჩაცმული ქალი — სტალინის დედა. ბელადმა დედა დაინახა თუ არა, მაშინვე ჩამოვიდა ტრიბუნიდან, მივიდა მოხუცთან, გადაკოცნა, მოეფერა და უთხრა — დედა, მაპატიე, ისე მოხდა, რომ სანამ შენთან მოვიდოდი, თათბირის ჩატარება გახდა აუცილებელი, 10-15 წუთში ყველაფერს დავამთავრებ და მოვალ, კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდიო! აი, ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა მას დედასთან. ეს იყო მათი უკანასკნელი შეხვედრა.

ვამტკიცებ და ღრმად მწამს, რომ ღმერთის განსაკუთრებული მფარველობის გარეშე სტალინი უდიდეს გამარჯვებას, სიყვარულსა და პატივისცემას ვერ მოიპოვებდა! სტალინის კულტი მართლაც იყო მსოფლიოში, რადგან ის სიცოცხლეშივე ღმერთკაცად იქცა, მისი სწამდათ და მასზე ლოცულობდნენ მორწმუნეებიც და ათეისტებიც!

**— შეგიძლიათ, დაგვისახელოთ კონკრეტული ფაქტები სტალინის რელიგიურობის შესახებ?**

— უამრავ ფაქტს დაგისახელებთ! მეორე მსოფლიო ომის შემდეგ **სტალინმა** აფხაზეთში, ახალი ათონის მახლობლად აგარაკი მოიწყო, რადგან სწორედ იქ მდებარეობს სიმონ კანანელის სახელობის მონასტერი, სადაც, გადმოცემის თანახმად, სიმონის ცხედარი ნიკოფსიიდან გადმოასვენეს. აქ მოღვაწეობდა არქიმანდრიტი **მამა იერონიმე ვასილევი,** რომელიც უდიდესი ქადაგი და შორსმჭვრეტელი გახლდათ. 1899 წლის მაისში სტალინი უკვე ოც წელს მიახლოებული ჭაბუკი იყო, სასულიერო სემინარიის ბოლო კურსზე უკანასკნელი გამოცდისთვის ემზადებოდა, როცა გამოეცხადა ბერი და თავისთან იხმო. სემინარიის უფროსობამ სტალინი ახალ ათონში გაუშვა, მაგრამ ამის შემდეგ ის სემინარიაში აღარ დაბრუნებულა.

**— ვინ იყო ეს ბერი?**

— ეს ბერი გახლდათ **არქიმანდრიტი იერონიმე,** რომელმაც სტალინს უთხრა:

*„რუსეთზე მოვა მხეცის მეფობა. ყიურები დაიწყებენ რუსი ხალხის განადგურებას, შენ კი გაანადგურებ ყიურებს. წადი!“*

**იერონიმე ვასილევმა** 1919 წლის სტალინი მონასტრის მთავარი სიწმინდით გადარჩენილი ღვთისმშობლის ხატით დალოცა. გადმოცემის თანახმად, ახალი იერუსალიმის ტაძრის ქვემოთ, მღვიმეში, სტალინმა მონაწილეობა მიიღო ბერებთან ერთობლივ ლოცვაში. ლოცულობდნენ მთელი ღამე, რის შემდეგაც ბელადმა ბერებს უთხრა, რომ ის სულით მართლმადიდებელ ქრისტიანად რჩებოდა, სწამდა ღმერთი და როცა თავს გაუსრესდა მასონურ-სიონისტურ ურჩხულს, ეკლესიას დაუბრუნებდა თავის ყველა უფლებას, ხოლო ხალხს — რწმენას. მაგრამ ახლა მას არაფრის გაკეთება არ ძალუძდა, რადგან მის გარშემო ძალიან ცოტანი იყვნენ რჯულშეუბღალავი რუსები და არ ჰქონდა არავითარი დასაყრდენი!

სტალინი არ ცდებოდა. **სვერდლოვისა და ტროცკის** მაგალითზე კარგად გამოჩნდა, თუ ვინ მოვიდა 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის ხელისუფლებაში. ესენი იყვნენ სიონისტურ წრეებთან დაკავშირებული აგენტები, რომლებიც რუსეთს თავზე დაასვეს. **სვერდლოვმა** 1918 წლის ივლისში იურიევსა და მის ბანდას ირკუტსკში მეფის ოჯახი ამოახოცვინა. რას ერჩოდნენ მზარეულსა და ოჯახის ექიმს? მცირეწლოვან ბავშვებს რას ერჩოდნენ? მაგრამ სისხლით ვერ ძღებოდნენ. **იაკობ სვერდლოვი,** რომელიც რუსეთის ფაქტობრივი პრეზიდენტი, ანუ ცაკის თავმჯდომარე იყო, ბრილიანტებზე შეყვარებული გიჟი გახლდათ...

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ!**

— **იაკობ სვერდლოვი** რომ მოკვდა, უპოვეს დალუქული სეიფი, რომელიც სტალინმა ხელოსნებს გაახსნევინა და თვალებს არ დაუჯერა — იგი სავსე იყო სამეფო საგანძურიდან გამოტანილი ბრილიანტებით, იშვიათი ანტიკვარული ნივთებით, უცხოური ვალუტით და ბაჯაღლო ოქროებით. ცნობისათვის, სვერდლოვი



**იოსებ სტალინი დედასთან – ეკატერინე გელაძე-ჯუღაშვილთან ერთად**



**სტალინის დედის საფლავი მთაწმინდის პანთეონში**

> **„უცბად უშველებელი კარი გაიღო და დიდ დარბაზში შემოვიდა შავებში ჩაცმული ქალი — სტალინის დედა. ბელადმა დედა დაინახა თუ არა, მაშინვე ჩამოვიდა ტრიბუნიდან, მივიდა მოხუცთან, გადაკოცნა, მოეფერა და უთხრა — დედა, მაპატიე, ისე მოხდა, რომ სანამ შენთან მოვიდოდი, თათბირის ჩატარება გახდა აუცილებელი, 10-15 წუთში ყველაფერს დავამთავრებ და მოვალ, კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდიო!“**

## მკვლევარის სიტყვა




# *იოსებ სტალინი:*

## ამხანაგ ლენინის 1919 წლის 1 მაისის ბრძანებულება №13000666\2 მღვდლებთან და რელიგიასთან ბრძოლის შესახებ, რომლის შესრულება დავალებული ჰქონდა ამხანაგ ძერჟინსკის,

# გააუქმდეს!

სტალინთან ერთად ციმბირში იხდიდა სასჯელს. 1919 წლის 5 ნოემბერს **უინსტონ ჩერჩილი** ინგლისის პარლამენტში გამოვიდა და განაცხადა — *„ლენინი შეგზავნილი იყო რუსეთში გერმანელების მიერ ზუსტად ისე, როგორც შუშის ჭურჭელს შეაგზავნიდნენ ტიფის ან ქოლერის ბაცილებით დიდი მდინარის მოსაწამლად, რომელიც დიდ ქალაქს კვებავს!“* მართლაც, ლენინი რუსეთში ჯერ შემოსული არ იყო, როცა გლაზგოს, ბერნის, ვენისა და ნიუ-იორკის სამალავებიდან გამოიძახა თავისი თანამზრახველები და ასე შემოვიდნენ დახურული მატარებლით რუსეთში რევოლუციის მოსაწყობად, სადაც 165 კაციდან 128 ებრაელი იყო. 1917 წლის მარტში ტურუხანსკის გადასახლებიდან პეტროგრადში ჩამოვიდა ნატანჯი და გაუბედურებული სტალინი, მაშინ, როცა **ლენინი** ევროპაში საყვარლებთან ერთობოდა და მეფურად ცხოვრობდა. პეტროგრადში ასევე ჩამოვიდა **ლევ ტროცკიც,** ოღონდ ამერიკიდან. მისი მგზავრობა დააფინანსა ამერიკის პრეზიდენტმა **ვუდრო ვილსონმა,** რომელიც ასევე მასონი იყო.

**ტროცკის** მიმართ ასეთი მზრუნველობა იმით იყო განპირობებული, რომ მას მფარველობდნენ უძლიერესი სიონისტური ძალები „ნაით ბრიათის“ ხელმძღვანელობით. ტროცკი ამბობდა:

*„ჩვენ უნდა გადავაქციოთ რუსეთი თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ. მათ ჩვენ მივართმევთ ისეთ ტირანიას, რომელიც არ დასიზმრებიათ აღმოსავლეთის უსასტიკეს მმართველებსაც კი. ამას გააკეთებენ ტყავის ქურთუკებში გამოწყობილი ჭაბუკები და ქალბატონები, ოდესისა და ორშის, გომელისა და ვინიცის მესაათეთა შვილები!“*

სწორედ ამ ხალხს გააჟუჟუნეს რუსეთის ინტელიგენცია. ცნობილია, რომ ტროცკისტები ყირიმში მასობრივად ხვრეტდნენ თეთრგვარდიელებს, რომლებსაც საფრანგეთში უნდოდათ გაღწევა. 1918 წელს **ლენინმა** და მისმა „სახკომებმა“ ხელი მოაწერეს მაშინდელი პეტროგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა, სულ 300 კაცის დახვრეტის განაჩენს. ერთადერთი, ვინც კატეგორიულად არ დაეთანხმა ამ ხალხის დახვრეტას და პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომა, სწორედ **სტალინი** იყო. გაგიკვირდებათ და ნაძირალა გორბაჩოვის მიერ დაქირავებული სიონისტი-ჟურნალისტები — **რიბაკოვი, მარშაკი** და სხვები სტალინს ამის გამოც კი აკრიტიკებდნენ.

**— მაინც რას ამბობდნენ?**

— აქაოდა, სტალინი ლენინის ერთგული მოწაფე არ იყო და მასწავლებელს არ ემორჩილებოდაო! უფრო მეტიც, ეს დაქირავებული არაკაცები სტალინს იმის გამოც ლანძღავდნენ, რომ ოქტომბრის რევოლუციის დღეებში მხარი არ დაუჭირა შეიარაღებულ გადატრიალებას, რადგან მიაჩნდა, რომ ასეთი ხელისუფლება არალეგიტიმური იქნებოდა. საქვეყნოდ ცნობილია 1919 წლის 1 მაისს **ლენინის** მიერ გამოცემული ბრძანება №13000666\2, სადაც ვკითხულობთ:

*„სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს* ***ამხანაგ ფელიქს ძერჟინსკის!*** *სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად დაამთავროთ მღვდლებისა და რელიგიის საქმე. მღვდლები დაპატიმრებულ უნდა იქნან, როგორც კონტრრევოლუციონერები და მესაბოტაჟეები! ისინი ყველგან უმოწყალოდ უნდა დაიხვრიტონ და რაც შეიძლება მეტი ეკლესია უნდა დაექვემდებაროს დაკეტვას!“*

ბრძანებას ხელს აწერენ **მიხეილ კალინინი და ლენინი**. ეს ბრანებულება გამოსცეს მაშინ, როცა სტალინი ყაზანში იმყოფებოდა მივლინებით. რომც ყოფილიყო მოსკოვში, იგი ამ ბნელ ძალას მაინც ვერ დაუპირისპირდებოდა, რადგან ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი გახლდათ და არავითარი ძალა არ ჰქონდა. სახკომსაბჭოში **კალინინის, რიკოვისა და ბუხარინის** გარდა ყველა ებრაელი იყო და სტალინს რა უნდა ექნა? არ გამიგოთ ისე, თითქოს ებრაელები მძულდეს. პირიქით, მიყვარს ეს ნიჭიერი ხალხი, ბევრი ებრაელი მეგობარი მყავს და მეორე მსოფლიო ომში ქართველი ებრაელების დაღვრილ სისხლს საგანგებო წიგნიც მივუძღვენი, მაგრამ **მძულს სიონიზმი, როგორც კაცობრიობისა და, უპირველეს ყოვლისა, ებრაელი ხალხის მტერი!**

1922 წლის მარტის ბოლოს ჩატარდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) მე-11 ყრილობა, რომელზეც, **ლენინის** წინადადებით, პარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს **სტალინი.** ისარგებლა რა **ლენინის** ავადმყოფობით, **სტალინმა** მოახერხა მისი პოლიტიკური იზოლირება და 1923 წლის 16 აგვისტოს, პარტიის მე-12 ყრილობის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, რომელმაც შეარბილა ე.წ. სამხედრო კომუნიზმის სისასტიკე, გენერალურმა მდივანმა **სტალინმა** პარტიის საგუბერნიო კომიტეტებში გააგზავნა ცირკულარული წერილი, რომელშიც ეკლესიების დაკეტვისა და რელიგიური ხასიათის დაპატიმრებების აკრძალვას მოითხოვდა.

**— გამოდის, რომ, როგორც კი ძალაუფლება იგრძნო, სტალინი ლენინისა და ტროცკის სატანისტურ პოლიტიკას დაუპირისპირდა?**

— ცხადია და ამას დოკუმენტებიც მოწმობს! 1929 წელს სტალინმა გააძევა **ტროცკი,** ხოლო 30-იანი წლების დასაწყისში — **ალექსეი რიკოვი,** რომელიც **ვიაჩესლავ მოლოტოვმა** შეცვალა. სწორედ ამ გადაადგილების შემდეგ დაიწყო სტალინმა მართლმადიდებლური ეკლესიის აღორძინება.

1933 წლის 12 მარტით დათარიღებულ ცეკას პოლიტბიუროს სხდომის ოქმში ვკითხულობთ:

*„20-30-იან წლებში მოსკოვსა და მიმდებარე ტერიტორიებზე სრულად განადგურდა ათი ეკლესია და 300 მონასტერი, ხოლო დანარჩენი სალოცავები გადაკეთდა კლუბებად, საწყობებად, საერთო საცხოვრებლებად, ციხეებად, არასრულწლოვანი მაწანწალებისთვის განკუთვნილ იზოლატორებად და კოლონიებად. არქიტექტურული განაშენიანების გეგმები ითვალისწინებდა ხუთასზე მეტი დარჩენილი ტაძრისა და ეკლესიის აღებას. ყოველივე ამაზე დაყრდნობით, ცენტრალური კომიტეტი შეუძლებლად მიიჩნევს მშენებლობის პროექტირებას ტაძრებისა და ეკლესიების ხარჯზე, რაც ძველი რუსული ხუროთმოძღვრების არქიტექტურულ ძეგლებად უნდა ჩაითვალოს. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები, მუშურ-გლეხური მილიცია მოვალენი არიან, ყოველგვარი ზომები მიიღონ ძველი რუსული ხუროთმოძღვრების არქიტექტურული ძეგლების დასაცავად და ამ საქმეში დისციპლინარული პასუხისმგებლობა გამოიჩინონ! ცეკას მდივანი* ***ი. სტალინი.“***

1939 წლის ბოლოს სტალინი უკვე სრულად აკონტროლებდა საკავშირო შინსახკომს, რასაც მაშინვე მოჰყვა კიდევ ერთი ახალი დოკუმენტი, რომელიც 1939 წლის 11 ნოემბრით თარიღდება. მასში ვკითხულობთ:

*„ამიერიდან არამიზანშეწონილად ჩაითვალოს სსრკ შინსახკომის ორგანოების პრაქტიკა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა და მართლმადიდებელ მორწმუნეთა დაპატიმრებისა.* ***ამხანაგ ულიანოვის (ლენინი)*** *1919 წლის 1 მაისის ბრძანებულება №13000666\2 მღვდლებთან და რელიგიასთან ბრძოლის შესახებ, რომლის შესრულება დავალებული ჰქონდა ამხანაგ* ***ძერჟინსკის,*** *გააუქმდეს! შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ჩაატაროს ბრალდებულთა საქმეების რევიზია, რომელიც უკავშირდებოდა ღვთისმსახურებას და განთავისუფლდნენ ის პატიმრები, რომლებიც ამ მოტივით იყვნენ დაპატიმრებული. გადაწყვეტილებას მორწმუნეთა საკითხის შესახებ, რომლებიც ციხეებში იმყოფებიან, ცეკა დამატებით გამოიტანს! ცეკას მდივანი* ***ი. სტალინი.“***

**— ანუ სტალინმა ლენინის სატანური ბრძანებულება ოცი წლის შემდეგ, როგორც იქნა, გააუქმა?**

— დიახ, გააუქმა და ამით ყველაფერია ნათქვამი! სხვათაშორის, თბილისში, ვერის უბანში, 1939 წელს გადაწყვიტეს ე.წ. ლურჯი მონასტრის დანგრევა, რომელიც ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიაა. საბედნიეროდ, ამ მონასტრის მრევლი იყო ლავრენტი ბერიას დედა **მართა ჯაყელი,** რომელიც ღრმადმორწმუნე ქალი გახლდათ და ხშირად ფეხშიშველიც კი მიდიოდა ტაძარში. მართამ ეს რომ გაიგო, მაშინვე გაიქცა სახლში და პირდაპირი ტელეფონით დაურეკა ლავრენტის. ბერიამ დედამისი დაამშვიდა და ტაძარი დანგრევას გადარჩა. **ვერავინ დამაჯერებს, რომ სტალინის გარეშე ეს საკითხი გადაწყდებოდა.**

ბელადის მიერ ხელმოწერილმა ზემოხსენებულმა ორმა დადგენილებამ ის შედეგი გამოიღო, რომ, თუ საბჭოთა კავშირში მხოლოდ 400 მოქმედი ეკლესია-მონასტერი იყო დარჩენილი, მათი რიცხვი სულ მალე 22 ათასს მიუახლოვდა!






Российская Социалистическая Федеративная Советская Республика

Всероссийский Центральный Исполнительный Комитет
Советов Раб. Солд. Кр. и Каз. Деп.

Москва, Кремль

№ 18666

184 01/V 1919

СТРОГО СЕКРЕТНО

Председателю ВЧК
тов. ДЗЕРЖИНСКОМУ Ф.Э.

У К А З А Н И Е

В соответствии с решением В.Ц.И.К. и Сов. Нар. Комиссаров, необходимо как можно быстрее покончить с попами и религией.

Попов надлежит арестовывать как контрреволюционеров и саботажников, расстреливать беспощадно и повсеместно. И как можно больше.

Церкви подлежат закрытию. Помещения храмов опечатывать и превращать в склады.

Председатель В.Ц.И.К. [подпись]

Председатель Сов. Нар. Комиссаров [подпись] (Ленин)

Отп. в 2-х экз.
Экз. № 1 в адрес
Экз. № 2 об. литер

Указание Ленина о «беспощадном расстреле попов»

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# სვიმონ მასხარაშვილი:

# ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ჰიტლერის მხარეს 80 ათასი ქართველი იბრძოდა და მათი უდიდესი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა!



***ფაშისტური გერმანიის მესამე რაიხის დროშის ქვეშ უამრავი ქართველი იბრძოდა, რომლებიც საქართველოს თავისუფლებაზე ოცნებობდნენ. პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ადასტურებს, რომ ფაშისტების მხარეს მებრძოლი ქართველები სამხედრო დამნაშავეები არ ყოფილან და ისინი ჰიტლერის სამსახურში შევიდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო და ქართველები გადაერჩინათ:***

— იმის უარყოფა, რომ ევროპის ქართულ ემიგრაციაში სტალინს აგენტები არ ჰყავდა, არ შეიძლება, თუმცა, არც იმის პირდაპირი მტკიცებულებები გაგვაჩნია, რომ კრემლთან რომელიმე ქართველ ემიგრანტს პირდაპირი კავშირი ჰქონდა. მაგალითად, რუსული ემიგრაციის უდიდესი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე კრემლის სამსახურში ჩადგა, ქართული ემიგრაცია კი მცირერიცხოვანი და ჭრელი გახლდათ, რომელიც გაერთიანებას ვერა და ვერ ახერხებდა. აქ იყვნენ ის ქართველები, რომლებიც საქართველოს გასაბჭოების დროს ირანში იმყოფებოდნენ და იქიდან ჩავიდნენ ევროპაში; ნაწილი 1921 წლის მარტში გავიდა ქვეყნიდან და **ნოე ჟორდანიას** გაჰყვა; ნაწილი, მათ შორის, გენერალი **გიორგი მაზნიაშვილი,** საბჭოთა ხელისუფლებამ გააძევა და მერე ისევ უკან დაბრუნდა, რადგან საფრანგეთში გენერალ **გიორგი კვინიტაძესთან** ჰქონდა კონფლიქტი; ნაწილი 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ გავიდა ქვეყნიდან.

საერთოდ, 1928 წლამდე საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, პოლიტიკური მოწინააღმდეგეები გაეკულაკებინა და ქვეყნიდან გაძევების გზით მოეცილებინა. მაგალითად, ცნობილი ქართველი არქიტექტორის **ოთარ ჯაყელის** ოჯახს, რომელიც ჭიათურის მანგანუმის აქციებს ფლობდა, სწორედ ასე მოექცნენ — ოჯახს აქციები ჩამოართვეს და ამერიკელი **უილიამ ავერელ ჰარიმანის** ჩარევით, თურქეთის გზით, საბჭოთა კავშირიდან გასვლის საშუალება მისცეს. **ოთარ ჯაყელი,** რომელიც პარიზის არქიტექტორი გახლდათ, შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურას ასწავლიდა.

ემიგრაციის უკანასკნელ ტალღას წარმოადგენდა **გრიგოლ რობაქიძე,** რომელიც განათლების სახალხო კომისარიატში კულტურის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ანუ, ფაქტობრივად, საბჭოთა საქართველოს კულტურის მინისტრი იყო. ის 30-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში გაგზავნეს სამეცნიერო მივლინებით, მაგრამ 1934 წელს, როცა უკან დაბრუნება მოსთხოვეს, უარი განაცხადა. ამასთან, გრიგოლ რობაქიძეს პირადი ნაცნობობა აკავშირებდა **ადოლფ ჰიტლერთან.** მან ფიურერს გერმანულ ენაზე ქებათა ქება მიუძღვნა და დაწერა ცნობილი წიგნი **„ადოლფ ჰიტლერი“.** მასვე ეკუთვნის მეორე ცნობილი ნაწარმოები, სადაც განდიდებულია **ბენიტო მუსოლინი.** არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გრიგოლ რობაქიძეს სტალინთან თუ არა, ლავრენტი ბერიასთან მაინც ჰქონდა კავშირი!

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

## ისტორიკოსის თვალით ★

— დააკვირდით — გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც იყო დიდი გერმანული მწერლობის მეტრი და 1936 წელს ფაშისტურმა გერმანიამ ნობელის პრემიაზეც კი წარადგინა, ომის დასრულების შემდეგ კაციშვილი არ შეხებია. შეუძლებელია, მისი **„ადოლფ ჰიტლერი“ და „მუსოლინი“** სტალინს არ ჰქონოდა წაკითხული. შეუძლებელია, **ბერიას** არ სცოდნოდა, რომ, როცა რობაქიძე ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებს ქართველების გადასარჩენად აკითხავდა, გერმანელი ოფიცრები უდიდესი პატივითა და აღტაცებით ხვდებოდნენ... მიუხედავად ამისა, მისი დევნა არავის დაუწყია და ეს მაშინ, როცა გაცილებით დაბალი რანგის მწერლებს, ფაშისტებთან თანამშრომლობა არ აპატიეს. უფრო მეტიც, **ომის შემდეგ გრიგოლ რობაქიძეს გამოექომაგა დიდი ებრაელი, გერმანულენოვანი მწერალი შტეფან ცვაიგი...** ეს ყველაფერი აჩენს ეჭვს, რომ **გრიგოლ რობაქიძე** 1934 წელს გერმანიაში სტალინის თანხმობის გარეშე არ დარჩენილა.

**— საინტერესოა, მაინც რამდენი ქართველი იბრძოდა ჰიტლერის დროშის ქვეშ და ჩადენილი ჰქონდათ თუ არა მათ სამხედრო დანაშაული?**

— ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გვაძლევს 1952 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დაკვეთით ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევა ნაცისტურ გერმანიასთან მოთანამშრომლე ქართველების დანაშაულობათა შესახებ. ამ კვლევის დასკვნაში გარკვევით წერია, რომ ქართველები, რომლებიც თანამშრომლობდნენ ფაშისტურ ვერმახტთან, ამას სჩადიოდნენ მხოლოდ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან იბრძოდნენ თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისთვის. უფრო მეტიც, **ფაშისტების სამსახურში მყოფ არცერთ ქართველს არ ჩაუდენია სამხედრო დანაშაული და მონაწილეობა არ მიუღია ჰოლოკოსტში, პირიქით, ქართველებმა უამრავ ებრაელს შეუნარჩუნეს სიცოცხლე!** ეს დოკუმენტი არსებობს და გამოქვეყნებულია. იმავე ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ჰიტლერის მხარეს **80 ათასი ქართველი** იბრძოდა და მათი უდიდესი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა. მაგალითად, ცნობილია, რომ გენერალ **ჯონ მალხაზ შალიკაშვილის** მამა ფაშისტური ვერმახტის ოფიცერი იყო!

90-იანი წლების დასაწყისში, როცა **ჯონ მალხაზ შალიკაშვილს** ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული შტაბების მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ ამტკიცებდნენ, ერთ-ერთმა სენატორმა მას ეს ფაქტი გაახსენა და საჯაროდ ჰკითხა — **რას იტყვით იმის შესახებ, რომ მამათქვენი ვერმახტის ოფიცერი იყოო?** ამის ვიდეოჩანაწერი არსებობს... **შალიკაშვილი** ორი წუთით გაირინდა და განაცხადა — მე ვარ შოკში... მაგრამ მამაჩემს ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო — საქართველო! — ბრავო გენერალო! — უპასუხა მას სენატორმა, **ანუ მალხაზ შალიკაშვილმა ამერიკელ სენატორებს უთხრა — მართალია, მამაჩემი ჰიტლერს ემსახურებოდა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთვის იბრძოდაო!** ამას ადასტურებდა **ოთარ ჯაყელიც,** რაც მისგან პირადად მომისმენია...

**— მაინც რა მოგისმენიათ?**

— **ოთარ ჯაყელი** ახალგაზრდა, 19 წლის ბიჭი იყო — ბელგიის ჩემპიონი კრივში, როცა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში შევიდა. ის **დიმიტრი ამილახვართან** და პარიზის პრინცთან ერთად იბრძოდა. ლეგიონში **ოთარ ჯაყელი** მიიღო **ჯონ მალხაზ შალიკაშვილის** ბიძამ, მამის ძმამ, რომელიც ასევე ოფიცერი გახლდათ, ანუ **ძმები შალიკაშვილები** შეთანხმდნენ, რომ ერთი ძმა შესულიყო ჰიტლერის სამსახურში, ხოლო მეორე — საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. ბატონი ოთარისგან ვიცი, რომ **შალიკაშვილები** ასე შეთანხმებულად იმიტომ მოქმედებდნენ, რათა რაც შეიძლება მეტი ქართველი გადაერჩინათ. უდიდესი მეცნიერი, ემიგრაციაში მყოფი ქართველი არქიმანდრიტი, წმინდა **გრიგოლ ფერაძე** სწორედ მრავალშვილიანი ებრაელის გადარჩენას ემსხვერპლა — შვილები გყავს და უნდა გაზარდოო! აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ებრაელებმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმი — **„ქართველი შინდლერი“,** სადაც საუბარია **იოსებ ელიგულაშვილსა და მიხეილ კედიაზე,** რომლებმაც უამრავი ქართველი ებრაელი იხსნეს. მათ **ფაშისტები დაარწმუნეს, რომ ქართველი ებრაელე-**

## „ჰიტლერმა სტეფან ბანდერასა და უკრაინელებს უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე უარი უთხრა!“





გრიგოლ რობაქიძე

## „არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გრიგოლ რობაქიძეს სტალინთან თუ არა, ლავრენტი ბერიასთან მაინც ჰქონდა კავშირი!“



ვერმახტის ქართული ლეგიონი



# ადოლფ ჰიტლერი: ქართველი ერი ამას არ იმსახურებს!

**ბი იყვნენ სინამდვილეში ეთნიკური ქართველები, მოდგმით ქალდეველები, რომლებსაც მხოლოდ რჯული ჰქონდათ ებრაული. კედიამ და ელიგულაშვილმა** ათასზე მეტი არაქართველი ებრაელი ქართველ ებრაელად გაასაღეს და სიკვდილისაგან იხსნეს. აქედან გამომდინარე, საუბარი იმის შესახებ, რომ ჰიტლერის სამსახურში მყოფი ქართველები სამხედრო დამნაშავეები იყვნენ, აბსურდია. ვიმეორებთ: **ისინი ჰიტლერის სამსახურში შევიდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო და ქართველები გადაერჩინათ!**

საერთოდ, ეს საკითხი ძალიან ღრმა კვლევასა და შესწავლას მოითხოვს. აი, მაგალითად, ტექსელის გმირების შესახებ საქართველოში ბევრმა სიმართლე არ იცის. ტექსელზე 1945 წლის აპრილში აჯანყებული ქართველები ფაშისტური ვერმახტის სამსახურში იყვნენ, ხოლო შემდეგ ისინი კანადის სამხედრო გემმა აიყვანა და საბჭოთა კავშირს გადმოსცა. ეს ხალხი საბჭოთა კავშირში ჯერ გადაასახლეს, რადგან ფაშისტების მხარეს იბრძოდნენ, ხოლო შემდეგ გმირებად შერაცხეს. იმ ქართველებს ჰოლანდიაში, ტექსელზე, ბავშვები დარჩათ... ამ დღეებში 78 წლის ასაკში გარდაცვლილი გერმანული ფეხბურთის ლეგენდა **ფრანც ბეკენბაუერიც,** დიდი ალბათობით, ქართველი იყო!

**— ვისი შვილია?**

— დიახ, სულ ახლახან გარდაცვლილი დიდი ფრანც ბეკენბაუერი, რომელსაც ქართველები საშინლად ეჯავრებოდა, დიდი ალბათობით, ულამაზესი ქართველი არქიტექტორის **ტარიელ ქუთათელაძის** შვილი იყო, რომელიც ვერმახტში მსახურობდა და ამის გამო გადასახლებული იყო. თბილისში იუბილე რომ გადაუხადეს, ტარიელს დასავლეთ გერმანიიდან ქალბატონებმა ჩამოაკითხეს. *(იცინის)* ფრანც ბეკენბაუერის ნამდვილი მამა ბუნებაში არ ჩანს... არადა, 60-იან წლებში, როცა იგი სტადიონზე გამოჩნდა, ტარიელ ქუთათელაძეს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. **ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ფრანც ბეკენბაუერის ჩასახვის დრო ზუსტად ემთხვევა იმ რაიონში ცნობილი არქიტექტორის ტარიელ ქუთათელაძის ყოფნას, რომელიც ფაშისტურ ვერმახტში მსახურობდა.**

სხვათაშორის, ბუნებაში არსებობს ე.წ. „ნაბიჭვრობის კომპლექსი", როცა შვილს ეზიზღება ნამდვილი მამა და მისი სამშობლო. ეს სჭირდა **ნიკო მარს,** რომელიც, როგორც ამბობენ, სინამდვილეში 70 წელს გადაცილებული იაკობ მარის კი არა, **გიორგი გურიელის** შვილი გახლდათ. სხვათაშორის, უდიდესი მეცნიერი **მიხაკო წერეთელი,** რომელიც ბედუკუღმართობის გამო ასევე ფაშისტების სამსახურში იყო და რამდენიმე მკვდარი ენა იცოდა, ივანე ჯავახიშვილს სწერდა — *ძმაო ვანო, გავიცანი ნიკო მარი და მინდა, დაგამშვიდო, რომ ნიკო ისეთივე არმენოფილია, როგორიც — ქართველოფილი. კაცმა არცერთი მკვდარი ენა არ იცის, ვერცერთ ძველ ენაზე ერთი სიტყვაც ვერ მითხრა. ეს ჩვეულებრივი, გაბოროტებული კაცია!*

**— მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ადოლფ ჰიტლერს საქართველოში შემოჭრა სწორედ მიხეილ კედიამ, ნიჟარაძემ, გივი გაბლიანმა, გრიგოლ რობაქიძემ, შალვა მაღლაკელიძემ და სხვა ქართველებმა გადააფიქრებინეს და დაარწმუნეს — საქართველოს ვიწრობები შენი არმიისთვის საკლაოდ იქცევა. გარდა ამისა, ქართველები ანტიბოლშევიკურად არიან განწყობილი და თუ ქვეყანას შეესევი, შესაძლოა, მერე ქართველები ბოლშევიკების მხარეს დადგნენ და ანტიგერმანულად განეწყონო!**

— ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის პოლკოვნიკმა **მერაბ კვიტაშვილმა,** რომელიც თეირანის კონფერენციაში მონაწილეობდა, **უინსტონ ჩერჩილს** წარუდგინა ასეთი დასკვნა — საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განცდა არის ყველაზე მაღალი. აქედან გამომდინარე, ქართველი ხალხი დაიჭერს იმის მხარეს, ვინც მას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტიას მისცემს. თუ დავასწრებთ გერმანელებს, მაშინ ქართველები დაიჭერენ ჩვენ მხარეს, მაგრამ, თუ გერმანელები დაგვასწრებენ, მაშინ დადგებიან ჰიტლერის გვერდით! ეს დასკვნა მან დადო 1940 წელს, როცა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული.

**— ჰიტლერი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ განიხილავდა?**

— გერმანიაც და დიდი ბრიტანეთიც საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ განიხილავდნენ!

**— აბა, რატომ მუსირებს აზრი, რომ ფაშისტებს ქართველები უნდა გადაესახლებინათ?!**

— ეს ყველაფერი არის ტყუილი და საბჭოთა პროპაგანდის ბინძური ნაყოფი. ჰიტლერს არც სლავების გადასახლება ჰქონია მიზნად. უფრო მეტიც, მას ბალტიისპირეთის არცერთი სახელმწიფოსთვის ხელი არ უხლია და სლოვაკეთისა და ხორვატიის სახელმწიფოებიც კი შექმნა. თვით მორავიისა და ბოჰემიის პროტექტორატიც კი ჰიტლერს იურიდიულად არასოდეს შეუერთებია. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჰიტლერი საფრანგეთის ანექსიას მოახდენდა. ფიურერი ასევე თანახმა იყო, მომხდარიყო დამოუკიდებელი სომხეთის სახელმწიფოს რესტავრაცია, რისთვისაც ბერლინში სერიოზულ სამუშაოებს აწარმოებდა ცნობილი სომეხი გენერალი **დრო,** რომელიც 1918 წელს საქართველოს თავს დაესხა. თუმცა, ერთი რამ ფაქტია — ჰიტლერმა **სტეფან ბანდერასა** და უკრაინელებს უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე უარი უთხრა!

საქართველოში ჰიტლერის შემოჭრის შემთხვევაში ქართული ემიგრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას გეგმავდა, მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ეს სახელმწიფო — მონარქიული თუ რესპუბლიკური, ამაზე აზრი ორად გაიყო. ქართველმა მონარქისტებმა ორი კანდიდატი წარმოადგინეს — **პრინცი გიორგი ბაგრატიონი** და ერეკლე მეფის შთამომავალი — **პრინცი ჭავჭავაძე,** რომელიც დედით ბაგრატიონი იყო. ჭავჭავაძემ, რომელიც ემიგრაციაში ძალიან პოპულარული გახლდათ, თავისი კანდიდატურა მოხსნა. **გიორგი ბაგრატიონი** ბერლინში ჩაიყვანეს და ფაშისტურ ადმინისტრაციას წარუდგინეს, მაგრამ ჰიტლერმა საქართველოში მონარქიის აღდგენას მხარი არ დაუჭირა, ქვეყნის რესპუბლიკად გამოცხადებას მიემხრო და განაცხადა — ქართველი ერი ამას არ იმსახურებს!

**— როდის აიჭრა სიტუაცია და როდის გაუჭირდა ქართულ ემიგრაციას მუშაობა ჰიტლერის კარზე?**

— მას შემდეგ, რაც ჰიტლერი საბჭოთა კავშირს თავს დაესხა, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. 1941 წელს ძალიან ბევრი ქართველი გაიწვიეს ფრონტზე და, ფაქტობრივად, ყოველი მეორე ქართველი მამაკაცი ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდა. მოხდა ასეთი ფაქტი — ფაშისტური ვერმახტის ახალგაზრდა ოფიცრებმა **შოთა გედევანიშვილმა და ალექსანდრე ცომაიამ** 1942 წელს გამოარღვიეს ფრონტი და ხუთ ქართველთან ერთად შემოვიდნენ დუშეთში. ეს იყო დაზვერვითი სამხედრო ოპერაცია, რათა მოსახლეობის განწყობის ზონდირება მოეხდინათ. შოთა გედევანიშვილის დედა მაშინ ცოცხალი იყო და ქალმა შვილის მიღებაზე უარი თქვა. ალექსანდრე ცომაიას ძმა ახალქალაქის ქართულ დივიზიაში მსახურობდა და არც მან ისურვა ძმასთან კონტაქტი, ანუ ჰიტლერის სამსახურში მყოფმა ქართველებმა ოჯახის წევრებთანაც კი ვერ შეძლეს კავშირის დამყარება. ეს მხოლოდ „კაგებეს" შიშით არ მომხდარა, ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ქართველებსა და ფაშისტებს შორის ზღვა სისხლი იყო ჩამოწოლილი და ქერჩისა და სევასტოპოლის მიწაში 80 ათასი ქართველი იწვა. მთელი საქართველო ძაძებით იყო მოსილი. ასე რომ, 1942 წლიდან აქ რომ გერმანელები შემოსულიყვნენ, საქართველოში დიდი სისხლი დაიღვრებოდა, რასაც მესამე რაიხის დროშის ქვეშ მებრძოლი ქართველები კარგად აცნობიერებდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ფაშისტურ ვერმახტს უშუალოდ საქართველოსთან პირდაპირი კონტაქტი არ ჰქონოდა.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილის მამა ფაშისტური ვერმახტის ოფიცერი იყო!"




## „ამ დღეებში 78 წლის ასაკში გარდაცვლილი გერმანული ფეხბურთის ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერიც, დიდი ალბათობით, ქართველი იყო!"



ბეკენბაუერის ორი ასაკი

## „ფრანც ბეკენბაუერის ჩასახვის დრო ზუსტად ემთხვევა იმ რაიონში ცნობილი არქიტექტორის ტარიელ ქუთათელაძის ყოფნას, რომელიც ფაშისტურ ვერმახტში მსახურობდა!"

# პოლონეთის ლენჩი

***მას შემდეგ, რაც დანიის ელჩმა ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქად გამოაცხადა, პარტიზანმა მეხევე ნატა ფერაძემ ეკლესიაში წმინდა მატრონას ხატი შეურაცხყო, ხოლო მასტურბატორმა ლაშა ბუღაძემ „რუსული შობა“ მოგვილოცა, თითქოს ჯოჯოხეთიდან ამოარწყიესო, საქართველოში პოლონეთის ელჩი მათეუშ მაშკევიჩი გამოგვეცხადა და 2022 წლის მარტში რონდელის ფონდში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე გაკეთებული თავისი განცხადება გაიხსენა, რომელიც, ასე ჟღერდა:***

*„მინდა, მივმართო ქართველ მეგობრებს. მაქვს ერთი შემოთავაზება. მესმის, რომ რთულ სიტუაციაში ხართ — პატარა ქვეყანა, უზარმაზარი მეზობელი, რთული ეკონომიკური სიტუაცია გაქვთ და არ შეგიძლიათ რუსეთის წინააღმდეგ ისაუბროთ და მხარი დაუჭიროთ სანქციებს. კარგი. მაგრამ გთხოვთ, სულ მცირე, ერთი სიმბოლური ჟესტი გააკეთეთ. დახურეთ სტალინის მუზეუმი გორში!“*



მათეუშ მაშკევიჩი

ერთი სიტყვით, პოლონეთის ელჩი **მათეუშ მაშკევიჩი** გორში სტალინის სახლ-მუზეუმის არსებობის წინააღმდეგია და მის დახურვას ითხოვს!

შესაძლოა, **მაშკევიჩი და მისთანა ტილები** ინვალიდების სასახლეში ნაპოლეონის საფლავის აფეთქებასაც ითხოვენ, რადგან **პოლონეთს არც ნაპოლეონის და, მითუმეტეს, არც სტალინის დარი გენიოსი არ ღირსებია და თანაც ნაპოლეონმა პოლონელებს ულამაზესი გრაფინია მარია ვალევსკა გააუბახა, მაგრამ საფრანგეთს ამის თქმას ვერ უბედავენ.** სამაგიეროდ, პატარა საქართველოს, რომელიც შინაგამცემებითა და გეი-აგენტებითაა გამოტენილი, ჭკუას ასწავლიან და შეურაცხყოფას აყენებენ.

**საქართველოს სახელმწიფო პოლონელებმა მაშინაც შეურაცხყვეს, როცა სააკაშვილის მოსანახულებლად შესულ ერთ-ერთ პოლონელ ექიმს პენიტენციური სისტემის მუშაკებმა ნასკიდან საიდუმლო ტოპრაკი ამოუღეს, სავარაუდოდ, ნაპრეზიდენტალის ქაქით.**

როგორც ელჩმა განაცხადა, სტალინის მუზეუმის დახურვის შეთავაზების გამო, საქართველოს საგარეო უწყება მისთვის, თურმე, **ადგილის მიჩენას ცდილობდა,** მაგრამ მან ყველაფერი „გაატარა“...

აშკარაა, რომ უკრაინის ომის გაჩაღების შემდეგ პოლონეთი აშკარად წვალობს... მართლაც, დანგრეული, დაქცეული და მიწასთან გასწორებული უკრაინის შემყურე პოლონელებმა აგერ უკვე ორი წელიწადია, ყურები ცქვიტეს, რადგან **ძველი პოლონური მიწების, განსაკუთრებით კი გალიციის დაბრუნების იმედი გაუჩნდათ და ბელორუსსაც შეუღრინეს.** პოლონელების საეჭვოდ აწრიალება **ვლადიმერ პუტინს** არ გამოჰპარვია და 2023 წლის ზაფხულში ბრჭყალი გამოუჩინა: ***„ახლანდელი პოლონეთის დასავლური ტერიტორიები ეს არის სტალინის საჩუქარი პოლონელებისთვის.** ჩვენმა ვარშაველმა მეგობრებმა ეს დაივიწყეს, მაგრამ ჩვენ შევახსენებთ! რაც შეეხება ბელორუსს, ეს არის სამოკავშირეო სახელმწიფოს ნაწილი და ბელორუსის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელება აღქმული იქნება რუსეთის წინააღმდეგ აგრესიად. ამას ჩვენ ვუპასუხებთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით!“*

საქართველოს საშინაო საქმეებში მაშკევიჩები, **მაშკა ღორები, მიშას ფოტიგები, კუბილიუსები, გიჟიმანტასები და კრამონები** რომ თავიანთი ბინძური დინგით იჩიჩქნებიან, არახალია. პოლონეთი, რომელიც ბოლო დროს საოცარ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ აღმავლობას განიცდის, **1815 წლიდან 1918 წლამდე რუსეთის იმპერიის განუყოფელი ნაწილი იყო.** რუსეთის უკანასკნელი ხუთი იმპერატორი, **ალექსანდრე პირველით** დაწყებული, **ნიკოლოზ მეორით** დამთავრებული, **„პოლონეთის მეფედ“** იწოდებოდა. პოტსდამის კონფერენციაზე, რომელიც 1945 წლის 17 ივლისს დაიწყო და 2 აგვისტოს დასრულდა, სტალინის მეცადინეობით, **პოლონეთი გეოგრაფიული ცნებიდან სერიოზულ, რაფინირებულ ევროპულ სახელმწიფოდ იქცა, რომელსაც უდიდეს ომში გამარჯვებულმა ბელადმა დამარცხებული გერმანიის მიწები აჩუქა.**

კერძოდ, დიდი სტალინის ნებით, რომლის მუზეუმის გაუქმებასაც პოლონელი **მაშკევიჩი** მაშკა ღორის სიჯიუტით ითხოვს, მდინარე ოდერისა და ნეისის აღმოსავლეთით მდებარე გერმანული მიწები სწორედ პოლონეთს შეუერთეს. **სტალინმა პოლონეთს გადასცა: აღმოსავლეთ პომერანია, სილეზია, აღმოსავლეთ ბრანდერბურგი, თავისუფალი ქალაქი დანციგი, რომელსაც „გდანსკი“ დაარქვეს და გერმანული შტეტინის პორტი, რომელსაც პოლონელებმა შჩეცინი უწოდეს.** პოლონეთს ბალტიის ზღვაზე ჰქონდა 70-კილომეტრიანი კორიდორი, მაგრამ სტალინის გადაწყვეტილებით, ეს **70 კილომეტრი** პოლონეთს **500 კილომეტრამდე** გაუზარდეს. მთელი აღმოსავლეთ პრუსიის ძირითადი ნაწილი სტალინმა სწორედ პოლონეთს აჩუქა, ხოლო საბჭოთა კავშირს, კერძოდ, რუსეთის ფედერაციას, შედარებით მცირე ნაწილი მიაკუთვნა ძველი კენინგსბერგის, ახლანდელი კალინინგრადის ოლქის სახით. **აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ სტალინმა გერმანელებს წაართვა და პოლონელებს მისცა უძველესი გერმანული ქალაქი ბრესლაუ — სილეზიის ისტორიული დედაქალაქი, რომელსაც პოლონელებმა ვროცლავი დაარქვეს.** მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, 1945 წლის პოტსდამის კონფერენციაზე პოლონეთს გადაეცა დაახლოებით 100 ათასი კვადრატული კილომეტრი გერმანული მიწა, რაც იმ ტერიტორიის მეოთხედი იყო, რომელსაც 1937 წელს ფაშისტური გერმანია ფლობდა.

ბუნებრივად დაისმის კითხვა — **რომ არა სტალინი და საბჭოთა კავშირი, პოლონეთი ასეთ საოცნებო საჩუქარს მიიღებდა? ცხადია, ვერ მიიღებდა! ეს საჩუქარი ფულით ვერ აიწონება, მაგრამ დასავლეთ გერმანელმა მეცნიერებმა ძალიან საინტერესო კვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ 1945 წლიდან დღემდე, იმ გერმანული მიწებიდან, რომელიც სტალინმა პოლონეთს მიუერთა, პოლონელებს, მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულის სახით, დაახლოებით 130 მილიარდი ამერიკული დოლარის მოგება აქვთ ნანახი!**

1938 წლის 30 სექტემბერს, როცა მიუნხენის სამარცხვინო შეთანხმებას ხელი ეწერებოდა, პოლონელებმა ისარგებლეს ჩეხების უმძიმესი მდგომარეობით, ფაქტობრივად, გერმანელებთან ერთად შეიჭრნენ ჩეხეთში და დაიკავეს ტეშინის ოლქი, რომელიც პოლონეთსა და ჩეხეთს შორის დავის საგანი იყო! უფრო მეტიც, **1944 წელს, როცა**



სტალინის სახლ-მუზეუმი გორში

**როგორც ელჩმა განაცხადა, სტალინის მუზეუმის დახურვის შეთავაზების გამო, საქართველოს საგარეო უწყება მისთვის, თურმე, ადგილის მიჩენას ცდილობდა...**

## მაშკევიჩი და მისთანა ღორები თუ სტალინის პოლიტიკას ასე ეწინააღმდეგებიან, მაშინ მის მიერ ნაჩუქარ გერმანულ მიწებს თავის ისტორიულ პატრონს რატომ არ უბრუნებენ?




## გორში სტალინის სახლ-მუზეუმის დახურვაზე ბოღვას, მაშკევიჩს ურჩევნია იმ თვითმფრინავზე ილაპარაკოს, რომელშიც პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი და მთელი მისი გუნდი ამოწყვიტეს!

**ჰიტლერის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, პოლონეთის დევნილი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი სტანისლავ მიკოლაიჩიკი ჩამოვიდა მოსკოვში და სტალინს გაუბედა — იქნებ ლვოვიც მოგვცეთო!** სტალინმა მიკოლაიჩიკს ლვოვის გადაცემაზე კატეგორიული უარი განუცხადა — ჩვენ უკრაინის მიწებით არ ვვაჭრობთო!

მოგეხსენებათ, დღევანდელი პოლონეთ-უკრაინისა და პოლონეთ-ბელორუსის საზღვრები, ძირითადად, კერზონის ხაზს მიუყვება, რომელიც 1920 წელს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლორდმა კერზონმა** წარმოადგინა. პოტსდამის კონფერენციის დასრულების შემდეგ, 1945 წლის 16 აგვისტოს, საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის საბოლოოდ გაფორმდა სასაზღვრო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც უკრაინას გადაეცა **ლვოვი, ივანო-ფრანკოვსკი, ტერნოპოლი, ვოლინისა და როვნოს ოლქები.**

გასაგებია, რომ პოლონეთს ეჯავრება **სტალინი,** რადგან მან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსის მიწები საბჭოთა კავშირს მიუერთა, ხოლო ვილნიუსი ლიეტუვას მისცა, მაგრამ, სამაგიეროდ, პოლონეთმა ხომ გერმანიის მეოთხედი მიითვალა? მაშკევიჩი და მისთანა ღორები თუ სტალინის პოლიტიკას ასე ეწინააღმდეგებიან, მაშინ მის მიერ ნაჩუქარ გერმანულ მიწებს თავის ისტორიულ პატრონს რატომ არ უბრუნებენ და გერმანულ **დანციგს გდანსკს** რა პირით უწოდებენ?

მოკლედ, პოლონელებმა სუფთა გერმანული ტოპონიმები ისე გააპოლონურეს, როგორც სომხებმა და თურქებმა ჯავახეთისა და ტაო-კლარჯეთის უძველესი ქართული სოფლები და ქალაქები.

**გორში სტალინის სახლ-მუზეუმის დახურვაზე ბოღვას, მაშკევიჩს ურჩევნია იმ თვითმფრინავზე ილაპარაკოს, რომელშიც პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი და მთელი მისი გუნდი ამოწყვიტეს!**

ცხადია, მაშკევიჩები და მიშკევიჩები რუსეთს ამაზე ლაპარაკს ვერ გაუბედავენ, რადგან პოლონელებმა რუსის ხიშტის „გემო“ იციან!

***დიტო ჩუბინიძე***

**რა უთქვამს, რა მოუჩმახავს?! ★**

# სანამ ხატზე გამოსახავდნენ...


№1013 256
Его Высокопреподобію,
Ректору Тифлисской
духовной Семинаріи,
Отцу Серафиму
233/924
кончившаго курсъ
въ Горійскомъ духов-
номъ училищѣ
нижайшее прошеніе.
Желая продолжать образованіе,
осмѣливаюсь просить Васъ, Ваше
Высокопреподобіе, допустить меня
къ повѣрочному испытанію. Къ сему
осмѣливаюсь добавить, что, Правле-
ніемъ Горійскаго духовнаго училища,
я рекомендованъ къ поступленію въ
первый классъ духовной Семинаріи.
Іосифъ Джугашвили




64
Его Высокопреподобію
Ректору Тифлисской Право-
славной Духовной Семинаріи О. Архимандриту
Серафиму
ученика II-го класса
Тифл. Семинаріи
Іосифа Джугашвили
прошеніе
Вашему Высокопреподобію известно
въ какомъ бѣдственномъ положеніи находит-
ся мать моя, на попеченіи коей я нахожусь.
(Отецъ мой, уже три года не оказываетъ мнѣ
отцовскаго попеченія, въ наказаніе того, что я,
не по его желанію продолжилъ образованіе)
Изъ прошенія моего, поданнаго Вамъ въ прошломъ
году, на что было обращено Ваше вниманіе,
и былъ принятъ на полуказенное содержаніе


1895 го года 28 го Августа
Проситель: Іосифъ Джугашвили

თქვენ წინაშეა **სტალინის** მიერ 1894 წელს დაწერილი განცხადება, რომელშიც იგი თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის რექტორს, **მამა სერაფიმეს** სასწავლებელში ჩარიცხვას სთხოვს. აქვეა **იოსებ ჯუღაშვილის** მიერ მოგვიანებით დაწერილი კიდევ ერთი განცხადება **არქიმანდრიტ სერაფიმეს** სახელზე, რათა ხელმოკლეობის გამო ნახევრად სახაზინო კმაყოფაზე გადაიყვანონ. **მას შემდეგ საუკუნე და 30 წელი გავიდა!**

**ისტორია საკუთარი ხელით ★**

## სტალინსა და მის ოპონენტებს შორის ძირითადი საკამათო, როგორც ცნობილია, ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხი იყო. სტალინი თვლიდა, რომ ეს შესაძლებელი და აუცილებელია, ხოლო მისი მოწინააღმდეგეები ასეთ შესაძლებლობას უარყოფდნენ და ამაოდ ელოდნენ მსოფლიო რევოლუციას. საბოლოოდ სტალინი მართალი აღმოჩნდა, მან ასეთი სოციალიზმი ააშენა. საინტერესოა, იყო თუ არა სტალინი ამ ფორმულის ავტორი, თუ ის მანამდე გამოთქვეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა?

**მარქსიზმის კლასიკოსთა** — თავად **მარქსის** ან **ენგელსის** ნაშრომებში მსგავსს ვერაფერს იპოვით. ამ მოძღვრების ფუძემდებლური დოქტრინა გახლდათ სოციალური რევოლუციის ერთბაშად რამდენიმე ქვეყანაში მოხდენა, თანაც აქცენტი ევროპის განვითარებულ ქვეყნებზე კეთდებოდა, როგორიც გერმანია და ინგლისი იყო. ამის შემდეგ კი უნდა განვითარებულიყო უწყვეტი რევოლუციური პროცესი და მომხდარიყო მისი მსოფლიო რევოლუციაში გადაზრდა. მხოლოდ ასეთ პირობებში იყო შესაძლებელი, **მარქსისა** და **ენგელსის** თანახმად, **სოციალიზმის აშენება.** ამავე იდეას უჭერდა მხარს **ლენინი.** მაგალითად, პირველი კითხვა, რომელიც მან სსრკ-ში მყოფ **მწერალ ჰერბერტ უელსს** დაუსვა, იყო: **„როდის მოხდება სოციალური რევოლუცია ინგლისში?“** შეკითხვამ ინგლისელი ფანტასტი ფრიად გააოცა, როგორც ის თავის წიგნში **„რუსეთი უკუნეთში“** აღნიშნავს. მოცემულ შემთხვევაში საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი კიდევ უფრო დიდი ფანტასტი აღმოჩნდა. ტყუილად როდი უწოდებდა მწერალი მას **„კრემლის მეოცნებეს“.**

უკანასკნელ ცნობიერ წუთამდე (ცნობილია, რომ სიცოცხლის ბოლო თვეებში ლენინი პროსტრაციაში იმყოფებოდა) ის მსოფლიო რევოლუციას ელოდა, რომელიც, მისი პროგნოზით, **გერმანიაში** უნდა დაწყებულიყო. თანაც საგულისხმოა, რომ **გერმანიის რევოლუციას ის გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე რუსეთში მომხდარს.** და არამხოლოდ პასიურად ელოდა, არამედ აქტიურად ცდილობდა ამ მოვლენის მოახლოებას. ე. წ. **ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა,** რომელმაც მხოლოდ ერთი თვე იარსება და **ჰამბურგის შეიარაღებული აჯანყება,** რომელიც სამთავრობო ჯარებმა ჩაახშეს, ამისი ნათელი მაგალითებია. მსოფლიო ხანძრის გაჩაღებას სხვა ქვეყნებშიც ცდილობდნენ — **„თეთრპოლონელებთან“** ომი, **უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა** (ასევე მკვდრადშობილი) და სხვა.

მაგრამ მთელი მოლოდინი ფუჭი აღმოჩნდა და **„რევოლუციის ექსპორტმა“** არ გაამართლა. სიტუაცია შეიცვალა. **მსოფლიო რევოლუციის ლოდინი უაზრო გახდა. სტალინი** ამას მიხვდა. მისი ოპონენტები კი ან ვერ მიხვდნენ, ან გადაწყვიტეს, **მარქსისტული დოგმატი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ ძალაუფლებისათვის ულმობელ ბრძოლაში სტალინის წინააღმდეგ გამოეყენებინათ.** სინამდვილეში ეს კაპიტულანტობას, კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე პოზიციების დათმობას ნიშნავდა აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, ანუ სახელმწიფოთა ექსპანსიით და ქვეყნის მათ კოლონიურ დანამატად ქცევით. ჩვენ ვიცით, რომ ამ ახალ პირობებში **სტალინმა** შეძლო საკუთარი ხაზის დაცვა და არა მხოლოდ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობაზე თეზისის წამოყენება, არამედ მისი რეალურად აშენება.




ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ფორმულის ავტორი **სტალინი** არ ყოფილა. ჯერ კიდევ **1879** (მისი დაბადების) **წელს** ბერლინში გამოქვეყნდა გერმანელი სოციალისტის ფოლმარის ბროშურა **„იზოლირებული სოციალისტური სახელმწიფო“.** ავტორმა ის **1871 წელს პარიზის კომუნის დაცემის** შემდეგ დაწერა. ეს **ინგლისის და საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის ყველაზე ღრმა დაკნინების პერიოდი იყო,** ხოლო **გერმანიაში, პირიქით, ეს მოძრაობა საკმაოდ წარმატებით ვითარდებოდა და აღმასვლის ეტაპზე იმყოფებოდა.** აქედან გამომდინარე, ბროშურის ავტორი თვლიდა, რომ მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლება და ასაბუთებდა **გერმანიაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას.** ძნელი სათქმელია, იცნობდა თუ არა ამ ნაშრომს **სტალინი. ფოლმარის** წიგნი რუსულად არ უთარგმნიათ, ის მცირე ტირაჟით დაიბეჭდა და ხელმეორედ, როგორც ვიცით, არ გამოცემულა. თავად **ფოლმარი** სხვა არცერთი ნამუშევრით ცნობილი არ არის. მაგრამ **სტალინმა** გერმანული ენა იცოდა და შესაძლებელია, პრაქტიკულად უცნობი გერმანელი სოციალისტის ნაშრომი თვალში მოხვედროდა.

თუმცა, არც სხვა ვარიანტია გამორიცხული. **კაპიტალისტურ გარემოცვაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ აზრი, არსებული ვითარების გავლენით, მას დამოუკიდებლად დაებადა. და რაც მთავარია, ეს იდეა რეალურადაც განახორციელა.**

## ცნობილია, რომ სტალინი, მიუხედავად დაუმთავრებელი განათლებისა, ყოველმხრივ განათლებული ადამიანი იყო, არანაკლებ (თუ მეტად არა), ვიდრე ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი და სხვა ბოლშევიკი ბელადები, რომლებმაც უნივერსიტეტის კურსი დაამთავრეს და საზღვარგარეთ სწავლობდნენ. გვიამბეთ, როგორ ახერხებდა სტალინი თვითგანათლების მუდმივად სრულყოფას უზარმაზარი სამუშაოს და მტრებთან გამუდმებული ბრძოლის მიუხედავად?

ამ შეკითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არსებობს — **წიგნების კითხვა. სტალინი** ყოველ თავისუფალ წუთს კითხვას უთმობდა, ეცნობოდა **მსოფლიო ლიტერატურის, ფილოსოფიის, ისტორიის საუნჯეს,** ხშირად დღეღამეში სულ სამი საათი ეძინა. შეიძლება ითქვას, რომ მისი ყურადღების მიღმა ცოდნის არცერთი სფეროს არცერთი სიახლე რჩებოდა. თვითმხილველთა მოწმობით, ბელადი დღე-ღამეში ნიადაგ 300-500 გვერდს კითხულობდა. ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ხოლო თუ **სტალინის** მართლაც უნიკალურ მეხსიერებას გავითვალისწინებთ, ყველაფერი წაკითხული მისი ცოდნის, მისი ყოველმხრივი განათლების საძირკველს ქმნიდა. ნათქვამს დავამატებთ, რომ ბელადის პირადი ბიბლიოთეკა 5 ათასზე მეტი ტომისაგან შედგებოდა. ამჟამად ეს სიმდიდრე (ბევრ წიგნში მისივე ხელით შენიშვნებია შეტანილი) ნაწილობრივ დატაცებულია, ნაწილი კი მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკის საცავებში იმტვერება.

**სტალინი**-მკითხველის ფართო დიაპაზონზე თვალნათლივ მიუთითებს ქვემოთ მოყვანილი ციტატა **პროფესორ ბ. ილიზაროვის** წიგნიდან, რომელმაც გამოწვლილვით შეისწავლა ეს საკითხი: **„მრავალრიცხოვანი ლექსიკონებისა და გეოგრაფიის რამდენიმე კურსის გარდა, იმ ლიტერატურის სიაში, რომლითაც სტალინი მუდმივად სარგებლობდა, აღსანიშნავია როგორც ძველი, ისე თანამედროვე ისტორიკოსების — ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, ილოვაისკის და სხვათა ნაშრომები და, რაც მთავარია, კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ 12 ტომი, სოლოვიოვის 6-ტომეული „რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან“ (1894 წლის გამოცემა), „ბუნებისმეტყველების ისტორიის ნარკვევები (1897 წელი), „რუსეთის არმიისა და ფლოტის ისტორია“ (1912 წელი), „თავადი ბისმარკის მემუარები“ (1899 წელი), „საზღვარგარეთული ლიტერატურის მოამბის“ კომპლექტი 1890 წლიდან, ჟურნალები „ლიტერატურული ჩანაწერები“, „მეცნიერული მიმოხილვა“, „საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“ — თითქმის ყველა გამოცემა, როგორც ლეგალური, ისე არალეგალური მარქსისტების ნაშრომთა რევოლუციამდელი გამოცემები, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის წიგნები, ნაშრომები მეტალურგიაზე, კაპიტალურ მშენებლობაზე, ავიაციაზე, სოფლის მეურნეობაზე და ა. შ., რომ აღარაფერი ვთქვათ კლასიკურ და თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაზე. ეს ჩამონათვალი არასრულია, რადგან სრულს ჩემი წიგნის ყველა გვერდი დასჭირდებოდა.“**




ი. სტალინის ინტერესთა სფეროს გაანალიზების შემდეგ ბ. ილიზაროვი ასკვნის: **„შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ სტალინი მე-20 საუკუნის ყველაზე განათლებული ადამიანი იყო.“**

## ჩვენს დღეებში ამერიკულმა დოლარმა, ფაქტობრივად, ყველა და ყველაფერი დაიპყრო. მსოფლიოს ყველა ვალუტა პირდაპირ არის მასზე დამოკიდებული. სტალინის დროს როგორ იყო საქმე?

სრულიად სხვაგვარად. **1947 წლის** ფულის რეფორმის და სასურსათო თუ სამრეწველო საქონელზე ფასების ზედიზედ შემცირების შემდეგ, ომით თითქმის განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენის საფუძველზე, სსრკ მთავრობა (იგულისხმეთ — სტალინი) 1950 წლის 1 მარტს გადაწყვეტილებას იღებს, **„გაზარდოს მანეთის ოფიციალური კურსი, ხოლო კურსის ათვლა აწარმოოს არა დოლარის ბაზაზე, როგორც ეს 1937 წლის ივლისში დადგინდა, არამედ უფრო მყარ, ოქროს საფუძველზე, მანეთში ოქროს შემცველობის შესაბამისად.“** ამავე დადგენილებით განისაზღვრა **„მანეთში ოქროს შემცველობა 0,222 168 გრამი სუფთა ოქროთი“,** ოქროზე სახელმწიფო ბანკის შესასყიდ ფასად დადგინდა **4 მან. 45 კაპ. 1 გრამ სუფთა ოქროზე.** უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში კურსი შემდეგნაირად განისაზღვრა — **4 მანეთი 1 ამერიკულ დოლარზე, 11 მან. 20 კაპ. 1 გირვანქა სტერლინგზე (მანამდე, შესაბამისად, 5 მან. 30 კაპ. და 14 მან. 64 კაპ. იყო). სტალინის** გარდაცვალების შემდეგ **ხრუშჩოვისა** და მისი ბანდის მცდელობით ეს **„ბალანსი“** დაირღვა, რამაც, საბოლოოდ, დოლარის ექსპანსიამდე მიგვიყვანა.



გენერალისიმუსი
2023 წლის 15 იანვარი. №3-4 (239-240)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.



## პეტრე მამრაძე:

# სრული ტყუილია, რომ ოლიგარქი ივანიშვილი მართავდა ქვეყანას!



*— ბიძინა ივანიშვილისაგან ამ ნაბიჯს ველოდი!* — ***აცხადებს პოლიტოლოგი, მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსი და ყოფილი პარლამენტარი პეტრე მამრაძე და 2024 წლის პოლიტიკურ პერსპექტივებზე გვესაუბრება:***

— ბიძინა ივანიშვილმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, დარწმუნებული ვარ, მისი ეს ნაბიჯი ქვეყანას წაადგება!

**— ის სწორედ მაშინ დაბრუნდა პოლიტიკაში, როდესაც ევროკავშირი საქართველოს დეოლიგარქიზაციას ითხოვს!**

— ევროპის მოთხოვნები სრულიად უსამართლო იყო, საქართველოში ოლიგარქიული მმართველობა არ არის და ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. დასავლეთში სააკაშვილის ლობისტებს ნაცები და მათთან ასოცირებული პოლიტიკანები აწვდიდნენ დეზინფორმაციას. სრული ტყუილია ისიც, რომ ოლიგარქი ივანიშვილი მართავდა ქვეყანას. ის ოლიგარქი არ არის, განსხვავებით **დავით ქეზერაშვილისგან,** რომელსაც თავისი ტელევიზია აქვს და ღიად აფინანსებს პარტიას.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს, სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი სათანადოდ არ ეცნობა, არადა, სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, გულწრფელად საუბრობს და შესაბამისად მოქმედებს კიდეც. ახლაც, ფაქტობრივად, ყველაფერი თქვა — რატომ იყო აუცილებელი მისი დაბრუნება.

**— თქვენ რას ფიქრობთ, რატომ დაბრუნდა?**

— „ოცნების“ წარმომადგენლებმა არაერთხელ აღნიშნეს საჯაროდ, აღარ არსებობს ოპოზიცია, გაცამტვერდა, ჩვენი გამარჯვება გარდაუვალიაო. ეს არის უაღრესად სახიფათო განცხადება ნებისმიერი მმართველი გუნდისთვის. როგორც კი განწყობა ჩნდება — ჩვენ უკვე გამარჯვებულები ვართ, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი ხელისუფლება დუნდება, აღარ არის ძველებური შემართებით და იწყება პარტიის შიგნით ურთიერთდაპირისპირება.

მართალია, ოპოზიცია, როგორც პოლიტიკური ძალა, განადგურებულია, მაგრამ, როგორც დანაშაულებრივ ორგანიზაციას, აქვს სერიოზული ფული, ტელევიზიები, რომლებიც საქართველოს ფარავენ და დღე და ღამე მუშაობენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროვოკაციების მოწყობაში ნამდვილი პროფესიონალები არიან. თუ ხელისუფლება მობილიზებული არ იქნება, მათ ქვეყნისათვის დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ.

ბიძინა ივანიშვილმა ეს ყველაფერი გულწრფელად თქვა. მან არ იცის შენიღბული ფრაზები, ღიად ლაპარაკობს ყველაფერზე.

**— გამოდის, ბიძინა ივანიშვილი „ოცნების“ გადასარჩენად დაბრუნდა?**

— „ოცნება“ ისედაც გაიმარჯვებს არჩევნებზე, აქ ქვეყნის უსაფრთხოებასა და წინსვლაზეა საუბარი! არის ერთი გარემოებაც — მოდუნებულმა „ოცნებამ“ შეიძლება, სერიოზული შეცდომები დაუშვას და ქვეყანა დაზარალდეს, ამიტომაც ბიძინა ივანიშვილის აქტიურ პოლიტიკაში შემოსვლა დროული და მეტად აუცილებელი იყო! კიდევ ერთხელ ვამბობ, **ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში დაბრუნების გადაწყვეტილებას ვუწონებ!**

გარდა ამისა, ახლა უკვე ივანიშვილის პოზიციას მოისმენს არა 2-3 კაცი, არამედ მთელი საქართველო როგორ იქცეოდაო. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, **ბიძინა ივანიშვილი ძალიან დიდი ქველმოქმედია, იმაზე დიდი, ვიდრე ზუბალაშვილები, სარაჯიშვილი, ხოშტარია და სხვები.** მათი ყველას გაკეთებული ერთად რომ შევკრიბოთ, ივანიშვილმა იმაზე მეტი გააკეთა ამ ქვეყნისთვის!

**— თქვენ ამას ამბობთ იმ ადამიანზე, რომელზეც ოპოზიცია 24 საათის განმავლობაში ამტკიცებს, რომ პუტინის კაცია?!**

— სწორედ მსგავსი სიცრუის ტირაჟირებით გაინადგურა პარტიული აქტივი, ეს ამ ეტაპზე პარტიაში ახალ და სწორ განწყობას მოიტანს.

## „ბიძინა ივანიშვილი იმაზე დიდი ქველმოქმედია, ვიდრე ზუბალაშვილები, სარაჯიშვილი, ხოშტარია და სხვები!“

მოგეხსენებათ, საქართველოში პარტიებს როგორ ქმნიან — პირადი და ჯგუფური ინტერესებისთვის. ამ მიზნით შექმნა სააკაშვილმა, ჟვანიამ, ბურჯანაძემ და სხვებმა პარტიები. ხაზარაძეჯაფარიძესაც პირადი ინტერესები ამოძრავებდათ, თავიანთი ბიზნესის დაცვა — პოლიტიკოსები ვართ და ჩვენი დევნა არ შეიძლებაო. ახლა გაიხსენეთ „ქართული ოცნების“ შექმნის ისტორია.

**— განსხვავებული მიზეზი ჰქონდათ?**

— ბიძინა ივანიშვილის ხასიათში არ ზის პოლიტიკოსობა. პარტიის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო იმიტომ, რომ ქვეყანას სჭირდებოდა. არაერთხელ თქვა — ინფორმაციას ინფორმაციაზე ვიღებდი და ვხედავდი, ოპოზიციამ თავი. როდესაც ივანიშვილზე ამბობენ პუტინის კაციაო, არაპოლიტიზებული ადამიანი იქვე სვამს შეკითხვას — **კი მაგრამ, ვარდების რევოლუციის შემდეგ, წლების განმავლობაში რეფორმებს რომ აფინანსებდა, მაშინ არ იყო რუსეთის კაცი? ის ყველაფერი რუსული ფულით კეთდებოდა?**

როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ისევ მთავრობის კანცელარიის უფროსი გახლდით და თვეში 1000 დოლარი მქონდა ხელფასი. თავიდან მეგონა, სოროსის ფონდი აფინანსებდა ასეთ მაღალ ხელფასებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფრის უკან ბიძინა ივანიშვილი იდგა. რუსი ჩეკისტების გოშიები აცხადებენ, რომ ივანიშვილი პუტინის კაცია, სინამდვილეში თავად აკეთებენ რუსულ საქმეს. ხელში მაინც არ მჭეროდა საბუთები და საკუთარი თვალით არ მენახა რუსეთის ე.წ. აგენტები.

**— არ იტყვით მათ სახელებს?**

— ვერ ვიტყვი. მე რომ ისინი დავასახელო და იმ ადამიანებმა მიჩივლონ, ცილისწამება არისო, მე ხომ ხელში დოკუმენტები არ მიჭირავს და ვერ დავამტკიცებ სიმართლეს. თავის დროზე **ავთო იოსელიანი** შემოვიდა ჩემთან ოთახში კარტოთეკებით და მითხრა, ბაბუმ თქვა, ეს ყველაფერი ნახოსო. ისეთი გვარები ამოვიკითხე, თვალებს არ დავუჯერე. სამწუხაროდ, ავთომ წამაკითხა და წაიღო. ახლა ამ ადამიანებს და მათ სულიერ შვილიკოებს რომ ვუყურებ, მეცინება. დღეს სად არის ეს დოკუმენტები ნამდვილად არ ვიცი. თუმცა, არიან აგენტები, რომლის დასახელებასაც დოკუმენტები აღარ სჭირდება.

რუსული პრესა მრავალი წლის განმავლობაში მოიხსენიებდა **თემურ ალასანიას,** როგორც „კაგებეს“ გენერალს. ყველასთვის ცნობილია, რომ ის სწორედ რუსული კვოტით დაინიშნა გაეროში მაღალ თანამდებობაზე. თავის მხრივ, თემურ ალასანია რუსეთში მიცემულ ინტერვიუებში ნიშნის მოგებით და ამაყად ამბობდა — **მიხეილ სააკაშვილი — ჩემი დისშვილი არასოდეს არცერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ჩემ გარეშე არ იღებსო.** სწორედ ამ ადამიანების მეშვეობით დაიწყო 2008 წლის აგვისტოში ომი. მაშინდელი თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე **ბათუ ქუთელია** აგვისტოს ომიდან ერთი კვირის თავზე საფრანგეთის ერთ-ერთი წამყვანი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში პირდაპირ ამბობდა — **ჩვენ მოვილაპარაკეთ რუსეთთან, რომ ცხინვალის რეგიონში შევიყვანდით ჯარს და კონსტიტუციურ წესრიგს დავამყარებდით, რუსეთი ამას დათანხმდა, ამიტომ ოპერაციის დაწყების შემდეგ მისი მხრიდან ასეთ საქციელს არ ველოდითო.** რაღა შორს მივდივართ, ხოშტარიების ოჯახმა სულ ახლახან მიიღო პუტინის ადმინისტრაციიდან ფული და გაიძახიან, ნათესავის ჰონორარებიაო. **ეს ადამიანები ამბობენ ბიძინა ივანიშვილზე რუსეთის კაციაო?!**

**— გაქვთ თუ არა რაიმე პრეტენზიები „ოცნებასთან“?**

— მე პრეტენზიები მაქვს „ოცნებასთან“ სამართლიანობის აღდგენის კუთხით. ძალიან რთულია წლების წინათ ჩადენილი დანაშაულების გახსნა, მითუმეტეს, როდესაც ხშირად ბრძანებები სიტყვიერი იყო, მაგრამ აუცილებელია, კანონის უზენაესობის დაცვა, მათ შორის, სააკაშვილთან მიმართებაში! თუ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობისთვის არ არის აუცილებელი კლინიკაში ყოფნა, სადაც 12 ექიმი ევლება თავს და სახელმწიფოს მისი შენახვა სერიოზული თანხა უჯდება, ციხეში უნდა გადაიყვანონ! **თუ ევროპაში ბოლო 15 წელიწადში, სულ ცოტა, ათი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი გაასამართლეს, საქართველო გამონაკლისია? პრეზიდენტობა ადამიანს დანაშაულისგან იცავს?!** ეს უნდა იყოს პრეცედენტი იმისა, რომ ყველა დამნაშავე სათანადოდ დაისჯება!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



ავთანდილ იოსელიანი

## „თავის დროზე ავთო იოსელიანი შემოვიდა ჩემთან ოთახში კარტოთეკებით და მითხრა, ბაბუმ თქვა, ეს ყველაფერი ნახოსო.

## ისეთი გვარები ამოვიკითხე, თვალებს არ დავუჯერე. სამწუხაროდ, ავთომ წამაკითხა და წაიღო. ახლა ამ ადამიანებს და მათ სულიერ შვილიკოებს რომ ვუყურებ, მეცინება!“






**„ეს ყველაფერი გააკეთა შევარდნაძემ – სპექტაკლი დადგა, რათა ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნება დაებრალებინა და ხალხში ავტორიტეტი მოეხვეჭა!“**

## *იგორ კვესელავა:*

# 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დასაცავად არავითარი ქართველი ერი არ გამოსულა, ეს ყველაფერი შევარდნაძისა და საბჭოთა „კაგებეს“ მიერ დადგმული სპექტაკლი იყო!

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №11–54, 2024 წლის №1–2, 3*

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა ედუარდ შევარდნაძის ცხოვრებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის არაერთ შავბნელ ფაქტს ხდის ფარდას და აცხადებს, რომ შევარდნაძის კარიერულ აღმასვლაში დიდი როლი ითამაშა 1956 წლის 9 მარტს თბილისში დატრიალებულმა ცოდვის კალომ, როცა ასეულობით მშვიდობიანი მომიტინგე დახვრიტეს და ტანკებით გადაუარეს:***

— **ედუარდ შევარდნაძის** პოლიტიკური კარიერა დიდად განსაზღვრა 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ, რის შემდეგაც კრემლში გადაწყდა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მოეყვანათ სამშობლოს მოძულე, შუბლის ძარღვგაწყვეტილი და ანტიეროვნული კადრები. **ვასილ მჟავანაძისა და ალექსი ინაურის** შერჩევისას **ნიკიტა ხრუშჩოვი** მწარედ მოტყუვდა და ორი საბჭოთა გენერლის ნაცვლად სინამდვილეში საქართველოში გამოგზავნა **ორი პატრიოტი,** მაგრამ შევარდნაძის შერჩევისას კრემლში არ შემცდარან. ის გახლდათ პირწავარდნილი კარიერისტი, რომელიც თანამდებობის გულისთვის ყველას და ყველაფერს გაწირავდა!

**— 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ შევარდნაძის პოლიტიკურ აღმასვლას როგორ შეუწყო ხელი?**

— საქმე ის გახლავთ, რომ შევარდნაძე ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი სწორედ 1956 წელს გახდა. მაშინ საქართველოს კომკავშირის ცეკას მდივანი, თუ არ ვცდები, ფილოსოფოსი **ბელა ბანძელაძე** იყო და მოგვიანებით პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორიც გახდა.

უშიშროების ორგანოებს შევარდნაძის პერსონა კარგად ჰყავდათ შესწავლილი და იცოდნენ, რომ სკამისა და თანამდებობის გულისთვის იგი საქართველოს ინტერესებს ნებისმიერ მომენტში გაყიდდა. იქიდან გამომდინარე, რომ 1956 წლის 9 მარტს თბილისში ახალგაზრდების მცირე ჯგუფმა საქართველოს დამოუკიდებლობაც კი მოითხოვა, **კრემლში ხელი შეუწყვეს შევარდნაძის მსგავსი ანტიეროვნული პიროვნებების წინ წაწევას.** შევარდნაძემ რუსული არ იცოდა, მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქციეს და ქუთაისის კომკავშირის ქალაქკომის პირველ მდივნად გაამწესეს. სხვათაშორის, რუსული არც სოფელ ველისციხეში დაბადებულმა **ივანე ხოხლოვმა** იცოდა, რომელმაც ნიკიტა ხრუშჩოვი გააგიჟა. ხოხლოვს მჟავანაძის დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ნიშნავდნენ და როცა გასაუბრებაზე კრემლში გაგზავნეს, რუსულად ვერაფერი უპასუხა და მხოლოდ ქართველი თარჯიმნის დახმარებით ილაპარაკა. **ივანე ხოხლოვი** 1961 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქსოფტექნიკის“ თავმჯდომარედ დანიშნეს და 1972 წლამდე, ვიდრე შევარდნაძემ არ მოიშორა, საქართველოააყვავა. ეს იყო ეროვნებით რუსი, მაგრამ სულითა და გულით ქართველი, საქართველოს უდიდესი პატრიოტი, რომელიც ყველას უყვარდა. მოკლედ, **რუსული არც რუსმა ივანე ხოხლოვმა იცოდა და არც ქართველმა ედუარდ შევარდნაძემ, მაგრამ ხოხლოვი მოკვდა ქართველად, ხოლო შევარდნაძე — საქართველოს მტრად!** კარიერულ აღმასვლაში შევარდნაძეს ძალიან ეხმარებოდა მოსკოვში, კომკავშირის საკავშირო ცეკაში ერთ-ერთი განყოფილების გამგე, გვარად **პერტენავა,** რომელმაც ედუარდს არაერთი გავლენიანი პირი გააცნო!

**— შევარდნაძე მეგრელებს დაუუენებიათ გზაზე და სამეგრელო იმიტომაც ააოხრებინა თავის „ოპრიჩნიკებს“ ხუთგზის?**

— შევარდნაძეს მეგრელები სძულდა და ეს გამომდინარეობდა ლავრენტი ბერიას ფაქტორიდან. მოგეხსენებათ, 1937 წელს მამამისი — **ამბროსი** გააფრთხილეს, რომ დაჭერას უპირებდნენ და ურჩიეს, სასწრაფოდ დამალულიყო. **ამბროსი შევარდნაძე** ერთი წელი მართლაც იმყოფებოდა მიმალვაში და მთელი ამ ხნის განმავლობაში მარტო დარჩენილი ედუარდი მძიმე ფიზიკურ შრომას ეწეოდა თავის გადასარჩენად. სწორედ მაშინ დაიზიანა მან ცელით ქუსლი, რაც სიარულის დროს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეტყობოდა. მოკლედ, მამის ერთწლიანი გაუჩინარებისა და მიმალვის გამო ედუარდს ბერია სძულდა, რაც მეგრელების სიძულვილში გადაეზარდა. საქართველოს კომპარტიის ცეკაში ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობდა აწ განსვენებული **ბოგოხია,** რომელმაც პირდაპირ მითხრა, რომ შევარდნაძეს საშინლად არ უყვარდა მეგრელები. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: **ფილმი „მონანიება“ შევარდნაძემ თენგიზ აბულაძეს იმიტომ გადააღებინა, რომ ლავრენტი ბერიასთვის და სამეგრელოსთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა. ამ ფილმით საქართველო წარმოჩნდა, როგორც ველურების ქვეყანა, სადაც მიცვალებულებს თხრიან და მიწაში არ ასვენებენ.** როგორც კი „მონანიება“ საბჭოთა ეკრანებზე გამოვიდა, რუსეთში სტალინისა და ბერიას ლანძღვა-გინებამ ახალი ძალით იფეთქა და დაიწყეს ტროცკის, კამენევის, რიკოვის, ტუხაჩევსკისა და სხვა მოღალატეების გამართლება-რეაბილიტაცია.

**— შევარდნაძესა და გამსახურდია-კოსტავას შორის დაპირისპირება როდის დაიწყო?**

— უფრო ადრეც და განსაკუთრებით 1972 წლის 29 სექტემბრიდან მოყოლებული, რაც საქართველოს ცეკას პირველი მდივანი გახდა, შევარდნაძე **ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას** მტრად მოეკიდა. ამ მტრობის მიზეზი ერთადერთი რამ იყო — **შევარდნაძემ კარგად დაინახა, რომ ეს ორი კაცი კრემლისკენ მიმავალ გზაზე წინ ეღობებოდა!** აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო მათი მოშორება... შევარდნაძემ ყველა და ყველაფერი იყიდა, მთელი ქართველი ინტელიგენცია, ე.წ. კინოსა და თეატრის ელიტა, მწერლები და პოეტები, უფრო მეტიც, **თამრიკო ჩხეიძის მსგავსი „ჯიბის დისიდენტები“ მონად გაიხადა,** მაგრამ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ვერაფერი მოუხერხა. განსაკუთრებით მერაბი იყო გაუტეხელი, დაუმორჩილებელი და პირდაპირი, რომელიც დიპლომატიას არ ცნობდა. აქედან გამომდინარე, შევარდნაძისთვის ზვიადი და მერაბი იმთავითვე წარმოადგენდნენ გადაულახავ ბარიერს, რომელიც აუცილებლად უნდა დაეძლია. მოკლედ, **შევარდნაძის მიზანი იყო, სტალინისა და ბერიას შემდეგ კრემლში მესამე ქართველად შესულიყო!**

**— ამას რით ასაბუთებთ?**

— ამას ადასტურებს ის პიროვნება, ვინც ედუარდს 1985 წლის ზაფხულში მამათში, მამის საფლავზე ახლდა. ეს ვიზიტი, ფაქტობრივად, ნახევრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში დაიგეგმა. შევარდნაძე ჯერ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნული არ იყო, მაგრამ თავისი პატრონებისგან უკვე იცოდა, რომ **პრეზიდენტმა რეიგანმა** მოითხოვა მისი დანიშვნა ამ პოსტზე, რასაც გორბაჩოვი დათანხმდა. სწორედ ასეთ ვითარებაში, 1985 წლის ივნისში, ედუარდი მამათში, მამის საფლავზე, ჩავიდა და **ამბროსი შევარდნაძეს** საფლავში ჩასძახა — **საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვხდები, სტალინისა და ბერიას შემდეგ კრემლში მე შევდივარ!**

**— ეს თქვენ საიდან იცით?**

— ეს მე ვიცი იმ კაცისგან, ვინც შევარდნაძეს იმ დღეს მამათში გაჰყვა და ამბროსი შევარდნაძის საფლავზე მასთან ერთად გავიდა!

**— მაინც ვინ არის ეს პიროვნება?**

— ამ პიროვნებას ვერ დავასახელებ, რადგან პირობა ჩამომართვა, რომ მისი ვინაობა ინკოგნიტოდ დამეტოვებინა. ისე, რასაც გეუბნებით, ზუსტია, რადგან, ვინც ეს ყველაფერი მიამბო, დაიფიცა — **იქ ვიყავი და გავიგონე, შევარდნაძე მამამისის საფლავთან იდგა და ასე და ასე ლაპარაკობდა!** მოკლედ, შევარდნაძე პოლიტიკური სპექტაკლების დადგმის დიდოსტატი გახლდათ...

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ თუნდაც **1978 წლის 14 აპრილს,** დედაენის დღეს, როცა თბილისში უამრავი ადამიანი გამოვიდა და კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაფიქსირება მოითხოვა. **ვიცი, ამას შესაძლოა, დიდი აჟიოტაჟი მოჰყვეს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას** — 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დასაცავად არავითარი ქართველი ერი არ გამოსულა, ეს ყველაფერი შევარდნაძისა და საბჭოთა „კაგებეს“ მიერ დადგმული სპექტაკლი იყო, როცა უნივერსიტეტიდან დიდი ოდენობით ხალხი რუსთაველის პროსპექტისკენ დაიძრა და მთავრობის სასახლის წინ უზარმაზარ მიტინგზე შევარდნაძემ განაცხადა, რომ **ლეონიდ ბრეჟნევმა,** თურმე, ქართველი ხალხის გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა და კონსტიტუციაში ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი შეუნარჩუნა!

**— რა გაძლევთ ამ სკანდალური განცხადების გაკეთების საფუძველს?**

— ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ მაშინ მე, როგორც ახალგაზრდა ლექტორი, უშუალოდ წარმოვადგენდი იმ ლექტორთა და ე.წ. არასაშტატო ინსტრუქტორთა ჯგუფს, რომელსაც ევალებოდა, მოსახლეობისთვის გაეცნო კონსტიტუციის პროექტი. ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ცნობილი დემოგრაფი, პროფესორი **ანზორ თოთაძე.** იმხანად მე სამეგრელოში გამგზავნეს, სადაც სკოლებში, კლუბებში თუ მუზეუმებში გვიწევდა შეხვედრები. მარტვილში, სენაკში, აბაშაში, ჩხოროწყუში არაერთი შეხვედრა გვქონდა და კაციშვილი ვერ გამოვა და ვერ მეტყვის, რომ კონსტიტუციაში ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის ჩამორთმევას აპროტესტებდა. სიმართლე უნდა ითქვას —



**„შევარდნაძე მამათში, მამის საფლავზე, ჩავიდა და ამბროსი შევარდნაძეს საფლავში ჩასძახა – საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვხდები, სტალინისა და ბერიას შემდეგ კრემლში მე შევდივარ!“**

საქართველოს მოსახლეობა შეშფოთებული იყო იმ ფაქტის, რომ ქართული ენა კონსტიტუციურად კარგავდა სახელმწიფო ენის სტატუსს. ასე იყო ყველგან — იმერეთშიც, კახეთშიც, ქართლშიც, აფხაზეთშიც... შეხვედრაზე 200 კაცი თუ მოვიდოდა, ცეკაში გასაგზავნ ცნობებში ვწერდით, რომ შეხვედრას 2 და 3 ათასი კაცი დაესწრო...

**— მაშ, რა მოხდა, ამდენი ხალხი ვინ დაძრა უნივერსიტეტიდან?**

— ეს ყველაფერი გააკეთა **შევარდნაძემ** — სპექტაკლი დადგა, რათა ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნება დაებრალებინა და ხალხში ავტორიტეტი მოეხვეჭა. შევარდნაძის მხარდამჭერები სწორედ ამას წერენ და ამტკიცებენ — **ხალხი ქუჩაში გამოიყვანა შევარდნაძემ და აიძულა კრემლი, რათა საქართველოსთვის სასურველი გადაწყვეტილება მიეღო!** ძალიან კარგად მახსოვს ის სხდომა, რომელიც მაშინდელ მთავრობის სასახლეში მიმდინარეობდა. პირდაპირ ეთერში ვუსმენდი ყველაფერს და ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ წრიალებდა დროს შევარდნაძე. როცა რუსთაველზე ხალხის კრიტიკული მასა შეიკრიბა, მან სწორედ მაშინ გამოაცხადა შესვენება, მერე კი გამოვიდა და ხალხს „ახარა“ — **ბრეჟნევმა შეისმინა ქართველი ხალხის ნება და კონსტიტუციაში ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი ექნებაო!** ეს რომ სპექტაკლი იყო, ადასტურებდა **ვახტანგ გოგუაძე** და თბილისის ერთ-ერთი რაიკომის მდივანი **ბელაშვილი.** გარდა ამისა, არსებობს საბჭოთა კავშირის „კაგებეს“ თავმჯდომარის მოადგილის, გენერალ **ფილიპ ბობკოვის** განცხადება — შევარდნაძეს არ უნდოდა, რომ ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონოდა! ფაქტია, რომ იგი ამ სპეცოპერაციასა და სპექტაკლს ჯერ კიდევ 1977 წლიდან ამზადებდა.

**— რას გულისხმობთ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ედუარდმა **1977 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდია** ჯერ მწერალთა კავშირიდან გაარიცხვინა, ხოლო შემდეგ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია დაიჭირა. ზვიადი კოჩუბეიში გაუშვეს გადასახლებაში, ხოლო მერაბი — შორეულ ციმბირში, კვიტოკში. სხვათაშორის, ბევრმა არ იცის, მაგრამ 1977 წლის 5 აპრილს ლიტერატურის ინსტიტუტშიც გაიმართა სხდომა და ერთადერთი **ლია ანდღულაძე** იყო, რომელმაც ზვიადის გარიცხვას მხარი არ დაუჭირა. მწერალთა კავშირში ასეთი კაცი აღმოჩნდა **ნოდარ წულეისკირი.** სხდომა ჩატარდა უნივერსიტეტშიც და სამივე ამ დაწესებულებაში გამართული შეკრების ოქმები გადაეგზავნა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილებას. ამ განყოფილების უფროსი გახლდათ **ანდრო მირიანაშვილი** — აწ განსვენებული **თემურ მირიანაშვილის მამა.** ანდრო მირიანაშვილი პენსიაზე რომ გაუშვეს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მისაღები გამოცდების დროს ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის კომისიის თავმჯდომარედ გაამწესეს. **ანდრო მირიანაშვილს** ამ სტატუსით სამედიცინო ინსტიტუტშიც იწვევდნენ, უნივერსიტეტშიც და ყველგან, მაგრამ, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში იყო. მოკლედ, შევარდნაძემ 1977 წელს ზვიადიც და მერაბიც დააპატიმრა და 1978 წლის 14 აპრილს გაითამაშა სპექტაკლი, როცა ზვიადისა და მერაბის გარეშე დარჩენილ ხალხს თავად მოევლინა ქართული ენის დამცველად და მხსნელად. ამისათვის შევარდნაძემ ბრეჟნევისგან მადლობა მიიღო.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***
***გაგრძელება იქნება***



# შევარდნაძის საიდუმლო




*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-2, 3*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

მას შემდეგ, რაც 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული მოვლენების კვალდაკვალ **ვასილ მჟავანაძის** ხელდასხმით, შევარდნაძე ქუთაისის კომკავშირის რაიკომიდან თბილისში რესპუბლიკის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად გადმოიყვანეს, მისი პოლიტიკური კარიერა უკვე საკავშირო მასშტაბით განივრცო.

როგორც თავის მემუარებში აღნიშნავს, **შევარდნაძემ** განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეგობრები „ყამირის გატეხისას“ შეიძინა, როცა ყაზახეთის სტეპებში ქართველ კომკავშირელთა რაზმით იყო წარგზავნილი:

***„მაშინ პირველად შევხვდი ადამიანებს, ვინც შემდეგ თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ სტრუქტურებში. ჩვენ თავს „ყამირის ადამიანებად“ ვგრძნობდით. „ძვირფასმა ნიკიტა სერგეევიჩმა“ კომუნიზმში ცხოვრება აღგვითქვა, პირველი საბჭოთა კოსმონავტები კოსმოსის ყამირს ითვისებდნენ, ბევრი რამ, რაც მემკვიდრეობით გვერგო, უნდა გადასინჯულიყო. ყოველ შემთხვევაში, მე დიდი ცვლილებების წინათგრძნობით ვცხოვრობდი და ამიტომ განსაკუთრებით გულდასმით ვაკვირდებოდი თანატოლ კოლეგებს“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 58).*

აი, სწორედ ასეთი, შევარდნაძისნაირი „ყამირის ადამიანი“ იყო სტავროპოლელი ახალგაზრდა კომუნისტი **მიხეილ გორბაჩოვი:**

***„ახალ ნაცნობებს შორის იყო მიხეილ გორბაჩოვიც, სტავროპოლის*** *(ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი მხარე)* ***კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ — სკკპ ცეკას პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი. ერთმანეთი ჯერ კიდევ მოსკოვში ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გავიცანით. მე მასთან ბევრი რამ მაახლოებდა.***

***ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს მოსკოვში, თბილისში, სტავროპოლში. ხშირი სატელეფონო ურთიერთობა გვქონდა და თანდათან, ჩვენთვის შეუმჩნევლად, ყველაზე იდუმალ ზრახვებს ვუმხელდით ერთმანეთს. მოკლედ, მაშინაც და მერეც ბევრი რამ გვქონდა საერთო“*** *(იქვე, გვ. 58).*

ანუ **შევარდნაძე** ახალგაზრდა **გორბაჩოვთან** ახლობლობას ალალად აღიარებს, როგორც ეპოქალურ-საკრალურ ალიანსს, რომელიც მომავალში დედამიწის ერთ მეექვსედზე ისეთ ისტორიულ ქარტეხილს დაატრიალებს, რომ მთელ მსოფლიოსაც ამოაყირავებს!

ის კი არა, მემუარისტი დეტალებსაც იხსენებს:

***„მახსენდება 1984 წლის ზაფხული: მყუდრო პარკი შავი ზღვის უკაცრიელ ნაპირზე, ბიჭვინთის კონცხის მიდამოებში. ჩვენ ორნი აუჩქარებლად მივუყვებით ხეივანს. ეს იყო „ტყეში გასეირნება“ შორს მიმავალი შედეგებით. იმ დროისთვის გორბაჩოვი სკკპ ცეკას მდივანი, პოლიტბიუროს წევრი და მე, საქართველოს ცეკას პირველი მდივანი, ასევე პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ჩვენს აზრებს უკვე ერთმანეთს აღარ ვუმალავდით. სწორედ მაშინ იყო, რომ ვუთხარი: „ყველაფერი დალპა“. შემომხედა... და უხმოდ დამეთანხმა“*** *(იქვე, გვ. 58).*

რა თქმა უნდა, **შევარდნაძე** აქაც პოზიორობს: აი, მე ვუთხარი პირველმა გორბაჩოვს, ყველაფერი დალპაო და ისიც დამეთანხმაო!

თან — უხმოდო!

მოკლედ, **შევარდნაძე** აღიარებს, რომ მან და **გორბაჩოვმა** ჯერ კიდევ 1984 წელს დაგეგმეს საბჭოთა კავშირის „ლპობის“ შეჩერება, რაც, მოგეხსენებათ, საბჭოთა იმპერიის გამოჯანმრთელებით კი არა, გორბაჩოვის გაპირველკაცებიდან, სულ რაღაც, ოთხ წელში სიკვდილით დასრულდა:

***„გორბაჩოვთან მუდმივი შეხვედრები და საუბრები თანამოაზრეთა საუბრებად იქცა, იმ ფუნდამენტად, რომელზეც აშენდა არამარტო ჩვენი შემდგომი დამოკიდებულებები, არამედ საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო ურთიერთობანიც, რადგან წლების შემდეგ იგი ქვეყნის პირველი პირი გახდა, კომპარტიის გენერალური მდივანი, მე კი, მისი მიწვევით — საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი“*** *(იქვე, გვ. 58).*

**გორბაჩოვთან** საიდუმლო ალიანსის გახსენების შემდეგ მემუარისტი მოგვითხრობს, როგორი ფარისევლობა უწევდა პარტიულ-ნომენკლატურული საქმიანობისას:

***„გამოსვლები ყრილობებზე, პლენუმებზე, აქტივის კრებებზე ერთი სქემით წარიმართებოდა: ჯერ ხელმძღვანელის ქება-დიდება*** *(რომელთა გამო ახლაც უხერხულობას ვგრძნობ),* ***ხოლო შემდეგ ის მთავარი სათქმელი, ხშირად მწვავე და კრიტიკული, რომელსაც ვერ ვიტყოდი ამ შესავლის გარეშე. ყოველივე ეს მხოლოდ სიმართლის სათქმელად კი არ მჭირდებოდა, არამედ ჩემი ქვეყნის, საქართველოს პოზიციების გასამყარებლად, მისთვის იმ შეღავათების მოსაპოვებლად, რომლითაც ჩემი რესპუბლიკა ყოველმხრივ მოწინავე რესპუბლიკად იქცა საბჭოთა კავშირში“*** *(იქვე, გვ. 59).*

თუმცა, **შევარდნაძე** თავადვე აღიარებს, რომ მისი ეს ხრიკები საბჭოთა ლიდერებს ადვილად გაუშიფრავთ:

***„ერთი კია, საკავშირო ხელმძღვანელობა არც ისეთი გულუბრყვილო იყო, რომ კრიტიკისა და ახალი აზროვნების სუსხი არ შეემჩნია. სწორედ ამიტომ იყო, ნიკოლოზ შჩოლოკოვმა, თავის დროზე საბჭოთა კავშირის მეტად გავლენიანმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ჩემმა დიდი ხნის ნაცნობმა, სრულიად გულახდილად რომ მითხრა: „როგორც თქვენი მეგობარი, გირჩევთ, თავი აანებოთ გაუთავებელ გამოსვლებს ნეგატიური მოვლენების შესახებ. ეს მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს და ბევრს აღიზიანებს“*** *(იქვე, გვ. 59).*

აქვე, უნდა ითქვას, რომ **შჩოლოკოვი** შევარდნაძის მთავარი მფარველი იყო და სწორედ მისი — საკავშირო შს მინისტრის ძალისხმევით, 1972 წელს გაუშვეს პენსიაზე **ვასილ მჟავანაძე** და გააპირველკაცეს საქართველოში შს მინისტრი შევარდნაძე — ამიტომაც უწოდებდნენ მას კრემლის კულუარებში **„შჩოლოკოვის კაცს“!**

შემდეგ **შევარდნაძე** „გველის ნაკბენივით“ იხსენებს მის ერთ ცნობილ ფარისევლურ გამონათქვამს, სიცოცხლის ბოლომდე რომ ახსენებდა ქართველი ხალხი:

***„აქვე ჩემი ერთი გამონათქვამი მახსენდება, რომელსაც ჩემი თანამემამულეები დიდხანს ვერ მპატიობდნენ, თუმცა, ჩემი ქვეყნის ინტერესებით იყო ნაკარნახევი.***

***თავის დროზე გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით ვთქვი*** *(რადგან ამ ტრაქტატით რუსეთი საქართველოს მფარველობას კისრულობდა):* ***საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან ამოვიდა-მეთქი.***

*ერთი ამბავი ატყდა. არადა ეს იყო ერეკლე II-ის მრჩევლის* ***სოლომონ ლიონიძის*** *იმ სიტყვების პერიფრაზი, რომლითაც მან ერეკლე მეფე დაიტირა:* ***„შენ არჩიე გზა ჩრდილოეთისა და მზე ჩრდილოეთისა“.*** *ეს რუსეთის გასაგონად ვთქვი, რათა საქართველოში შემძლებოდა ბევრი ეროვნული საქმის გაკეთება.* ***ასეთ დროში ვცხოვრობდით: მუდმივი ლავირება მჭირდებოდა ისევ ქართველი ერის, ქართული კულტურის, ქართული ენის გადასარჩენად“*** *(იქვე, გვ. 60).*

ჯერ ერთი, **შევარდნაძემ** აშკარად არ იცის, რომ კრწანისის ომში რუსეთის მიერ ნაღალატევ ერეკლეს ისე სძულდა რუსეთი, რომ ზარაფხანაში ორივე თავმოწყვეტილი რუსულარწივიანი ქართული მონეტები მოაჭრევინა!

ეს მონეტები ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში ინახება...

მეორეც, როცა **შევარდნაძემ** რუსეთისვე მიერ სანაგვეზე მოსროლილი გეორგიევსკის ტრაქტატის მეორასე წლისთავი აზეიმა საქართველოს, ესეც საკმარისზე მეტი იყო კრემლისთვის ერთგულების დასამტკიცებლად და არანაირი **„ჩვენი მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“** აშკარად არ იყო საჭირო!

ეს შევარდნაძის ჩვეული ფარისევლობა გახლდათ.

***გიორგი გიგაური***
***გაგრძელება იქნება***



**ედუარდ შევარდნაძე:**

**გორბაჩოვს ვუთხარი — „ყველაფერი დალპა“. შემომხედა... და უხმოდ დამეთანხმა!**

**„კარიერულ აღმასვლაში შევარდნაძეს ძალიან ეხმარებოდა მოსკოვში, კომკავშირის საკავშირო ცეკაში ერთ-ერთი განყოფილების გამგე, გვარად პერტენავა!“**

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ გახშირებული ინფარქტებისა და ინსულტების ძირითადი მიზეზი სისხლძარღვების ანთებაა, რომელსაც, თავის მხრივ, არასწორი კვება და შაქრიანი დიაბეტი იწვევს:***



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა: **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“, „იმუნო ჰერბი ფორტე“** — მსოფლიო სენსაცია: პრეპარატი, რომელმაც 2009 წელს **„ღორის გრიპი“ დაამარცხა** და სხვებმა, რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**



## კახა საბახტარიშვილი:

# ინფარქტი და ინსულტი ერთი და იგივეა!



## „თუ გინდათ, ინფარქტი და ინსულტი თავიდან აიცილოთ, მოუარეთ კბილებსა და ღრძილებს!“

— გულის კუნთის ინფარქტით მსოფლიოში ყველაზე მეტი ადამიანი იღუპება. არსებობს საგულისხმო სტატისტიკა — გულის კუნთის ინფარქტის 100 შემთხვევიდან, როგორც წესი, 12 გარდაცვალებით მთავრდება, ხოლო თავის ტვინის ინსულტის იმავე 100 შემთხვევიდან გარდაცვალების რიცხვი 28-ს თუ აღწევს. ამ სტატისტიკის თანახმად, გამოდის, რომ **ინსულტით დაახლოებით სამჯერ მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ინფარქტით,** მაგრამ რეალობა ცოტა სხვაგვარია. კერძოდ, გულის კუნთის ინფარქტით დაღუპულთა რიცხვი იმიტომ არის გაცილებით მეტი, რომ ის ადამიანებს ბევრად უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე ინსულტი.

**— რა არის გულის კუნთის ინფარქტის სიხშირის ძირითადი მიზეზი?**

— დავიწყოთ იმით, რომ ინფარქტი ადამიანს სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი წინასწარი ნიშნებისა და სიმპტომების გარეშე შეიძლება დაემართოს. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის 48 პროცენტს წარმოდგენაც კი არა აქვს, რომ მათი გული დაავადებულია. **ინფარქტის ძირითადი მიზეზი თრომბი ან ათეროსკლეროზული ფოლაქებია, რომელთა არსებობის შესახებაც ადამიანთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არაფერი იცის.** ეს თრომბი ან ფოლაქი, რომელიც რომელიღაც სისხლძარღვზე იყო მიმაგრებული, შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზის გამო მოულოდნელად ადგილიდან მოწყდეს, გულის მკვებავი სისხლძარღვი დაახშოს და ინფარქტი გამოიწვიოს. **თუ თრომბი ან ათეროსკლეროზული ფოლაქი ტვინის სისხლძარღვში მოხვდა, მაშინ საქმე გვაქვს ინსულტთან.** ასე რომ, გულის კუნთის ინფარქტი და ტვინის ინსულტი, რომელსაც სხვაგვარად ტვინის ინფარქტსაც უწოდებენ, არსით და წარმოშობით ერთი და იგივეა!

**— შეუძლია თუ არა ადამიანს იმის გამოცნობა, რომ უახლოეს მომავალში ინფარქტი ან ინსულტი დაემართება?**

— დარწმუნებული ვარ, ჩვენი მკითხველის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს **კორონალური კალციუმის ინდექსი.** არადა, ამ ინდექსის განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს, 95 პროცენტი სიზუსტით განვსაზღვროთ დაემართება თუ არა ადამიანს ინფარქტი ან ინსულტი უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. დავიწყოთ იმით, რომ ათეროსკლეროზი, რომელიც წარმოშობს ინფარქტისა და ინსულტის გამომწვევ თრომბსა და ათეროსკლეროზულ ფოლაქებს, სრულიად შეუმჩნევლად იწყება და ფორმირდება. ათეროსკლეროზული ფოლაქი შედგება კალციუმის, ე.წ. ცუდი, ანუ დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინისა და ზოგიერთი სახის ცილისაგან. ათეროსკლეროზულ ფოლაქს გარშემო სწორედ კალციუმი აკრავს. **განსაკუთრებით სახიფათოა ისეთი ათეროსკლეროზული ფოლაქი, რომელიც გულის მკვებავი კორონალური, ანუ გვირგვინოვანი არტერიის კედლებზე ჩნდება.** ასეთი არტერიის კედლებზე არავითარი „ფოლაქისა“ და კალციუმის დანალექის არსებობა არ შეიძლება. კომპიუტერული ტომოგრაფიით ხერხდება გულის კორონალური არტერიების დათვალიერება და იმის განსაზღვრა, არის თუ არა მის კედლებზე კალციუმის დანალექი. თუ მსგავსი დანალექი არ არსებობს, მაშინ ექიმები ამბობენ, რომ **კორონალური კალციუმის** ინდექსი ნულის ტოლია და ორგანიზმს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, დიდი ალბათობით, არანაირი ინფარქტი და ინსულტი არ ემუქრება. მაგრამ თუ ეს ინდექსი 400 ერთეულს აჭარბებს, მაშინ მდგომარეობა საგანგაშოა და ინფარქტის ან ინსულტის საფრთხე ყოველ წამს არსებობს. ამიტომ ჩვენი რჩევაა, **ვისაც შაქრიანი დიაბეტი აქვს, მაღალი არტერიული წნევა აწუხებს, ჭარბი წონით გამოირჩევა, სიგარეტს ეწევა და მუდმივი სტრესის ქვეშ იმყოფება, აუცილებლად ჩაიტაროს კორონალური კალციუმის ტესტი და განსაზღვროს ინდექსი, რათა ინფარქტი და ინსულტი თავიდან აიცილოს!**

**— მაინც რა იწვევს ათეროსკლეროზს?**

— ათეროსკლეროზის გამომწვევი ძირითადი მიზეზი **სისხლძარღვების ანთებაა.** როდესაც სისხლძარღვების ანთებითი უბანი ზიანდება, როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნეთ, დაზიანებულ უბანს, ერთგვარი ლეიკოპლასტირის სახით ზემოდან დაედება კალციუმის, ქოლესტერინისა და ცილისაგან შემდგარი საფენი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ათეროსკლეროზული ფოლაქი. იქ, სადაც სისხლძარღვის ანთება არ არის და მისი კედლები საღია, ვერანაირი ათეროსკლეროზული ფოლაქი ვერ წარმოიქმნება. აქედან გამომდინარე, **ინფარქტისა და ინსულტის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო საშუალებაა, არ დავუშვათ სისხლძარღვების ანთება!**

სისხლძარღვების ანთებას იწვევს:

1. შაქრიანი დიაბეტი;
2. სტრესი;
3. სიგარეტი;
4. ალკოჰოლი;
5. მაღალი არტერიული წნევა;
6. D, E და K ვიტამინების ნაკლებობა.

ძირითადი მიზეზები სწორედ ეს არის. სისხლძარღვების ანთების უპირველესი გამომწვევი მიზეზი მაინც შაქრიანი დიაბეტია. როდესაც ე.წ. „შკურკას“, ანუ ზუმფარის ფურცელს რაიმე გლუვ ზედაპირს გავუსვამთ, ეს ზედაპირი დაზიანდება და ხორკლიანი ხდება. ზუსტად ამავე მექანიზმით **სისხლში არსებული მაღალი შაქარი ფხაჭნის და ხეხავს სისხლძარღვების შიდა გლუვ კედლებს, ჟანგავს მათ და სწორედ ასე იწყება ანთებითი პროცესი.** იმ გახეხილ, ანუ დაზიანებულ ადგილებს ძალიან კარგად ეჭიდება კალციუმი, ე.წ. ცუდი ქოლესტერინი და ასე ყალიბდება ათეროსკლეროზული ფოლაქი, რომელიც თრომბთან ერთად ინსულტისა და ინფარქტის ძირითადი გამომწვევი მიზეზია.

**— შესაძლებელია თუ არა სისხლძარღვების ანთების დადგენა კორონალური კალციუმის ტესტის ჩატარების გარეშეც?**

— შესაძლებელია! ამისათვის **სწორად უნდა დავდგეთ და დავაკვირდეთ ფეხის თითებს. თუ ფეხის თითებს ვერ დავინახავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მუცელზე ცხიმი გვადევს და სახეზეა ინსულინისა და გლუკოზის სიჭარბე. ამის შემდეგ ჩავიხედოთ სარკეში, თუ სახე შესივებული გვაქვს, ნიკაპის ქვეშ გამოხატულია ღაბაბი, ხოლო ლოყები ჩამოკიდებულია, ესეც გლუკოზისა და ინსულინის სიჭარბეზე მეტყველებს.** ამავდროულად,

**თუ ტკბილეული ძალიან გვიყვარს, ხოლო ხორცეულს ხშირად შევჭამთ**

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ვახანია**
*განათლების ექსპერტი*



**მასწავლებლები კერძო სკოლებიდან საჯარო სკოლებს უბრუნდებიან** და ამის მიზეზი ხელფასია. **ბევრ კერძო სკოლაში მასწავლებელი ძალიან უუფლებოა,** ამიტომ საჯარო სკოლაში დასაქმება ურჩევნია პედაგოგს.

„რეზონანსი“

**ვაკტა აროშიძე**
*პოლიტოლოგი*



საჯარო სკოლებში **უფრო მოტივირებული და მაღალი დონის მასწავლებლები ასწავლიან,** ვიდრე — კერძო სკოლებში. არასწორად მიმაჩნია ის, რომ მოსწავლე **კერძო სკოლაში** რამე განსაკუთრებულ ცოდნას იძენს.

„რეზონანსი“

**ელენე თოხჩუა**
*მომღერალი*



არ შემშინებია, როცა მივხვდი, რომ **შვილებისთვის ქმრის გარეშე უნდა მიმეხედა.** თუ გამოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელიც დამაფასებს, მის გვერდით თავს ბედნიერად ვიგრძნობ, რატომაც არა? **არასოდეს დამიშავებია ჩემი ოჯახის წინაშე რამე და არც არასოდეს ჩავიდენ ისეთ რამეს, რომ შვილებს და მშობლებს ჩემი შერცხვეთ.**

„სარკე“

**გოჩა ჩერტკოევი**
*სამეჯლისო მოცეკვავე, ქორეოგრაფი*



აქ ზრდილობა აკლიათ. **ამერიკაში ვერავისგან გაიგებთ, ვიღაცაზე ცუდს რომ ამბობდეს: იქ ან დადებითს ამბობენ, ან — არაფერს.** აქ კონკურსანტი რომ გავარდება, მიდიან და ეუბნებიან, შენ როგორ გავარდი და ეს მახინჯები როგორ დარჩნენო. ხანდახან ისეთი ნეგატიური რაღაცები მესმის, რომ ნეტა არ ვიგებდე!

„სარკე“




„ვისაც შაქრიანი დიაბეტი აქვს, მაღალი არტერიული წნევა აწუხებს, ჭარბი წონით გამოირჩევა, სიგარეტს ეწევა და მუდმივი სტრესის ქვეშ იმყოფება, აუცილებლად ჩაიტაროს კორონალური კალციუმის ტესტი და განსაზღვროს ინდექსი, რათა ინფარქტი და ინსულტი თავიდან აიცილოს!“

## კარტოფილს ვაყოლებთ, ესეც გლუკოზისა და ინსულინის სიჭარბეს ადასტურებს და საბოლოოდ იმაზე მეტყველებს, რომ სისხლძარღვების ანთება სახეზეა!

გაგიკვირდებათ, მაგრამ **ინფარქტი და ინსულტი უფრო ხშირად ემართებათ იმ ადამიანებს, რომელთაც სტომატოლოგიური პრობლემები აქვთ.** კონკრეტულად ვგულისხმობთ ღრძილებიდან სისხლდენას. ბევრმა არ იცის, პირის ღრუში შვიდასამდე ბაქტერია და მიკროორგანიზმი ბუდობს. ამ მიკრობებისა და ბაქტერიების კოლონიები თავის დასაცავად იქეთებენ ერთგვარ ჯავშანს — ბიომემბრანას, რომელიც სწორედ კალციუმისგან შედგება. **როდესაც ორგანიზმში C ვიტამინის დეფიციტია, ღრძილები ანთებითი და სისხლმდენი ხდება. ასეთ დროს პირის ღრუში არსებული ბაქტერიები და მიკრობები თავიანთი კალციუმის ჯავშნით ადვილად აღწევენ სისხლძარღვების შიგნით და ბუდდებიან მის კედლებზე.** ეს უკვე დამატებითი მიზეზია ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოსაქმნელად. **კბილებზე არსებული ე.წ. ქვები სხვა არაფერია, თუ არა პირის ღრუში არსებული ბაქტერიებისა და მიკრობების კოლონიები, რომლებსაც ჯავშნად კალციუმი აკრავთ.** ამიტომ ჩვენი რჩევაა: თუ გინდათ, ინფარქტი და ინსულტი თავიდან აიცილოთ, მოუარეთ კბილებსა და ღრძილებს!

**— სისხლძარღვების ანთება და, შესაბამისად, ათეროსკლეროზიც ადამიანებს უხსოვარი დროიდან აწუხებთ, მაგრამ ბოლო დროს რა მოხდა ისეთი, რომ ზემოხსენებული პათოლოგიებით გამოწვეული ინფარქტებისა და ინსულტების რიცხვმა კატასტროფულად იმატა?**

— ინფარქტებისა და ინსულტების რიცხვის ზრდა კვების რეჟიმისა და საკვები პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიურ ცვლილებებს უკავშირდება. უკვე დადგენილი ფაქტია, რომ სისხლძარღვების ანთებითი პროცესების ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევი მიზეზი **შაქრითა და ნახშირწყლებით მდიდარი საკვების** ჭარბ მოხმარებასთან ერთად **ცხიმოვანი მჟავა ომეგა-6-ის** ფართოდ გამოყენებაა. ადრე ხორცის შესაწვავად ერბოს, კარაქსა და ნატურალურ ქონს იყენებდნენ, დღეს ამ პროდუქტებს ზემოაღნიშნული მიზნით, ფაქტობრივად, არ მოიხმარენ და ყველაფერს, ძირითადად, მზესუმზირისა და სიმინდის რაფინირებულ ზეთში წვავენ. არადა, როგორც ერთი, ისე მეორე ზეთი დიდი რაოდენობით **ომეგა-6-ს** შეიცავს, რომელიც **ომეგა-3-ისგან** განსხვავებით სისხლძარღვებში ძლიერი ანთებითი პროცესების განვითარებას უწყობს ხელს.

აქედან დასკვნა: **ვისაც ვარიკოზული ვენები და გული აწუხებს, მზესუმზირისა და სიმინდის ზეთს არ გაეკაროს!** საერთოდ, ყველას ვაფრთხილებ: **მზესუმზირისა და სიმინდის ზეთი ჯანმრთელობისთვის მავნეა!** არაერთხელ აღმინიშნავს და კიდევ ვიმეორებ: სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად გული ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში აწუხებთ. შესაბამისად, გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, კვიპროსში ყველაზე ნაკლებია. ამის მთავარი მიზეზი ზღვის პროდუქტებთან ერთად ისიც არის, რომ ისინი მზესუმზირისა და სიმინდის ზეთს, ფაქტობრივად, არ იყენებენ და ძირითადად **ზეითუნის ზეთს** მოიხმარენ, რომელიც გასაოცარი ეფექტის მქონეა. კერძოდ, **ზეითუნის ზეთი ანთების საწინააღმდეგო ომეგა-3-თან ერთად შეიცავს ასევე ანთების საწინააღმდეგო E ვიტამინს, A ვიტამინს, მაგნიუმს და თრომბის საწინააღმდეგო K ვიტამინს.** ზეითუნის ზეთს იმდენად ძლიერი ანთების საწინააღმდეგო ეფექტი გააჩნია, იბუპროფენსაც კი სჯობს.

**— ზეითუნის ზეთის გარდა კიდევ რომელი პროდუქტები უყვარს გულს?**

— ადამიანები ნაკლებად ღებულობენ სხვადასხვა სალათებს, არადა, ისინი ვიტამინ K1-ის საბადოა, რომელიც ნაწლავებში K2 ვიტამინად გარდაიქმნება და ორგანიზმში კალციუმის ცვლას აკონტროლებს. კერძოდ, **თუ ორგანიზმში K2 ვიტამინის დონე საკმარისია, კალციუმი სისხლიდან ძვლებში მიემართება და ძვლები უფრო მტკიცე ხდება, ხოლო, თუ K2 ვიტამინის უკმარისობა სახეზეა, მაშინ პირიქით, კალციუმი რბილ ქსოვილებში, მათ შორის, სისხლძარღვების კედლებზეც გროვდება, რაც ინფარქტისა და ინსულტის ფორმირების წინაპირობაა.** საერთოდ, ეს ძალიან ვრცელი თემაა და შემდგომ საგაზეთო საუბრებში დაგისახელებთ შვიდ სუპერპროდუქტს, რომლის სისტემატური მიღებაც უამრავ ადამიანს ინფარქტისა და ინსულტისგან იხსნის!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „ვისაც ვარიკოზული ვენები და გული აწუხებს, მზესუმზირისა და სიმინდის ზეთს არ გაეკაროს!“

## კვირგვინოსნები

**ბექა ჩხაიძე**
*მომღერალი*



მადლობას ვუხდი ღმერთს, რომ **ჩემი მანკიერებებიც დამანახვა და „პონტის“ ხალხიც,** რომ მალე დამეფერთხა ჩემი ცხოვრება ამ ადამიანებისგან.

„თბილისელები“

**თამარ ივერი**
*ოპერის მომღერალი*



ძვირად ღირებულ სამოსსა და კოსმეტიკაში **იმდენი ფული გადამიყრია,** ის თანხა რომ ბიზნესში ჩამედო, **დღეს ძალიან დიდი ფული მექნებოდა.**

„თბილისელები“

**ლევან რამიშვილი**
*მსახიობი, მომღერალი*



**ბევრ ჩემს ახლობელს არ ეგონა, რომ მე ოჯახს შევინარჩუნებდი, არასოდეს არავის ჩემი იმედი არ ჰქონდა.**

„თბილისელები“















***პანდემიის შემდეგ გრიპის ვირუსი გააქტიურდა. ახალი შტამი განსაკუთრებით 5 წლამდე მოზარდებს აზიანებს. ინფექცია სხვადასხვა ფორმითა და სირთულით ვლინდება და კოვიდისგან, რაც გასულ წლებში თითქმის ყველამ მოიხადა, სრულიად განსხვავებულია, არადა, პაციენტების ერთ ნაწილს რატომღაც მიაჩნია, რომ ისევ „კოვიდ-19“ დაემართა. ისინი ყიდულობენ ტესტებს, მშვიდდებიან, როდესაც უარყოფით პასუხს იღებენ, მაგრამ, შესაბამისად, ახალი ინფექციის მიმართ ყურადღებას ადუნებენ! გაურკვეველია, სააფთიაქო ქსელში რატომ შემორჩა კოვიდის ძველი ტესტები ან მთელ რიგ კლინიკებში პაციენტის მიღებისა და მკურნალობის წინაპირობად რატომ რჩება კოვიდზე ტესტირების აუცილებლობა? რამდენად იცავს ადამიანს კოვიდის წინააღმდეგ გამომუშავებული იმუნიტეტი თანამედროვე, ახალი შტამებისგან? ვესაუბრებით ადამიანის ეკოლოგიის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარეს, მედიცინის დოქტორ თინა თოფურიას:***

# «მოსახლეობას ვაფრთხილებ:

## აცრების საკითხი ისეთ უკონტროლო ფაზაში შევიდა, თუ დროულად არ გადაველობებით, ისედაც ერთ მუჭა ერს სრულ განადგურებამდე მიგვიყვანს!“




## თინა თოფურია:

# მალე ისევ დაიწყება ვაქცინაციის მიზნით აქტიური აგიტაცია, მაგრამ ამ ანკესს ცოტავინ წამოეგება!

— დღეს ქვეყანაში გრიპის რამდენიმე ვირუსი ერთდროულად ცირკულირებს. ეს არის **A და B ტიპის ვირუსები** და მათთან ერთად, **კორონაც,** რომელიც უკვე, პრაქტიკულად, სეზონურ ვირუსად გვევლინება. ჯერჯერობით არაფერი საგანგაშო არ არის და ვერ ვიტყოდი, რომ რაიმე ატიპიურად მიმდინარეობს. ბავშვთა კლინიკები ადრეც ყოფილა გადატვირთული, მაგრამ ეს არ გამხდარა პანიკის საგანი. არც ტელევიზია გვატყობინებდა ყოველდღიურად დაავადებულთა რაოდენობას.

**— მაშ, რით აიხსნება, რომ გასულ თვეებთან შედარებით, პაციენტების მეტმა რაოდენობამ მიაკითხა კლინიკებს?**

— მიმართვების მატება იმით არის განპირობებული, რომ გრიპს სამი ტალღა ახასიათებს და ერთ-ერთი სწორედ მოცემულ დროს ემთხვევა. არის სხვა მიზეზებიც: წელს ხანგრძლივი და ხალხმრავალი საახალწლო ზეიმები იმართებოდა, სადაც ადამიანები ერთმანეთთან ახლო კონტაქტში იმყოფებოდნენ. გასათვალისწინებელია საზოგადოებრივ ტრანსპორტში არსებული სიმჭიდროვეც, როცა ადამიანებს ლამის ცხვირები აქვთ ერთმანეთზე მიდებული და ერთი დახველებით ან დაცემინებით რამდენიმე შეიძლება დაინფიცირდეს. გარდა ამისა, პანდემიის შემდეგ დაშინებული მოსახლეობა, იმის ნაცვლად რომ სახლში დარჩეს და მშვიდად იმკურნალოს, ახლა, ადრინდელისაგან განსხვავებით, მასობრივად კლინიკებში გარბის, რაც დიდი შეცდომაა, რადგან სწორედ იქ არის ჰოსპიტალური ინფექციით დაავადების მაღალი რისკი!

**— მაგრამ როგორ შეინარჩუნონ სიმშვიდე ადამიანებმა, თუკი ინფექცია ატიპიურად განვითარდება და ზოგჯერ პნევმონიითაც გართულდება?**

— გრიპის დროს მაღალი სიცხე და ხველა ინფექციის ატიპიურობას არ ნიშნავს, ჩვეულებრივი სიმპტომებია. ისიც კანონზომიერია, რომ ასაკოვან ადამიანებში ნებისმიერი ვირუსი შეიძლება, პნევმონიითაც გართულდეს და ზოგჯერ სიკვდილის მიზეზადაც მოგვევლინოს. მაგრამ ახლა სხვა ფენომენთან გვაქვს საქმე — **სრულად აცრილებს და, მითუმეტეს, დაბუსტერებულებს იმუნიტეტი აქვთ დაქვეითებული. ისინი მოწყვლადები არიან ნებისმიერი ინფექციის მიმართ!**

ზოგიერთს იმუნიტეტი იმდენად დაუქვეითდა, საკუთარ სხეულში არსებული პათოგენების გაკონტროლება აღარ შეუძლიათ და მათი გააქტიურების გამო სხვისგან გადადების გარეშეც ავადდებიან. „იმუნიტეტი ნულს ქვემოთ“ — ასეთი ცნებაც კი შემოვიდა, რის შესახებაც მოსახლეობას მუდმივად ვაფრთხილებდი, მაგრამ სავალალო შედეგი მაინც დადგა. **ხომ გახსოვთ, აცრილებს მალევე ემართებოდათ კოვიდი. ახლა კი სხვა შტამია, რომელიც, ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის მტკიცებით, წინამორბედისაგან იმით განსხვავდება, რომ ნაკლებვირულენტურია, მაგრამ გაცილებით კონტაგიოზური, ანუ სწრაფად ვრცელდება და უსხლტება ვაქცინით მიღებულ ანტისხეულებს.** თავიდანვე ითქვა, რომ ამის გამო იგი აცრილებისათვის უფრო საშიში იქნებოდა, ვიდრე მათთვის, ვინც ბუნებრივად გადაიტანა კოვიდი, რის შედეგადაც კორონების ოჯახის მიმართ უფრო მდგრადი იმუნიტეტი დარჩა.

**იცოდნენ, რასაც აშავებდნენ — მათ ხომ მოსახლეობას იმუნიტეტი დაუქვეითეს! პროგნოზიც თავის გასამართლებლად იწინასწარმეტყველეს, რათა მუტაციას დაბრალებოდა.**

ამის მიუხედავად, უამრავი საჩივარი იწერება როგორც დაზარალებულების, ასევე ექიმებისა და სხვადასხვა დარგის პროფესიონალების მიერ. **მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები ღაღადებენ, რომ ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური, წარუმატებელი ექსპერიმენტი, ხოლო ხალხი მასობრივად ითხოვს ამ ექსპერიმენტის ორგანიზატორთა დასჯას.**

ყველა თავმოყვარე სახელმწიფომ აღიარა, რომ ვაქცინაციამ უამრავი ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეიწირა. ჯანმომ დაიწყო სერიოზული პრობლემის — ახალგაზრდების უეცარი სიკვდილის „შესწავლა“. კომპენსაციის სახით დაზარალებულთათვის უკვე მილიონობით თანხებია გაცემული. **დიუსელდორფში შექმნეს ხეივანი, სადაც ამ ვაქცინებით გარდაცვლილთა სურათებია გამოფენილი; ასევე ნიცაში არსებობს მემორიალური ქუჩა, რომლის ამსახველ ვიდეოკადრებს არ შეიძლება გულგრილად უყურო.**

**— ჩვენში რაღა ხდება? როგორია სტატისტიკა?**

— საქართველოში **„არ ხდება არაფერი!“** ქართველი დაზარალებულებისთვის კომპენსაციაზე სახელმწიფოს სიტყვაც არ დაცდენია. თურმე, არავითარი გართულება და გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა! მაგრამ რეალობა სხვაგვარია — პანტაპუნტით იხოცებიან ახალგაზრდები, თანაც უეცრად და უმიზეზოდ! მაინც გვიმტკიცებენ — **„აცრა არაფერ შუაშია!“** რეკორდულად მომრავლებულ სიმსივნეებზე, სახსრებისა და გულ-სისხლძარღვთა პრობლემებზე აღარაფერს ვამბობ! სიცრუესა და ტყუილში გვამყოფებენ დღემდე. ავიღოთ თუნდაც ტესტების საკითხი: **ხელისუფლებამ გვითხრა, რომ ტესტი საჭირო აღარ არის. მიუხედავად ამისა, კლინიკები არ იღებენ პაციენტებს პისიარ ტესტის გარეშე!** ხშირად, პაციენტის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, სასწრაფო უარს ამბობს კლინიკაში მის გადაყვანაზე, ხოლო კლინიკა — მიღებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ტესტირება არ ჩატარებულა!

**— ნუთუ კოვიდის მიმართ ტესტირება ისევ ძველებურად მნიშვნელოვანია?**

— სწრაფი ტესტები აფთიაქებში ისევ იყიდება, თუმცა, რახანია, აღიარებულია, რომ ისინი A ტიპის ვირუსს კორონასგან ვერ არჩევს. ასეც რომ არ იყოს, **ტესტი ჩინური ვირუსისთვის შექმნილი ომიკრონის ახალ შტამს როგორ დაადგენს?** ცხადია, მავანმა ტესტების გასაღება სარფიან ბიზნესად აქცია. კლინიკაში პაციენტების მნახველებსაც კი, ტესტის ჩატარებას ავალდებულებენ. არადა, **სახელმწიფომ ეს ტესტები საერთოდ უნდა ამოიღოს ხმარებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობის ნდობას დაკარგავს!** ტესტებს ვინ ჩივის, ვინძლო, სხვადასხვა ხაფანგით, აცრაც გვაიძულონ და უკვე არის ამისი მცდელობებიც. ბუსტერზეც რახანია, ეპატიჟებიან, მაგრამ ცოტას თუ წამოაგებენ ანკესზე, რადგან ხალხი გონს მოვიდა და უმრავლესობა ნანობს კიდეც, რომ აიცრა, რადგან ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები სწორედ ვაქცინაციის შედეგად შეექმნათ.

ცოტა ხანში ისევ დაიწყება აქტიური აგიტაცია აცრების აუცილებლობის შესახებ, რადგან ევროპის რამდენიმე ქვეყანამ უარი თქვა ადრე შეკვეთილი ვაქცინების შესყიდვაზე, რადგან პანდემია დამთავრდა. არადა, დიდი რაოდენობით შემორჩენილი ვაქცინები სადღაც ხომ უნდა გაასაღონ?! თუმცა, მანამდე ჯერ გრიპის ვაქცინაა „ასათვისებელი“ და ამას ემსახურება ეს პანიკა!

**— რამდენად ეფექტურია გრიპის ვაქცინა ამ ვირუსების წინააღმდეგ?**

### – მე საერთოდ, გრიპის ვაქცინის წინააღმდეგი ვარ. მავნებლობის გარდა სხვა შედეგი არ მოაქვს და განსაკუთრებით ახლა!

ეს 4-კომპონენტიანი ვაქცინაა A და B ვირუსების წინააღმდეგ, ხოლო დღეს რომელი შტამები ცირკულირებს, ამას ბოლომდე არც ამბობენ. რომ გამოაცხადეს №1 ვირუსიო — ეგ არაფრის მთქმელი არ არის. მალავენ, რადგან, როგორც ჩანს, ვაქცინის ვირუსები არ ემთხვევა იმას, რაც სინამდვილეში ცირკულირებს. **ვფიქრობ, მოგვიანებით დაასახელებენ იმ შტამებს, რომლებიც ვაქცინაშია შეტანილი, მაგალითად — ღორის ან ჰონგკონგის გრიპიაო. მე შენ გეტყვი, ასე ადვილად გადაამოწმებ?!** ფაქტია, რომ ისევ გვატყუებენ. ისევ ის სახეები გამოჩნდნენ, რომლებმაც კოვიდის დროს ამდენი ადამიანი საექსპერიმენტოდ გაწირეს. მაგრამ, როგორც **ბილ გეითსმა და ჯანმომ** განაცხადეს, აღარ გაიმეორებენ კოვიდის დროს დაშვებულ შეცდომებს და ახლა 100-პროცენტიან ვაქცინაციას უნდა მიაღწიონ! დიახ, თავს

## „პანტაპუნტით იხოცებიან ახალგაზრდები — უეცრად, უმიზეზოდ! მაინც გვიმტკიცებენ: „აცრა არაფერ შუაშია!“

# «ჯერ გრიპის ვაქცინაა „ასათვისებელი“ და ამას ემსახურება ეს პანიკა!»

ნურავინ დაიმშვიდებს, რომ ეს პროცესი დამთავრდა. ჩვენს ზურგს უკან დიდი მუშაობა მიდის. რადგან ბავშვების აცრა არ გამოუვიდათ, ახლა სხვადასხვა ხერხით ცდილობენ, სხეულში ესა თუ ის ნივთიერება შეუყვანონ! მაგალითად, **9 წლიდან მოზარდებს საშვილოსნოს ყელის კიბოს საწინააღმდეგო პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრისაგან მოუწოდებენ და იმას კი არ ეუბნებიან, რა საშინელი გართულებების გამოწვევა შეუძლია ამ ვაქცინას.** უფრო პატარებისთვის გრიპის ვაქცინებია გამზადებული და ახლა მიდის ფსიქოლოგიური ტერორი, რათა დედები დაიყოლიონ. ცხადია, მხოლოდ ბიზნესთან აღარ გვაქვს საქმე, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბავშვებისათვის კოვიდი არ წარმოადგენს საშიშროებას, ხოლო აცრის რისკი აღემატება სარგებელს, რადგან იწვევს ბევრ გართულებას, მათ შორის, მიოკარდიტსა და პერიკარდიტს! მეტიც — **გაირკვა, რომ 5 წლამდე ბავშვებს ამაზე ანტისხეულები არ გამოუმუშავდებათ. ამის მიუხედავად, მაინც გაიცა ჩვილების აცრის ნებართვა.** მალე ვაქცინებსაც შემოიტანენ და პროპაგანდაც ძველებურად გაჩაღდება!

**— საზღვარგარეთ რა ხდება, ამ მხრივ?**

— საფრანგეთში დიდი განგაშია ატეხილი ბოლო თვეებში ჩვილთა სიკვდილიანობის კატასტროფული მატების გამო. ფატალური შედეგები მას მერე გახშირდა, რაც დაიწყეს პატარების აცრა ახალი ვაქცინით, რომელიც გამიზნულია რესპირატორული სენტიციალური ვირუსისა და ფილტვებში მოსალოდნელი გართულებების წინააღმდეგ. **სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ვაქცინამ თავად გამოიწვია მძიმე ალვეოლიტები, რასაც სიკვდილიანობის მრავალი ფაქტი მოჰყვა.** მეცნიერები ითხოვენ დამატებით კვლევას, ამისათვის კი, საჭიროა, ექსპერიმენტები სხვა ქვეყნებში ჩატარდეს, ოღონდ არა აფრიკელებში, არამედ თეთრკანიანებში! „ასავალ-დასავალის“ ერთგულ მკითხველს ემახსოვრება — **მე ათწლეულების წინ ვამბობდი, რომ ქართველ ბავშვებს „საცდელ კურდღლებად“ იყენებენ უცხოელი „მეგობრები“,** რასაც უარყოფდნენ ამ საქმის ორგანიზატორები. ახლა კი, ტრაბახობენ, რომ „ჩვენი ქვეყანა სოლიდური კვლევების მონაწილეა!“

**— ექსპერიმენტების პოლიგონი ვართ და ამით ვამაყობთ?**

— შევშფოთდი, როცა შევიტყვე, რომ ჩვილთა მომეტებული სიკვდილიანობის გამომწვევი ვაქცინაც **ასტრაზენეკას** ნაწარმია. გაიხსენეთ **მეგი ბაქრაძის** გარდაცვალების ისტორია, რაც ასტრაზენეკას გამოყენებას მოჰყვა. **საქართველოში ეს ვაქცინა მაშინ შემოიტანეს, როცა 17-მა ქვეყანამ მისი მოხმარება შეაჩერა, რადგან თრომბოზებს იწვევდა.** ჩვენთან იმ მიზნით შემოიტანეს, რომ ექსპერიმენტის შედეგად დაემტკიცებიათ მისი უვნებლობა, მაგრამ არ გაუმართლათ და პირველივე დღეს მეგის სახით მსხვერპლი მოჰყვა! მაშინვე იყო მიღებული ყველა ზომა იმისათვის, რომ სიკვდილის მიზეზად ანაფილაქსია გამოცხადებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიული ანალიზები ამას უარყოფდნენ და ყველასთვის კარგად იყო ცნობილი ნამდვილი მიზეზი — **თრომბოემბოლია!** მთავარი ხომ ასტრაზენეკას რეპუტაციის დაცვა გახლდათ და არა იმ ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა, ვინც ამ შხამით უნდა აეცრათ. მართლაც, **ასტრაზენეკამ საქართველოდან წაიღო ის დასკვნა, რაც აწყობდათ!** გავითვალისწინოთ: ანალოგიურის გაკეთებას კვლავ ეცდებიან, რადგან კარგად აქვთ აწყობილი ეს მანკიერი თანამშრომლობა და ჩვენი შვილები ისევ მათ ხელში აღმოჩნდებიან, ვინც მეგი ბაქრაძის სიკვდილის მიზეზი გააყალბა! მოსახლეობას ვაფრთხილებ, აცრების საკითხი ისეთ უკონტროლო ფაზაში შევიდა, თუ დროულად არ გადავეღობებით, ისედაც ერთ მუჭა ერს სრულ განადგურებამდე მიგვიყვანს! მშობლებს მართებთ იმის გათვალისწინება, რომ ვაქცინაციის პროპაგანდისტები უპრეცედენტო დარღვევებზე მიდიან!

**— კონკრეტულად, რას არღვევენ?**

— იმის გამო, რომ მოსახლეობას კოვიდისტერიის შემდეგ გაუჩნდა გარკვეული უნდობლობა, ვაქცინაციის პროპაგანდისტებმა დაიწყეს სოფლის სკოლებში სიარული და მშობლების გვერდის ავლით მოსწავლეთა აცრა. **ეს კანონის უხეში დარღვევაა, რადგან აცრა უნდა ხდებოდეს მშობლის თანხმობით, მას მერე, რაც იგი გაეცნობა ინფორმაციას როგორც აცრის სარგებლიანობაზე, ასევე მოსალოდნელ გართულებებსა და უკუჩვენებებზე.** უფრო მეტიც, ვინაიდან ნებისმიერ ვაქცინას ინსტრუქციაში უწერია, რომ შესაძლოა, განვითარდეს ანაფილაქსიური რეაქცია, ამიტომ დაუშვებელია ასეთი სერიოზული მანიპულაცია სკოლის ექიმის კაბინეტებში ჩატარდეს, სადაც რეანიმაციის პირობები არ არსებობს! **ეს განსაკუთრებით ყურადსაღებია პაპილომას ვაქცინაციის შემთხვევაში, რასაც ხშირად სდევს გონების კარგვა!**

მეგი ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ გამკაცრდა მოთხოვნები იმ დაწესებულებების მიმართ, რომლებსაც აქვთ ვაქცინაციის ჩატარების უფლება. ამიტომ, **როდესაც მავანი ბავშვს მშობლის ნებართვის გარეშე ცრის, მას მთელი სიმკაცრით უნდა მოეთხოვოს პასუხი, ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნავს თუ გადამთიელების ბიზნესგეგმის შესრულებაზე?** დაე, თითოეულმა მშობელმა საკუთარი პირმშო დაიცვას ასეთი სახიფათო „მზრუნველობისგან!“

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**





ექთანი მეგი ბაქრაძე, რომელიც კოვიდვაქცინის გაკეთებისთანავე კომაში ჩავარდა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა

**„გავითვალისწინოთ: ანალოგიურის გაკეთებას კვლავ ეცდებიან, რადგან კარგად აქვთ აწყობილი ეს მანკიერი თანამშრომლობა და ჩვენი შვილები ისევ მათ ხელში აღმოჩნდებიან, ვინც მეგი ბაქრაძის სიკვდილის მიზეზი გააყალბა!“**



**ზურაბ ქუმსიაშვილი:**

# მოერიდეთ 5G ანტენებს, რომლებიც უჯრედულ და დნმ-ის დონეზე აზიანებს ჯანმრთელობას!

***საქართველოში „მეხუთე თაობის“ 5G უახლესი და უსწრაფესი ინტერნეტი ინერგება, აქამდე ყველაზე სწრაფ მობილურ ინტერნეტად 4G ტექნოლოგია ითვლებოდა, რომელიც, თავის მხრივ, დაახლოებით 10-ჯერ უფრო სწრაფი იყო წინამორბედ 3G-ზე.*** — *„ტექნოლოგიური პროგრესი გარდაუვალია და კაცობრიობა სიახლეებს გვერდს ვერ აუვლის, თუმცა, სასწაულმოქმედ ახალ ტექნოლოგიებს ზოგჯერ ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებაში ისეთი მძაფრი უკუჩვენებები ახლავს, რომ პლანეტის მოსახლეობას უთუოდ დაფიქრება მართებს — უღირს კი მისი დანერგვა?“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ექიმმა, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, პროფესორმა ზურაბ ქუმსიაშვილმა:***

— რაც შეეხება 5G-ს, 10-ჯერ უფრო სწრაფია მეოთხე თაობის ინტერნეტზე და ამბობენ, იმდენად დაიხვეწება, 100-ჯერ სწრაფიც გახდებაო, რაც იმას ნიშნავს, რომ სტანდარტული ორსაათიანი ფილმის კომპიუტერში ჩამოტვირთვას 50 წუთის ნაცვლად რამდენიმე წამი შეიძლება დასჭირდეს. 5G ახალ შესაძლებლობებს გააჩენს ჯანდაცვის, განათლების, ბიზნესისა თუ სოფლის მეურნეობის სფეროებში. ამასთან, მობილური ოპერატორები უკვე სთავაზობენ მომხმარებელს 5G ინტერნეტით სარგებლობას თბილისის ცალკეულ უბნებში, ასევე — გუდაურსა და ბაკურიანში.

**— შესაძლებლად მიგაჩნიათ, ვირუსის ახალი შტამების გააქტიურება 5G ტექნოლოგიასთან იყოს კავშირში?**

გაგრძელება 28-ე გვერდზე





# ზურაბ ქუმსიაშვილი:

# არავის ვურჩევ, თუნდაც სარფიანი მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ, საკუთარი სახლის ან საწარმოს სახურავზე ასეთი ანტენების დამონტაჟებას დათანხმდეს!

*დასაწყისი 27-ე გვერდზე*

— რამდენიმე წლის წინათ ევროპულ პრესაში აქტიურად წერდნენ, რომ 5G ანტენებს კორონავირუსის გავრცელება შეუძლიათ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სატელეკომუნიკაციო კომპანიები იძულებული გახდნენ, ამის შესახებ ოფიციალური განმარტება გაეკეთებინათ, რომლის თანახმად, **„არ არსებობს 5G-ისა და კორონავირუსის გავრცელებას შორის რაიმე კავშირის სამეცნიერო საფუძველი ან სარწმუნო მტკიცებულება“.** ამის პარალელურად უკვე არსებობს მეცნიერთა დასკვნები, რომ 5G მკვეთრ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის იმუნიტეტზე, ხოლო იმუნიტეტდაქვეითებულ ორგანიზმს ნებისმიერი ინფექცია იოლად ერევა და დაავადებაც გაცილებით მძიმე ფორმითა და გართულებებით მიმდინარეობს. სამწუხაროდ, მსოფლიოში უკვე ალაპარაკდნენ უფრო მაღალ სიხშირეებზეც, ვიდრე 5G გახლავთ. თუ ასე გაგრძელდა, რენტგენის გამოსხივებამდეც შეიძლება მივიდეთ და კაცობრიობის აღსასრული დავაჩქაროთ! არადა, არათუ 5G, არამედ, 4G ტექნოლოგიაც ძალიან უარყოფით გავლენას ახდენს იმუნიტეტზე. შეგვიძლია, გადავხედოთ ბოლო ათწლეულებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დინამიკას და დავრწმუნდებით, იმის მიუხედავად, რომ იგონებენ ახალ მედიკამენტებს და მკურნალობის მექანიზმებიც უფრო სრულყოფილი და დახვეწილი ხდება, საავადმყოფოები მაინც გადავსებულია; კონკრეტული დაავადებები ჯერაც განაჩენად ითვლება. ფაქტია, საკვებთან ერთად, ტექნოლოგიური პროგრესიც სერიოზულად ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას.

**— მაინც რა მექანიზმით შეიძლება 5G ინტერნეტის გამოსხივებამ დათრგუნოს ადამიანის იმუნიტეტი?**

— გამოსხივებას გააჩნია სათანადო მახასიათებლები — ტალღის სიგრძე და სიხშირე, რაც მანძილიდან გამომდინარე, შესაბამის ზემოქმედებას ახდენს ორგანიზმის ფუნქციებზე. თვით, ერთი შეხედვით უწყინარი მიკროტალღური ღუმელი ასხივებს იმდენ ენერგიას, რამდენსაც 10 ათასი „ვაი-ფაი“ მოწყობილობა ან 5 ათასი მობილური ტელეფონი, გნებავთ, 30 ერთეული 3G ანძა! ეს ენერგია დამცავი ბადეების წყალობით გარეთ ვერ აღწევს, თუმცა, ახლოს გაჩერება მაინც არ არის რეკომენდებული.

## თვით 5G ტექნოლოგიის მწარმოებელი კომპანიები გვაფრთხილებენ, რომ გამოსხივების წყაროსთან 100 მეტრზე ნაკლები სიახლოვე ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება

და მნიშვნელოვნად აზიანებს ჯანმრთელობას უჯრედულ და დნმ-ს დონეზე! ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს, მაგრამ, სხვა დაავადებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამა თუ იმ ონკოლოგიური დაავადების აღმოცენების საფუძველი შეიძლება გახდეს. ანძების მუშაობის ეფექტურობა და სიგნალის ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ახლოს იდგებიან ერთმანეთთან, მაგრამ კარგ დაჭერასთან ერთად საფრთხეც მეტია. ამიტომ, **არავის ვურჩევ, თუნდაც სარფიანი მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ, საკუთარი სახლის ან საწარმოს სახურავზე ასეთი ანტენების დამონტაჟებას დათანხმდეს.**

თბილისში იყო შემთხვევები, როდესაც რესტორნების სახურავებიდან მოახსნევინეს 4G ანტენები. 5G კი მასთან შედარებით კოლოსალური გამოსხივების წყაროა და ზუსტად არავინ იცის, რა ზიანს მიაყენებს ჯანმრთელობას.

***— რა მდგომარეობაა ამ მხრივ საზღვარგარეთ?***

— რამდენიმე ქვეყანაში, სადაც 5G ინერგება, მოსახლეობა აქტიურად გამოხატავს პროტესტსა და შეშფოთებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ანძებს ამტვრევენ და წვავენ, რადგან რეალურად გრძნობენ ნეგატიურ ზემოქმედებას და აპარატურაც გააჩნიათ, რომელიც ადგენს სიხშირის დიაპაზონს.

თუმცა, მუდმივად უარყოფენ, მაინც ვრცელდება უამრავი ინფორმაცია, რომ 5G ანტენების გამოსხივება კლავს ფუტკარს და ამ ტექნოლოგიის მასობრივად დანერგვა მეფუტკრეობის დარგს აღსასრულით ემუქრება.

## აუცილებელია ტექნიკური პროგრესის პარალელურად, კანონმდებლობაც იხვეწებოდეს და ჯანმრთელობისთვის სახიფათო ტექნოლოგიების დანერგვა კანონის დონეზე იზღუდებოდეს,

**თუმცა, ჯერჯერობით, იმის ჯეროვანი შესწავლაც არ ხდება, კონკრეტულად რა ზიანზეა ლაპარაკი.** პირიქით, მწარმოებლები აცხადებენ, რომ აღნიშნული ტექნოლოგია ჯანმრთელობისთვის სრულიად უსაფრთხოა, თუმცა, ეს შეფასება მათ ბიზნესის ინტერესში უფრო შედის და ოფიციალურად არავინ ითვლის, რა მოელის კაცობრიობას.

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**





***ახალი წლის დღეებში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მარნეულის რაიონის სოფელ კაჩაგანის მკვიდრს არიფ გოიუშოვს, რომელმაც საკუთარი ძაღლი ცემით მოკლა, სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის მესამე ნაწილით ბრალი წაუყენა. აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირებული დანაშაული, რამაც „ცხოველის წამება, მისდამი სასტიკი მოპყრობა ან სხვაგვარი ძალადობა გამოიწვია“ და „ძაღლის დაღუპვით დამთავრდა,“ ერთიდან ოთხ წლამდე პატიმრობით ისჯება.***

# ძაღლების უფლებების დაცვის კვალდაკვალ საქართველოში ადამიანების უფლებებიც უნდა დავიცვათ!

შემთხვევა 2023 წლის 6 დეკემბერს მოხდა, ხოლო ძაღლის უმოწყალოდ და სასიკვდილოდ ცემის ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა სოციალურ ქსელებში დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, კერძოდ, 2024 წლის 8 იანვარს გავრცელდა, რასაც ე.წ. სამოქალაქო საზოგადოებისა და ლიბერასტული მედიის ერთობლივი ღრიანცელი მოჰყვა. უფრო მეტიც, როგორც კი ფაქტი გახმაურდა, **საქართველოში საეჭვოდ მომრავლებული ძაღლთაყვანისმცემლების, მეძაღლეების, ამერიკის ძაღლიშვილების, გაძაღლებულების, გასაძაღლებლების თუ ძაღლუმადურების გაერთიანებული ბრიგადა** მარნეულის პოლიციის შენობას მიადგა და ძაღლის მკვლელის დაუყოვნებლივ დასაპატიმრებლად აყეფდა. ხელისუფლებამ ცხადია, ე.წ. **მყეფარე ბრიგადის** მოთხოვნა უმალ აღასრულა და **არიფ გოიუშოვი,** რომელმაც საკუთარი ძაღლი ცემით იმიტომ მოკლა, რომ ათი ფრთა ქათამი შეუჭამა, ვირის აბანოში მიაბრძანა.

ცხადია, **ცხოველისა და ფრინველის წამებას, ცემით სიკვდილის პირას მიყვანას, ტანჯვას და მათ შორის გაუპატიურებას, არ ვემხრობით!** აი, მაგალითად, სააკაშვილის ასპიტების — **დათა და ბაჩო ახალაიების მამა,** სამეგრელოს დიდი პროკურორი და ზუგდიდის ყოფილი მაჟორიტარი **როლანდ ახალაია,** სიჭაბუკეში თხის სექსუალურად გარყვნაშია მხილებული, მაგრამ ამის მიუხედავად, შეშლილმა სააკაშვილმა ის წლების შემდეგ დააწინაურა, პროკურორად დანიშნა და ზუგდი-



როლანდ ახალაია



## სამეგრელოს დიდი პროკურორი და ზუგდიდის ყოფილი მაჟორიტარი როლანდ ახალაია სიჭაბუკეში თხის სექსუალურად გარყვნაშია მხილებული, მაგრამ ამის მიუხედავად, შეშლილმა სააკაშვილმა ის წლების შემდეგ დააწინაურა!

## კვირგვინოსნები

**ვატო სურგულაძე**
*„ლელოს“ წევრი*



თბილისში **ყველაზე სწრაფად იზრდება სასუნთქი გზების დაავადებები, მათ შორის, ონკოლოგიური!** არცერთი პროექტი არ დევს მომდევნო წლის ბიუჯეტში, რომ ეს სიტუაცია ოდნავ მაინც გაუმჯობესდეს.

„ახალი თაობა“

**ლევან ტიელიძე**
*გლაციოლოგი*



**ისეთი მრავალფეროვნება, რაც ჩვენს პატარა საქართველოშია, ძნელად წარმოსადგენია მსოფლიოს სხვა ნებისმიერ ქვეყანაში.** საქართველოს თუნდაც უზარმაზარი კონტინენტი **ავსტრალია** რომ შევადაროთ, ერთ-ერთი მისი კუნძული, ტასმანია თითქმის საქართველოსხელაა, მაგრამ **საქართველოსთან ახლოსაც ვერ მივა.**

„კვირის პალიტრა“




# არ შეიძლება, კაცის მკვლელების ქვეყანაში ძაღლის მკვლელებს იჭერდნენ!

დის მაჟორიტარი დეპუტატობაც უკურთხა.

### ალარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ რინგზე მახო... *(ცენზურა ჩვენია. რედ.)* როლანდ ახალაია საქართველოს საპატრიარქოს უპირველესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვეს!

მოკლედ, ჩვენ კაცის მიერ ძაღლის მოკვლას კიდევ ერთხელ ვგმობთ, მაგრამ აქვე ვსვამთ კითხვას — **სად იყო სამოქალაქო საზოგადოება და ლიბერალური ბომონდი მაშინ, როცა საქართველოში ადამიანებს ან ტყვიით ხოცავდნენ, ანდა ცემით?**

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში დეკემბერი, იანვარი და თებერვალი უმძიმესი და სისხლიანი თვეებია, როცა მანქურთებმა და სამშობლოს მოღალატეებმა 1992 წლის შობაახალი წელი ქვეყანას ჩაამწარეს და თბილისსა და დანარჩენ საქართველოში უცოდველთა სისხლი დაღვარეს. არაერთი მშვიდობიანი მიტინგი დაიხვრიტა მაშინ... **ჩვენი დროის ჰეროსტრატეებმა გადაწვეს და გადაბუგეს თბილისის ცენტრი, 1992 წლის 3 იანვარს, 6 იანვარს და 2 თებერვალს მხოლოდ თბილისში დახოცეს და დაჭრეს ათეულობით ქართველი ახალგაზრდა, მათ შორის, გივიკო რეხვიაშვილი, კახა არსენიძე, იმედა ჭანტურიძე, მამუკა ტერიშვილი, ტრისტან ცერაძე...** ზუგდიდში დედის თვალწინ დახვრიტეს უნიჭიერესი ქართველი არქიტექტორი 29 წლის **ბოჩა ჯიქია;** დახვრიტეს უნიჭიერესი ქართველი ახალგაზრდა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი **დათო წოწორია,** აგრეთვე უდიდესი პატრიოტი **თამაზ ბულია,** მეტსახელად „კიროკი“, რომელმაც ზვიად გამსახურდიას არ შეაგინა.

ბოლოს და ბოლოს, მოკლეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია,** მაგრამ ყველა ზემოხსენებული მკვლელობის შემკვეთიც და აღმსრულებელიც დღემდე დაუსჯელი დადიან, ქეიფობენ, ჭერში ქუდებს ისვრიან და ხან — ოპოზიციის, ხან — პოზიციის, ხან — პარლამენტის, ხან ჟურნალისტიკის, ხან — შოუბიზნესისა და ხანაც სამეცნიერო და სახელოვნებო ელიტის უმაღლესი ტრიბუნებიდან ენას გვიყოფენ და ჭკუას გვასწავლიან!

### იმ ქვეყანაში, სადაც პირველი პრეზიდენტის მკვლელობა გამოძიებული არ არის და სამხედრო დამნაშავეები თუ სამშობლოს მოღალატეები არხეინად ცხოვრობენ, გენერალური პროკურატურა, მინიმუმ, უხერხულობას მაინც უნდა გრძნობდეს, როცა ძაღლის მკვლელს იჭერს.

არ შეიძლება, კაცის მკვლელების ქვეყანაში ძაღლის მკვლელებს იჭერდნენ!

**ისე, ერთიც საინტერესოა, თუ ძაღლმა დაგვკბინა, ოჯახში ქათმები და შინაური ცხოველები გადაგვიჭამა და მშიერ-მწყურვალი და მკვდარცოცხალი დაგვტოვა, ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ, ძაღლთაყვანისმცემლებს ვუხმოთ საშველად და მათ მოსვლას დაველოდოთ, ძაღლს დასამშვიდებლად გათახსირებული ზაზა ბურჭულაძის „ვირის სახარება“ ან არჩილ შარვაშიძის „თავსაფრიანი ბოზები“ წავუკითხოთ, თუ ხელში კეტი დავიჭიროთ და ძაღლს თავი გავუხეთქოთ?**

შარშან, ზაფხულს, დედაჩემს ჩემივე ძაღლი სრულიად უმიზეზოდ დაებღლვნა და ორივე მაჯა დაუკბინა. საცოდავი სისხლში ცურავდა... გავეშებული ცხოველი, რომელიც ჩემზეც იწევდა, დიდი წვალებით მოვიგერიე და ჩამოვიშორე თუ არა, მაშინვე თოფის გამოსატანად გავვარდი, რათა ჭკუაშერყეული ქოფაკისთვის სული გამეფრთხობინებინა. ყველამ და, უპირველეს ყოვლისა, დედაჩემმა, რომელიც უკანასკნელ დღეში იყო, შორიდან თუ ახლოდან უყურებდა, მომაძახა და მომაყვირა — **ძაღლი არ მოკლა, თორემ უსათუოდ დაგიჭერენო!**

**ძაღლის გულისთვის ციხეში როგორ წავიდე და ძაღლთაპირები როგორ გავახარო-მეთქი!** — გავიფიქრე და გამძვინვარებული ცხოველის მოკვლაზე ხელი ავიღე. ხოლო ლამის სისხლისაგან დაცლილი დედაჩემი სასწრაფოდ საავადმყოფოში გავაქანე, სადაც შესაბამისი ქირურგიული ჩარევა დასჭირდა და რაბიოლოგისგან მკაცრი გაფრთხილებაც მიიღო — **ორი კვირის განმავლობაში ძაღლს დააკვირდით და თუ რამე დაემართა, მაშინვე ჩემკენ გამოიქეცით, სასწრაფოდ აცრები გვექნება ჩასატარებელიო!**

იმ მძიმე დღეებში ფასდაუდებელი კონსულტაციები გამიწია ცნობილმა რაბიოლოგმა, ბატონმა **ბადრი ბააზოვმა,** რომელსაც დიდ მადლობას ვწირავ.

ოთხი დღე იცხოვრა იმ დაწყევლილი დღის შემდეგ ძაღლმა ჩვენს ეზოში. ცხოველთან, რომელთან მიახლოებაც გვეშინოდა, ყოველგვარი კონტაქტი შევზღუდეთ, მხოლოდ საჭმელსა და წყალს ვაწვდიდით... **სად არ დავრეკე, ვის არ მივმართე, ვინ არ შევაწუხე, რათა მკვლელი ქოფაკი წაეყვანათ, მაგრამ ძაღლს ხელი კაციშვილმა არ მოჰკიდა. პასუხი ყველგან ერთი იყო — ასეთი სამსახური არ გვაქვს, მაგრამ ძაღლს ხელი არ ახლოთ და არ მოკლათ, თორემ დაგიჭერენო!**

ბოლოს დავრეკე ვანელების გამგეობაში — ძაღლი მომაშორეთ-მეთქი! გამგეობიდან მიპასუხეს — **პატივცემული გამგებელი ალექსანდრე გოგორიშვილი, რაც ვანის ცენტრში ჯვარი დაამხო, იმის შემდეგ ძაღლად იქცა და ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო!**

მოკლედ, შევეგუეთ იმ სასტიკ რეალობას, რომელიც საქართველოში **ძაღლთაყვანისმცემლებმა, ლიბერასტებმა და ამერიკის ქართველმა ძაღლიშვილებმა** დაამკვიდრეს — გამძვინვარებულ და ჭკუაარეულ ძაღლს შეეძლო მოვეკალით და დავეღეჭეთ, მაგრამ ჩვენ მისი მოკვლის უფლება არ გვქონდა! **შემდეგ ისევ ბიძაშვილმა მიშველა და სწორედ მან წაათრევინა ეს სისხლიანი ქოფაკი ძაღლების თავშესაფარში, სადაც მეხუთე დღეს ცხოველი აძაღლდა და ჩვენი ჭირი წაიღო!**

ვიდრე ძაღლის სიკვდილის მიზეზებს ცოფის ცენტრი დაადგენდა, დედაჩემს ცოფზე სრული ვაქცინაციის ჩატარება და იმუნოგლობულინის საკმაოდ მძიმე დოზის გაკეთება მოუწია, რაც მის ჯანმრთელობაზე უკიდურესად უარყოფითად აისახა.

მთელი ეს ისტორია იმიტომ გავიხსენეთ, რომ საქართველო, რომელიც ლიბერასტებისა და კონჩიტების საჯიჯგნად იქცა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა **დიდ საძაღლედ,** სადაც კაცთმოყვარეებს **ძაღლთმოყვარეებმა** ალიკაპი ამოსდეს და მონობის უღელი დაადგეს!

**ვინც კაცზე წინ ძაღლი დააყენოს, „ძაღლ იყოს მისი მკვდრისადა!“**

ფარული სტატისტიკა გამოქვეყნდა და აღმოჩნდა, რომ საქართველოში კაცზე მეტი ძაღლი ცხოვრობს...

ეს იმას ნიშნავს, რომ **სამართველობის** ნაცვლად სულ მალე **ძაღლმმართველობაში** მოგვიწევს ცხოვრება!

***დიტო ჩუბინიძე***



## ვინც კაცზე წინ ძაღლი დააყენოს, „ძაღლ იყოს მისი მკვდრისადა!“

## კვირგვინოსნები



**ზურაბ აზარაშვილი**
*ჯანდაცვის მინისტრი*

ქვეყანაში **ჩვეულებრივი სეზონური გრიპი ტრიალებს, პანიკის საფუძველს ვერ ვხედავთ,** კლინიკები გადავსებული არ არის და ამ კუთხით არანაირი საშიშროება არ არსებობს.

„რეზონანსი“



**ამირან გამყრელიძე**
*დაავადებათა კონტროლის ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი*

დღეისთვის დაახლოებით **15-მდე სახეობის ვირუსი ცირკულირებს,** განსაკუთრებით საყურადღებოა **3 მათგანი,** მათ შორის, **ე.წ. ღორის გრიპი.**

„ახალი თაობა“



**თენგიზ ცერცვაძე**
*ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის გენერალური დირექტორი*

**გრიპი ვისაც აქვს, მან ატაროს პირბადე და არა — მოსახლეობამ.**

„რეზონანსი“



**პაატა იმნაძე**
*დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე*

არაფერი განსაკუთრებული არ ხდება — **წინა წლებში პირბადის ტარება იცავდა მოსახლეობას, დღეს ნიღაბი არავის უკეთია,** შეიძლება ითქვას, რომ **„აიშვეს“ და ვირუსებიც ამიტომ დაუბრუნდა „ჩვეულ ადგილს“.**

„ინტერპრესნიუსი“



**ივანე ჩხაიძე**
*იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი*

ბოლო დროს გახშირდა **გრიპის შემთხვევები** და არცთუ იშვიათად მძიმე სიმპტომებით. **პიკი ჯერ არ არის,** ახლა აღმავალ მრუდზე ვართ და **იანვარში, განსაკუთრებით აცივების გამო, შემთხვევები მოიმატებს**

„კვირის პალიტრა“



# მიხეილ ცაგარელი: ასტროლოგია და ლითონები და პლანეტა ვენერა მამაკაცის ჰოროსკოპში

*— რა აჩვენეს ექსპერიმენტებმა მოძალადისა და ჩვეულებრივი ადამიანის თმებში ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებით? მეორადად გადამუშავებული ტყვია რა და რა საყოფაცხოვრებო ნივთებში გამოიყენება? სად ჩაედინება ტყვიის ნარჩენები ანდა საიდან და სად ილექება ყველაზე დიდი რაოდენობით ტყვია? რას შეიძლება შეიცავდნენ ქვები და რა მეთოდს იყენებენ მათი ასაკის დასადგენად? რას მიგვანიშნებს მამაკაცის ჰოროსკოპში ამა თუ იმ ზოდიაქოში პლანეტა ვენერას განლაგება? რატომ და რა შემთხვევაში მოსწონთ უფრო მეტად მამაკაცებს აქტიური, გახსნილი, თამამი, ეფექტური და მოურიდებელი ქალბატონები? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორც აღნიშნეთ, პლანეტა სატურნის შესაბამისი ლითონის — ტყვიის ადამიანის ორგანიზმიდან გამოსაყვანად (მათ შორის, ძვლოვანი ქსოვილიდან, სადაც ის ძირითადად აკუმულირდება) საჭიროა 30 წელიწადი, ანუ ზუსტად იმდენი, რამდენსაც ანდომებს თავად პლანეტა სატურნი მზის გარშემო ერთ ბრუნს. ტყვიას ბევრი საყოფაცხოვრებო ნივთი შეიცავს, ამიტომაც ევროპაში ბოლო წლებში ბევრ სფეროში აიკრძალა მისი გამოყენება...**

— დიახ, შესაბამისად მოსახლეობის სისხლშიც **ტყვიის მაჩვენებელი** ერთ ლიტრში ერთ მილიგრამზე ნაკლებია, თუმცა, ნიშნავს კი ეს, რომ მათი სისხლი გასუფთავდა? რა თქმა უნდა, არა! რადგან ტყვია თითქმის უხსნადია და მისი ორგანიზმიდან გამოსვლას ძალიან დიდი დრო ესაჭიროება. თუმცა, ამან შეამცირა მოსახლეობაში აგრესიულობისა და ძალადობის დონე. ნიშანდობლივია ისიც, რაც ექსპერიმენტებმა აჩვენეს — **ნებისმიერი მოძალადის თმებში ტყვიისა და ალუმინის შემცველობა 4-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანის თმებში.** მოგეხსენებათ, ეს ტყვიის ნეგატიური მხარეა, რომელსაც უნდა ვერიდოთ. უნდა აღინიშნოს, რომ დიდძალი რაოდენობით ტყვია გამოიყენება მეორადი გადამუშავებისთვის და მისი რაოდენობა ხშირად **90 პროცენტს** აღწევს. **ასეთი მეორადად გადამუშავებული ტყვია გვხვდება ყველაზე ხშირად ელექტრობატარეის ელემენტში, რომელსაც ყველა ვიყენებთ საათების, მობილურების, ტელევიზორების პულტებისთვის, სანთებელებისთვის, სანათებისთვის და ა.შ. უამრავი ამკრძალავი კანონის მიუხედავად, ტყვიის ნარჩენები წყლებში ჩაედინება. ყველაზე დიდი რაოდენობით ტყვია ბენზინის გამონაბოლქვიდან ილექება საავტომობილო გზებზე, მიმდებარე ტერიტორიაზე, ნიადაგსა თუ მცენარეებზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ ტელევიზორისა და მონიტორის მავნე რენტგენული გამოსხივებისაგან თავდასაცავად, ხშირად მათ უყენებენ მინის ეკრანს, რომელიც 23 პროცენტი ტყვიის ოქსიდს შეიცავს. ასევე გამოსხივებისა და რადიატორებისგან თავდასაცავად განსაკუთრებული შენობების აგებისას კონსტრუქციებშიც ტყვიის თუნუქს იყენებენ, რომელიც ასევე მავნებელია ადამიანისთვის, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით ტყვია საჭიროა ავტომობილების აკუმულატორებისთვის.** მილიარდობით ადამიანი იძულებულია, გამოიყენოს მჟავა-ტყვიის აკუმულატორი მანამ, სანამ მეცნიერნი არ მიაგნებენ ენერგიის შენახვის სხვა ალტერნატივას.

**— კიდევ რა პარალელი შეიძლება გავავლოთ პლანეტა სატურნსა და მის შესაბამის ლითონს შორის?**

— **ტყვია** ისევე, როგორც პლანეტა **სატურნი** ერთგვარ ზღვარს წარმოადგენს. ქიმიურ ელემენტთა პერიოდულ სისტემაში ტყვიის ზემოთ განლაგებული ელემენტები რადიოაქტიურია, ანუ იმდენად მძიმეა, რომ სტაბილურობას კარგავენ, ამიტომ ისინი იშლებიან მანამ, სანამ ტყვიის მდგომარეობას არ მიაღწევენ. მაგალითად, ქვები, შესაძლოა, შეიცავდნენ რადიოაქტიური დაშლის შედეგად წარმოქმნილ ტყვიის სხვადასხვა იზოტოპს და რაც უფრო მეტია ამ იზოტოპთა რაოდენობა, მით უფრო დიდია ამ ქვების ასაკი, ამიტომაც მეცნიერები იყენებენ ამ მეთოდს ისტორიული ასაკის დასადგენად, რომელიც ზოგ შემთხვევაში მილიარდობით წელიწადს უტოლდება.

## პლანეტა ვენერა, ანუ ვარსკვლავური ხანუმა მამაკაცის ჰოროსკოპში

**— როგორც ჩვენთან საუბრისას აღნიშნეთ, ასტროლოგია, რა თქმა უნდა, დაქორწინების გარანტიას ვერავის ვერ მისცემს, მაგრამ გულის სწორის პოვნაში, მის უკეთ გაგებასა და დანახვაში, საკუთარ პრიორიტეტში გარკვევაშიც ნამდვილად დაგვეხმარება. ამ მიმართებით რას გვეტყვით?**

— ადამიანთა უმეტესობას მარტოობა არ უყვარს, რამეთუ სიყვარული, დაქორწინება, ოჯახი და შვილები ერთ-ერთი უმთავრესი მისიაა. თუმცა, ხშირად ხდება ისე, რომ ბევრი ცხოვრების მანძილზე ვერ პოულობს იმ ერთადერთს, რომელიც ძალიან მოეწონება, მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ურთიერთგაგება, ხასიათის შეთვისება ექნება და ისე შეუყვარდება, რომ გულით ისურვებს, მთელი დარჩენილი ცხოვრება მის გვერდით გაატაროს. ამიტომაც როგორც ქალბატონებში, ისე მამაკაცებში ვხვდებით ლამაზ, ჭკვიან, განათლებულ, მატერიალურად უზრუნველყოფილ ადამიანებს, რომლებმაც ოჯახი ვერ შექმნეს ანდა რამდენიმე შექმნეს, თუმცა, დიდხანს ვერცერთმა ვერ გაძლო. **ამჯერად მამაკაცებზე ვისაუბროთ.** ინტერნეტის დახმარებით ყველას შეუძლია, შეადგინოს პირადი ასტროლოგიური რუკა და დაინახოს, რომელ ზოდიაქოში ჰყავს ესა თუ ის პლანეტა. ამ შემთხვევაში კი გვაინტერესებს ჰოროსკოპში პლანეტა **ვენერას** განლაგება. კონკრეტულ ზოდიაქოს ნიშანში, რათა განვსაზღვროთ საუკეთესო მეწყვილე, ამიტომ **მამაკაცის ჰოროსკოპში ვენერას შეიძლება ვუწოდოთ ვარსკვლავური ხანუმა, რომელიც არაერთ მნიშვნელოვან რჩევას იძლევა ურთიერთობების საწყის ეტაპზე, რაც უნდა გაითვალისწინოს როგორც მამაკაცმა, ისე ქალბატონმა.** ახლა კი განვიხილოთ მამაკაცთა ჰოროსკოპში **პლანეტა ვენერას** ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში განლაგებისას თითოეული შემთხვევა: **1. ვერძის ზოდიაქოში პლანეტა ვენერას განლაგებისას ამ მამაკაცს ხიბლავს აქტიური და ქმედითუნარიანი, თამამი, გახსნილი, ეფექტური, დინამიკური ქალბატონები, რომელნიც რაღაცით მაინც გამოირჩევიან საერთო ფონზე. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ რომელ სფეროებზე ვრცელდება ეს თვისებები, რადგან ზოგს უფრო უკომპლექსო, ტემპერამენტული ქალბატონი იზიდავს. ზოგს კი ექსტრავერტული კომუნიკაბელურობით, ოპტიმიზმით გამორჩეული, რომელიც თავის ენერგიას მიმართავს გარე სამყაროზე, გარშემო მყოფებზე.** ამგვარად, ასეთი მამაკაცის მოსახიბლად უმჯობესია, არც დრო და არც ენერგია არ ხარჯოს თავშეკავებულმა, მორიდებულმა და არაფრით გამორჩეულმა ქალბატონმა, რამეთუ წარმატების მიღწევის შანსი ძალიან მცირე ექნება.

### 15-21 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**ენერგია მატერიალური პრობლემის გადაჭრისკენ მიმართეთ, რათა იურიდიული ან უცხოეთთან დაკავშირებული საქმე არ გართულდეს. ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა ჯობს დინჯად და ეტაპობრივად. მარტო საკუთარი თავის იმედად ნუ იქნებით და დროულად დაიხმარეთ გამოცდილი ადამიანები. პირად ცხოვრებაში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. მოგზაურობისას კი სასურველია, სახიფათო ადგილებსა და გარისკვას მოერიდოთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**ქმედითუნარიანობა და კონტაქტურობა იმატებს. შესაძლოა, მნიშვნელოვანი საქმის შესრულება მოგიწიოთ. სითამამე დაგეხმარებათ არასასურველი ურთიერთობის ერთბაშად დასრულებაში. დამატებითი სამუშაო მოგებას მოგიტანთ. ოჯახთან, მეუღლესთან ანდა შეყვარებულთან ურთიერთობა უფრო ძლიერსა და დამოუკიდებელს გაგხდით. ლოცვისა და სულიერი ზრდისთვის კარგი პერიოდია. ხანმოკლე მოგზაურობები დადებით შედეგს მოიტანს.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**დადებითი განწყობა ხელს შეგიწყობთ შემოქმედებითად მუშაობაში. ლტოლვა გარისკვისა და ავანტიურებისკენ გაიზრდება. ახალი პროექტისა და იდეის რეალიზება გაგიადვილდებათ პარტნიორის დახმარებით. ფინანსური საკითხის მოგვარებისთვის გავლენიანი პირები დაიხმარეთ. ოჯახური ან სასიყვარულო პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ურთიერთგაგებით და მოთმინებით. დაგეგმილი მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**დამატებითი სამუშაო და შემოსავალზე ზრუნვა მომავალში წარმატებას გიქადით. კარგია კვლევითი და სამეცნიერო სამუშაოების ჩატარება და კორპორატიული ბიზნესის წამოწყება. კარგად გამოცდილი მეთოდებით იმოქმედეთ და ფარულ საქმეს მოერიდეთ. ინტუიცია ბევრ კრიზისულ სიტუაციას აგარიდებთ. ეცადეთ, საკუთარ ჯანმრთელობას მეტი დრო დაუთმოთ და ოჯახი და შეყვარებულიც უყურადღებოდ არ დატოვოთ, რათა თავი უსაფრთხოდ და მშვიდობიანად იგრძნოთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ოპტიმიზმი და შემართება გიბიძგებთ შემოქმედებითად მუშაობისკენ. გეგმები წინასწარ დაისახეთ და ეცადეთ, არაფერი გამოგრჩეთ, რათა ერთი საქმის შესრულება ორჯერ არ მოგიწიოთ. უცნობებთან დაკავშირებულ საქმეში სიფრთხილე გამოიჩინეთ. ოჯახის წევრები თქვენს ცხოვრებაში დიდ როლს შეასრულებენ. მოგზაურობა, კონტაქტები და ახალი ინფორმაცია საჭიროებს დაკვირვებასა და სიფრთხილის გამოვლენას. კარგი განწყობა კი სასიამოვნო პირადი ურთიერთობების საწინდარი იქნება.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**განწყობა გაგიუმჯობესდებათ, აქტიურობაც იმატებს და გაგიადვილდებათ საქმეში მიზნის მიღწევა, ამიტომ ახალი პროექტების დასაწყებად მოემზადეთ. პირად ცხოვრებაში ცვლილება შესაძლოა, აისახოს თქვენს საქმიანობასა და კარიერაზე. საფინანსო და საშუამავლო გარიგებისას სიფრთხილე გმართებთ. კარგი დროა ჯანმრთელობის გასაძლიერებლად და იმიჯის შესაცვლელად. ძველ მეგობრებთან შეხვედრა და ახლო მანძილზე მოგზაურობა სიამოვნებას მოგიტანთ.**

### 15-21 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ახალი მიზნების არჩევისას სხვათა ინტერესსა და სურვილს ნუ დაივიწყებთ. ნურავის გააკრიტიკებთ და ასევე ნურავის ნუ გაუმხელთ საკუთარ გეგმას. უცნაურ სიტუაციაში ყოფნისას ემოციები გააკონტროლეთ და ფულიც უყაირათოდ არ დახარჯოთ. ურთიერთობა შვილებთან, მეუღლესთან ან შეყვარებულთან ეცადეთ, უფრო მეგობრული გახადოთ. მოგზაურობა და დასვენება კი დადებითად აისახება თქვენს განწყობაზე.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**გაზრდილი კომუნიკაბელურობის საშუალებით არაერთი წრის ადამიანებთან შეძლებთ ურთიერთობას. მიღებული რჩევები და წინადადებები პირადულიც იქნება და საქმიანიც. ჯგუფური შემოქმედება დიდ სიამოვნებას მოგიტანთ, ოღონდ, ეცადეთ, ინტრიგებში არ ჩაებათ და უცნობებს არ ენდოთ. ახალი სიყვარული თავს ბედნიერ ადამიანად გაგრძნობინებთ. მაღალია ბავშვის ჩასახვის ალბათობა. მოგზაურობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ და უცნობებს ზედმეტად ნუ მიენდობით.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**წარმატების მისაღწევად გადაწყვეტილების მიღებისას ნუ იჩქარებთ. საბუთებსა და საქმიან კონტრაქტს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ. ცხოვრებისეული ცვლილებები და ახალი ინტერესი ახალ და საინტერესო ადამიანებთან დაგაკავშირებთ. პარტნიორთან და სასიყვარულო ურთიერთობისას გულახდილობა დაგეხმარებათ. დახარჯულ ენერგიას კი ჰარმონიულ და კომფორტულ გარემოში ადვილად აღიდგენთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**ახალი პროექტების დასაწყებად მოემზადეთ. სიმშვიდე და დადებითი განწყობა სტაბილური ჯანმრთელობისა და ნაყოფიერი მუშაობის საწინდარი იქნება. კარიერული აღმასვლის ალბათობა არსებობს. პირად ურთიერთობაში მოსალოდნელია სასიამოვნო ცვლილებები. გართობის მიზნით მეგობრებს დაუკავშირდით, იურთიერთეთ და ახალი კავშირებიც დაამყარეთ. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად სასიკეთოა ვარჯიში.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**საქმეში წარმატებისა და ფინანსური წინსვლისთვის უცხოელთა წინადადებებზე უარს ნუ იტყვით. ორგანიზატორული ნიჭის გამოვლენით მატერიალურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. მიღებული ანაზღაურება განათლებასა და საოჯახო შენაძენებზე გამოიყენეთ. შეყვარებულთან ურთიერთობა ბევრ სიხარულს გპირდებათ. ფსიქოლოგიური განმუხტვისთვის კი სასიკეთო იქნება დროდადრო ქალაქგარეთ გასეირნება და დასვენება.**

**თევზები** (19.02-20.03)
**აქტიურად იმოქმედეთ და ნაკლებად იოცნებეთ. თქვენი ძალები ძველი ჩანაფიქრების განხორციელებისკენ მიმართეთ. ცხოვრებისეული მოვლენები დაგანახვებთ, თუ რომელი სფეროა მომგებიანი და რა გზით ჯობს მოქმედება. ნებისმიერი სირთულისას ახლობლებსა და მეგობრებს თამამად სთხოვეთ დახმარება. სასიყვარულო ურთიერთობაში შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ზოგიერთი დეტალის საიდუმლოდ შენახვა. მოგზაურობა მშვიდად და სასიამოვნოდ ჩაივლის.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია: 16, 18, 19 და 20 იანვარი

**11 იანვარი – ახალმთვარეობა, პიკი – 11.58 სთ.**
**25 იანვარი – სავსემთვარეობა, პიკი – 17.54 სთ.**

## 15 იანვარი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.26 საათზე, ჩადის 16.55 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 10.09 საათზე, ჩადის 21.47 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 12.02 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ხელი შეეწყობა სიახლესა და რეფორმებს, ძველი უსარგებლო ნივთებისგან გათავისუფლებას, დასუფთავებას. ამავდროულად, ემოციები აკონტროლეთ. კარგი დღეა სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად, ქველმოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ქორწინებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, შემოქმედებისთვის. არ არის სასურველი საქმის დაწყება, ანალიზების ჩაბარება და ექოსკოპია, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმიანობა ან ინტიმური შეხვედრა, სესხის აღება-გაცემა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო, მარჯანი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 16 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.26 საათზე, ჩადის 16.56 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.57) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 10.32 საათზე, ჩადის 23.02 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 12.09 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.34 საათიდან 08.50 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მცდარი გადაწყვეტილების მიღებისგან ცნობისმოყვარეობა დაგიცავთ. მოერიდეთ თვალების გადაღლას. ასევე ფიზიკურად და სულიერად ნუ გადაიღლებით. ეფექტური იქნება თირკმლების მკურნალობა. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმისთვის, მგზავრობისთვის, ხელმძღვანელთან და ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, სპორტული ინვენტარის, მჭრელი საგნების შესაძენად, სპორტული ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი სულსწრაფობა, თმის შეჭრა-შეღებვა, სტომატოლოგიური პროცედურები, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ქორწინება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, თვალები, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 17 იანვარი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.25 საათზე, ჩადის 16.57 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 10.55 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 12.16 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** თვალი ადევნეთ საქმეების მსვლელობას, შესაძლებელია მოულოდნელი ცვლილებანი. გააკონტროლეთ აგრესიულობა, ეგოიზმი, ამბიციურობა, სულსწრაფობა, კამათისკენ მიდრეკილება. მოერიდეთ ფიზიკურ და სულიერ გადაღლას, მხედველობის გადატვირთვას. ეფექტური იქნება თირკმლების, ენდოკრინული სისტემის, შარდის ბუშტის, კანის მკურნალობა. კარგი დღეა ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის, მგზავრობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ტანსაცმლის, ავეჯის, ფეხსაცმლის, მჭრელი საგნების, სპორტული ინვენტარის შესაძენად, სპორტული ღონისძიებებისთვის და ვარჯიშისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულების დადება, კაპიტალდაბანდება, სტომატოლოგიური პროცედურები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, თვალები, ცხვირი. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 18 იანვარი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.25 საათზე, ჩადის 16.58 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.23) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 11.19 საათზე, ჩადის 19 იანვარს 00.15 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 12.24 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 07.54 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.04 საათიდან 12.13 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილ გეგმას ნუ დაისახავთ. მოერიდეთ გაბრაზებას, ყვირილს, გაკიცხვასა და განკითხვას. არ არის სასურველი სულსწრაფობა, სარისკო გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მგზავრობისთვის, ვაჭრობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარის, ავეჯის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, შემოქმედებისთვის. სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება, სახის კანისა და თმის კვება-მოვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 19 იანვარი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.24 საათზე, ჩადის 16.59 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 11.45 საათზე, ჩადის 20 იანვარს 01.28 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 12.34 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს!** კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მგზავრობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ცხოველების შესაძენად, ახალი ნაცნობობისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, საფინანსო-საბანკო საკითხთა გადასაწყვეტად. ურთიერთობისას, შესაძლოა, ადრინდელი სურვილი აგისრულდეთ. მოსალოდნელია მოვლენების ნებისმიერი სახით განვითარება. პრაგმატულად აზროვნება და მოქმედება გმართებთ. არ არის სასურველი გაბრაზება, ყვირილი, განკითხვა, სარისკო ქმედება, სულსწრაფობა, ცივი და გაზიანი სასმლის მიღება, კისრის მკვეთრი მოძრაობები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარჯანი, მწვანე იასპი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 20 იანვარი, შაბათი

**მზე** გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.23 საათზე, ჩადის 17.01 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.06) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 12.15 საათზე, ჩადის 21 იანვარს 02.41 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 12.48 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მზე გადაინაცვლებს რა თხის რქიდან მერწყულის ზოდიაქოში, გაამახვილებს რეფორმებისკენ, სიახლეებისკენ მიდრეკილებას, გამომგონებლობას, არაორდინარულობასა და ორიგინალურობას და ასევე ხასიათცვალებადობას, არამდგრადობასა და დროდადრო მელანქოლიურობასაც. დღეს კარგად დაისვენეთ. ძველი საქმის გამო ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ. კარგი დღეა ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარების, პარფიუმერია-კოსმეტიკის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, ქორწინებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მგზავრობისთვის, საღამოს კი ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ და საიდუმლოს ნუ გაამხელთ. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, ორპირ ქარში ყოფნა. საფულე გააკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, ფილტვები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ამაზონიტი, ჰელიოტროპი, ლაბრადორიტი, აქატი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 21 იანვარი, კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.23 საათზე, ჩადის 17.02 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 12.55 საათზე, ჩადის 22 იანვარს 03.52 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 13.10 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ხელი შეეწყობა საყვარელ საქმიანობას (ჰობს). ნუ გადაიღლებით, დღეიდან პლანეტა **პლუტონი** გადაინაცვლებს (20 წლით) **მერწყულის** ზოდიაქოში და შეუდგება ყოველივე დრომოჭმულის ნგრევას, ანუ ყველაფრის, რაც უსარგებლოა და ხელის შემშლელი. ამით გზას გახსნის განვითარებისთვის, ხელს შეუწყობს სოციალურ და პოლიტიკურ ტრანსფორმაციას, დიდ რეფორმებს. დღეს კარგია საქმიანი მიმოწერა, სწავლა, მშენებლობა, ინფორმაციის გაცვლა, მგზავრობა, საფინანსო-საბანკო ოპერაციები. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიცრუე, სიმძიმის აწევა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა-შეღებვა, რემონტის დაწყება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ნეფრიტი, სერდოლიკი, იაგუნდი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



15 იანვარი - ხსენება ღირსისა სერაფიმე საროველისა, სასწაულთმოქმედისა

✝ 15 იანვარი. ორშაბათი. სილიბისტრო რომის პაპისა; მღვდელმოწამე თეაგენოსისა, ჰელესპონტოს ჰაროსის ეპისკოპოსისა; ღირსისა სერაფიმე საროველისა; მოწამისა გიორგი გურჯისა, კუნძულ ლესბოსზე ვნებულისა; მოწამისა ბასილი ანკვირელისა, რომელი იწამა კესარიას; ღირსისა დედისა თეოდოტესი, წმიდათა უვერცხლოთა კოზმა და დამიანე აზიელთა დედისა; მღვდელმოწამისა ისიდორესი, ანტიოქიის ასურეთიდან; ღირსისა მარკოზ ყრუისა; კოზმა I-ისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა, სასწაულმოქმედისა; მართლისა სერიოლოს ვალიელისა.

✝ 16 იანვარი. სამშაბათი. **წმიდისა ექვთიმე ღმრთისკაცისა; იოანესი, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსისა;** ღირსთა: ევაგრესი, შიო მღვიმელის მოწაფისა; წინასწარმეტყველისა მალაქიასი; მოწამისა გორდისა, რომელი იყო კესარია-კაბადუკიასა; ღირსისა პეტრე ნიშანწემოსილისა, ატროას მონასტერში მოღვაწისა; ღირსისა აკაკი სასწაულმოქმედისა; ღირსისა ამბა მელიტონ მამასახლისისა, საბაწმიდელისა; ღირსისა თომაიდასი, ლესბოსის მკვიდრისა; ღირსისა ჟენეიევა პარიზელისა.

✝ 17 იანვარი. ოთხშაბათი. შიომღვიმეში მოღვაწეთა: ევაგრესი, ილია დიაკონისა და სხვათა; კრება სამეოცდაათთა მოციქულთა; ღირსისა თეოქრისტესი, სიკელის კუკუმოს იღუმენისა, სასწაულმოქმედისა; ღირსმოწამეთა ზოსიმე მონაზონისა და მოწამისა ათანესე კომენტარისისა; ევსტათი I-ისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა აპოლინარია სვინკლიტიკესი; ღირსმოწამისა ექვთიმესი, ვათოპედის მონასტრის იღუმენისა და მისთანა 12-თა მონაზონთა; ღირსმოწამისა ონოფრე ახლისა, ქიოსელისა; ღირსისა ტიმოთე მესვეტისა.

✝ 18 იანვარი. ხუთშაბათი. მღვდელმოწამეთა თეოპემპტისა, ნიკომიდიელი ეპისკოპოსისა და მოწამისა თეონასი; ღირსისა სვინკლიტიკია ალექსანდრიელისა; წინასწარმეტყველისა მიქეასი; ღირსისა ფოსტირი მეუდაბნოისა; ღირსისა გრიგოლ აკრიტელისა; მოწამისა რომანოზისა.

✝ 19 იანვარი. პარასკევი. **ნათლისღება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.**

✝ 20 იანვარი. შაბათი. **კრება წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი და მისთა წმიდათა ნაწილთა ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლს გადმობრძანება;** მოწამისა ათანასე იტალიელისა; სედისა, შოტლანდიის ეპისკოპოსისა.



16 იანვარი - ხსენება წმიდისა ექვთიმე ღმრთისკაცისა (თაყაიშვილი)



20 იანვარი - კრება წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი

✝ 21 იანვარი. კვირა. **დიდმოწამისა აბო ტფილელისა;** ღირსისა გიორგი ქოზიბელისა; ღირსისა დომნიკა კონსტანტინოპოლელი იღუმენისა; წინასწარმეტყველისა სამესი, ელამელისა; მღვდელმოწამისა კარტერისა, კესარია-კაბადოკიელი ხუცისა; მოწამეთა: თეოფილე დიაკონისა და ელადი ერისკაცისა; მოწამეთა: იულიანესი, კელსისა, ანტონისა, ანასტასისა, ბასილისასი და მარიონილასი, 7-თა ყრმათა და 20-თა მხედართა; ღირსისა გრიგოლი კიევ-პეჩორელისა, სასწაულმოქმედისა; მღვდელმოწამისა ისიდორე ხუცისა და მისთანა 72-თა მოწამეთა; ღირსისა აგათონისა; ატიკე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; კვიროს კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; გრიგოლ მიზიის ეპისკოპოსისა; წმიდისა სევერინოს ასტურელისა; ღირსისა თეოდორესი, ხორას მონასტრის ქტიტორისა; ღირსისა მაკარი მაკრიელისა; პართენა მოწამისა, ედესელისა.

**იესო ქრისტეს ნათლისღებით** ძველი სჯული დასრულდა და დასაბამი მიიღო ახალმა, რადგანაც ღმერთი გამოჩნდა და მადლი გამობრწყინდა. როცა მტრედის მსგავსად ზეციდან გარდამომავალმა სულიწმიდამ წყალი განწმინდა და მასში მადლი დანერგა, იესო ქრისტემ წყლითა და სულიწმიდით ცოდვებისგან დაძველებული კაცის ბუნება განაახლა და პირველშექმნილი ადამი კურნებისაგან განახსნა.

**ქრისტეს მიერ დაწესებულ ნათლობამდე** იოანე წინამორბედი **მხოლოდ წყლით ნათლავდა,** ხოლო ვინც **ქრისტეს სახელით ინათლება,** არა მარტო ცოდვები განეშორება, არამედ სულიწმიდის სულსაც შეიმოსს.

**ნათლობის დროს,** სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით, ქრისტიანი იესოს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო მადლი უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს. წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი, გონებისთვის მიუწვდომლად, სულს განბანს.

გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, **ყველა უნდა მოინათლოს,** რადგანაც იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს მოუწოდა:

**„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა, რომელსაც ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდების“.**



19 იანვარი - ნათლისღება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. მაზდა; 8. პირატი; 11. დეკალოგი; 12. ნიასა; 13. მაგმა; 14. რომენი; 15. ტეტანუსი; 16. ფრაზა; 17. კრედო; 18. ზანგი; 19. ბალერინა; 23. რეალი; 25. მიწა; 27. ტრიოდი; 30. ბუქარესტი; 31. კოპიო; 33. ლარგო; 34. მდელო; 35. იდიოტია; 36. ზურნა; 37. ფლორიდა; 38. ნაიბი; 41. ინა; 43. ტყე; 45. კლაუსი; 46. თია; 47. ლიზისი; 50. ისარი; 53. სვია; 54. კიი; 56. ირაო; 57. რქაწითელი; 60. სოს; 62. მიმი; 64. რომი; 67. გლორია; 68. პრემია; 69. ნურადინ; 70. ლორია; 71. ილიონი; 72. სამარე.

შვეულად: 1. პეპელა; 2. სანაძე; 3. ფორუმი; 4. მიმიკა; 5. ზაგრები; 6. ანაფორა; 7. კარავაჯო; 8. პარაზიტი; 9. რემონტი; 10. ტანკი; 19. ბაბუინი; 20. ლექსიკა; 21. რარიტეტი; 22. ნესკაფე; 24. პითონი; 25. მილიონი; 26. წერტილი; 28. რომანსი; 29. ოპელი; 31. კოზაკი; 32. პარმალი; 39. აისი; 40. ბერა; 42. ნავოი; 44. ყანა; 46. თარი; 47. ლეი; 48. ზნე; 49. სპირალი; 51. არითმია; 52. იორდანე; 55. იო; 58. წიგნი; 59. თქორი; 61. სერ; 62. მინი; 63; მერი; 65. მორი; 66. ოდა; 68. პას.

**კასკადივანილიკანიბალისტადიონისენაკიანიონი**
**ფანტასტიმულინემანიკიურიუმიაკინიანგინატალი**

| საფეხურებად გადმომჩქეფარე წყალვარდნილი | ერთგვარი სანელებელი | კაციჭამია, ველური | დიდი სპორტული ნაგებობა | ქალაქი სამეგრელოში | უარყოფითი მუხტის იონი |
|---|---|---|---|---|---|

| რკინის ქუდი | რბილი ავეჯი | ქართული მინერალური წყალი | ლოდსატყორცნი მანქანა (ძვ.) | ღვინის ბერძ. ღმერთი | ყოველი მეოთხე წელიწადი | ქალაქი რაჭაში |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. იაპონური ავტომობილი; 8. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე; 11. ბიბლიის ათი მცნება; 12. ტბა მოზამბიკში და მალავიში; 13. ვულკანური მასა; 14. ბოშათა თეატრი მოსკოვში; 15. მწვავე ინფექციური დაავადება, გაშეშება; 16. მუსიკალური თემის ყოველი პატარა დასრულებული ნაწილი; 17. მრწამსი; 18. შავკანიანი; 19. ბალეტის მოცეკვავე ქალი; 23. მადრიდის საფეხბურთო კლუბი; 25. დედამიწის ქერქის ზედა ფენა; 27. სამელექტროდიანი ელმილაკი; 30. რუმინეთის დედაქალაქი; 31. ასლი; 33. ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი მუსიკაში; 34. მწვანით მოსილი მინდორი; 35. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 36. ჩასაბერი საკრავი; 37. აშშ-ის შტატი; 38. მმართველი შამილის საიმამოში (ზოგად.); 41. ერთგვარი თმის საღებავი; 43. ხეებით დაფარული ვრცელი ფართობი; 45. ამერიკელი თოვლის ბაბუა სანტა-...; 46. ცხიმოვანა; 47. სხეულის ტემპერატურის თანდათანობით დაწევა მალარიის დროს; 50. ამურის იარაღი; 53. ზუთხისებრთა ოჯახის დიდი თევზი; 54. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 56. ნარნარი ფრენა; 57. ქართული ყურძნის ჯიში; 60. უბედური შემთხვევის სიგნალი; 62. პანტომიმის მსახიობი; 64. „მარადიული" ქალაქი; 67. კათოლიკური მესის მეორე ნაწილი — ქებათა ქება; 68. ფულადი ჯილდო რაიმე დარგში წარმატებისთვის; 69. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი ...-ფრიდონი; 70. ქართველი მეკარე; 71. უძველესი ქალაქი მცირე აზიაში, იგივე ტროა; 72. საფლავი, ანუ?

შვეულად: 1. ფრთაფარფატა მწერი; 2. ქართველი კალათბურთელი; 3. ფართო წარმომადგენლობითი კრება; 4. ადამიანის გრძნობების გამომხატველი სახის კუნთების მოძრაობა; 5. ქალაქი იუგოსლავიაში; 6. მღვდლის სამოსი; 7. იტალიელი ფერმწერი; 8. მუქთახორა; 9. რისამე შეკეთება; 10. ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა; 19. პავიანების გვარის მაიმუნი; 20. რომელიმე ენის სიტყვათა ერთობლიობა; 21. ძალიან იშვიათი ნივთი; 22. ყავის სახეობა; 24. დიდი მახრჩობელა გველი; 25. ფილმი — „როგორ მოვიპაროთ ..."; 26. სასვენი ნიშანი; 28. პატარა სასიმღერო ლექსი; 29. გერმანული ავტომობილი; 31. აქლემის ნაშიერი; 32. აივანი, დერეფანი; 39. განთიადი, ალიონი; 40. ქართველი რეპერი; 42. უზბეკი პოეტი, მოაზროვნე; 44. თავთავიანი კულტურების ნათესი; 46. აღმ. სიმებიანი საკრავი; 47. ფრანგი კომპოზიტორი; 48. ხასიათი, ბუნება; 49. გ. ფანჯიკიძის რომანი; 51. რიტმის დარღვევა გულის მოქმედებისას; 52. ქრისტეს ნათლობის მდინარე; 55. ჭერას ქურუმი ქალი; 58. ცოდნის „წყარო"; 59. წვრილი წვიმა; 61. მამაკაცისადმი მიმართვა ინგლისში; 62. მოკლე კაბა; 63. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი; 65. ინგლისელი ჰუმანისტი მწერალი; 66. სახოტბო ლექსი; 68. უარის თქმა ბანქოს გაგრძელებაზე.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ფანტასტიკური ნაწარმოების ავტორი | საქარგავი ძაფი | ხელის ფრჩხილების მოვლა | ესკიმოსების ნავი | დიდი ქვეწარმავალი | ქართული სამოდელო სააგენტო |
|---|---|---|---|---|---|

| ერთგვარი გამაგრილებელი წყალი | ხალისის აღმძვრელი მიზეზი, ბიძგი | ქალაქი კალინინგრადის ოლქში | რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი | პოეტი-მომღერალი შუა აზიაში | ხახის ლორწოვანი გარსის ანთება | ხელის მექანიკური ამწე |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვიადისტური

ასავალ დასავალი

2024 წლის 15 — 21 იანვარი №4 (1522)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლღინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

mail@asavali.com

„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


